ოთარ ჯაფარიძე

ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში

1955

წინასიტყვაობა

კაცობრიობამ არსებობის დიდ მანძილზე განვითარების რამდენიმე საფეხური განვლო. განვითარების ადრეული ეტაპის შესწავლის ძირითად წყაროს, დამწერლობის შემოღებამდე, არქეოლოგიური ძეგლები წარმოადგენენ. ამ შორეული ეპოქებიდან ჩვენამდე უპირატესად მოაღწია შრომის იარაღებმა და ამ იარაღების საშუალებით დამზადებულმა სხვა ნივთებმა. შრომის იარაღების შესწავლის მნიშვნელობას არაერთგზის აღნიშნავდნენ მარქსიზმის კლასიკოსები. კ. მარქსი წერდა: „რა მნიშვნელობაც ძვლების ნაშთების აგებულებას აქვს გამქრალ ცხოველების გვარეობათა ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს გამქრალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად“[1].

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შრომის იარაღების დასამზადებელი ძირითადი მასალა სხვადასხვა იყო. ამის მიხედვითაა ძირითადად გამოყოფილი არქეოლოგიური ეპოქები: ქვის ხანა, სპილენძ-ბრინჯაოს ხანა და რკინის ხანა. ადრეულ საფეხურზე იარაღის დასამზადებლად ძირითადად ქვაა გამოყენებული. ქვის ხანა ორ პერიოდად განიყოფება: ძველი ქვის ხანა (პალეოლითი) და ახალი ქვის ხანა (ნეოლითი). ქვის ხანის ხანგრძლივი განვითარების შემდეგ, ადამიანი თანდათანობით ეცნობა ლითონს. ცნობილია, რომ ლითონის შემოსვლამ გარდატეხა მოახდინა .ევროპული საზოგადოების ცხოვრებაში. შრომის იარაღების გაუმჯობესების შედეგად წინაურდება მეურნეობის ძირითადი დარგები; საზოგადოება განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ადის; იქმნება კულტურა, რომელიც ბევრად უფრო წინ არის წასული კულტურის განვითარების წინა საფეხურთან შედარებით.

---

[1] კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I, თბილისი, 1954, გვ. 230.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოში ფართოდ გაიშალა არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ქართულ საბჭოთა არქეოლოგიას უთუოდ მეტად დიდი წარმატება ხვდა წილად. დღეისათვის ჩვენში უკვე კარგადაა ცნობილი სხვადასხვა პერიოდის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ძეგლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინებული იყო ლითონის წარმოების გაჩენისა და განვითარების ადრეული საფეხურის რიგი საყურადღებო ძეგლებისა, რომლებიც ახალ-ახალ მასალას იღლევიან ამ პერიოდის სამეურნეო, სოციალური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

დღეისათვის ჩვენ გაგვაჩნია მთელი რიგი ნაშრომებისა, რომლებიც შეეხება ამ პერიოდის ცალკეულ ძეგლებს. განსაკუთრებით საყურადღებოა პროფ. ბ. კუფტინის შრომები, სადაც შესწავლილია ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა. მაგრამ ზოგადი, მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომი საქართველოს ენეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს ხანის შესახებ დღემდე არა გვაქვს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეადგენს ლითონის წარმოების გაჩენისა და განვითარების ადრეული საფეხურის კულტურის ზოგადი დახასიათება, სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით. ავტორი იმედოვნებს, რომ ამგვარი ზოგადი მიმოხილვა, ერთგვარად მაინც ხელს შეუწყობს საერთო წარმოდგენის შემუშავებას ამ ხანის კულტურული ვითარებია შესახებ.

I. ენეოლითური კულტურა

ახალი ქვის ხანის დასასრულს ადამიანი ეცნობა ლითონს, რასაც კაცობრიობის ისტორიისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ლითონის აღმოჩენას და მეტალურგიის წარმოშობას საწარმოო ძალთა განვითარებისათვის დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, როგორიც მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენას. ლითონის შემოღებამ მთელი გადატრიალება მოახდინა ტექნიკაში. იარაღის დასამზადებლად ახლა გამოყენებული იყო ისეთი მასალა, რომელიც გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ქვა. ეს გარემოება უთუოდ ხელს უწყობდა საწარმოო ძალების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. ამას კი, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა საზოგადოების განვითარებაზე: ლითონის გამოყენება სხვა ფაქტორებთან ერთად საფუძველს უქმნიდა მის ახალ ეტაპზე გადასვლას.

პირველი ლითონი, რომელსაც ადამიანი გაეცნო, ოქრო და სპილენძი იყო. ერთიცა და მეორეც ბუნებაში ხალასი სახით მოიპოვება. ოქრო უთუოდ ადრე მიიქცევდა ყურადღებას თავისი ბზინვარების გამო: იგი რბილი ლითონია, იარაღისათვის ნაკლებად გამოსადეგი და ამიტომაც მას იმთავითვე უპირატესად სამკაულისათვის ხმარობდნენ.

ოქროსთან შედარებით სპილენძი უფრო მაგარია, თუმცა თავისთავად ისიც რბილი ლითონია. იგი ბუნებაში ხალასი სახით, ზოდებად მოიპოვება ზედაპირულ ფენებში. თავდაპირველად ეს ზოდი ადამიანს ჩვეულებრივი ქვა ეგონა და სცადა კიდეც მისი იმავე წესით დამუშავება, როგორითაც ქვას ამუშავებდა, თუმცა ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. სამაგიეროდ ადამიანმა სპილენძის სხვა თავისებურებას მიაგნო, კერძოდ იმას, რომ დარტყმის შედეგად შეძლო მისთვის სასურველი ფორმის მიცემა. ამრიგად დაი-

წყო სპილენძის დამუშავება ცივად ჭედვის წესით. ცივად ჭედვის შედეგადაა მიღებული ლითონის პირველი ნივთები. არქეოლოგიაში იმ პერიოდს, როდესაც ადამიანი ეცნობა ლითონს და მას ჯერ კიდევ ძირითადად ცივად ჭედვის წესით ამუშავებს, ხშირად უწოდებენ ხოლმე ენეოლითს ან კიდევ ხალკოლითს, ე. ი. ქვა-სპილენძის ხანას. აქ იგულისხმება ერთგვარი გარდამავალი საფეხური ქვის ხანიდან ლითონის ხანაზე, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს გარკვეული მოსაზრება იმის შესახებ, თუ როდის მთავრდება ნეოლითური კულტურა და საიდან იწყება განვითარების ახალი საფეხური. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ახალი სტადია იწყება ლითონის პირველი გაჩენისთანავე და ამ კულტურას, მიუხედავად იმისა, რომ ქვას ჯერ კიდევ აქ გაბატონებული მდგომარეობა უკავია, სპილენძის ხანა ან ენეოლითი უნდა ეწოდოს[1]. ეს საფეხური გრძელდება ადამიანის მიერ ლითონის სხვა თავისებურების გაგებამდე; კერძოდ, მან გაიგო, რომ ლითონი განსაზღვრულ ტემპერატურაზე მყარი მდგომარეობიდან თხიერში გადადის, ე. ი. ადამიანმა ისწავლა ლითონის გამოდნობა. ნამდვილი მეტალურგია აქედან იწყება და აქედანვე უნდა დავიწყოთ ახალი სტადია. ამ საფეხურზე იარაღის დამზადების ძირითადი მეთოდი არის ჩამოსხმა. მიუხედავად იმისა, თუ რომელი მასალაა ჩამოსასხმელად გამოყენებული (სპილენძი თუ ბრინჯაო), ტრადიციის მიხედვით ბრინჯაოს ხანას უწოდებენ[2].

მკვლევართა ერთი ჯგუფი ამ საკითხზე სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს. მათი აზრით ლითონი გაჩენის ადრეულ საფეხურზე მეტად უმნიშვნელო როლს ასრულებს და ძირითადად ისევ ქვაა გამოყენებული; კულტურა თითქმის მთლად ნეოლითურ ელფერს ატარებს და ლითონის გაჩენას აქ შეიძლება ჯერ კიდევ ყურადღება არ მიექცეს[3]. საკმაოდ დიდი დრო უნდა გასულიყო ვიდრე ლითონი თანდათანობით ქვის ადგილს დაიპერდა. აქედან უნდა დაიწყოს უკვე ახალი საფეხური. ამ საკითხის გარშემო არსებობს სხვა მოსაზრებებიც, მაგრამ ძირითადი მაინც ეს ორია.

ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი მოსაზრება მთლად მართებული არ უნდა იყოს. მართალია იქ, სადაც პირველი ლითონის ნივთები გარედან უნდა იყოს შემოსული, რა თქმა უნდა, ლითონის შემოსვლა თავში შესამჩნევ გარდატეხას ვერ მოახდენდა საზოგადოების ცხოვრებაში. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც

[1] Фосс М. Е. О терминах „неолит", „бронза", „культура". Краткие сообщения ИИМК. XXIX М.-Л., 1949; გვ. 33.

[2] Чайлд Г. Прогресс и археология, Москва, 1949, გვ. 70.

[3] Фосс М. Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ადრევე დაიწყო ადგილობრივი თვითნაბადი სპილენძის დამუშავება. შეუძლებელია, რომ ლითონის გაჩენას გარკვეული ზეგავლენა არ მოეხდინა პირველყოფილი საზოგადოების განვითარებაზე. ადამიანს იარაღის გასაკეთებლად უკვე ჰქონდა ისეთი მასალა, რომელიც თავისი თვისებებით გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ქვა. ამას, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა გარკვეული გავლენა არ მოეხდინა ადამიანთა ცხოვრებაზე. ამიტომაც, ვფიქრობთ, უფრო მართებული უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ იქ, სადაც ადრევე დაიწყო ადგილობრივი თვითნაბადი ლითონის დამუშავება, განვითარების ახალი საფეხურის დასაწყისი ლითონის შემოსვლას უნდა დავუკავშიროთ.

ჩვენს ხელთ მყოფი მასალის მიხედვით ჩანს, რომ ჩვენში ლითონის დამუშავების ადრეულ საფეხურზე აშკარად შეინიშნება გარკვეული დაწინაურება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ და ნათლად წარმოვიდგინოთ ამ განვითარების სურათი, რადგანაც ჯერ კიდევ სათანადოდ არაა შესწავლილი გვიანი ნეოლითისა და ენეოლითის განვითარების საფეხურები; კულტურა, რომელსაც დღეს ჩვენში ენეოლითს უწოდებენ, წინა საფეხურთან შედარებით უკვე საგრძნობლად დაწინაურებული ჩანს. დაწინაურება შეინიშნება მეურნეობის თითქმის ყველა დარგში: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეჯურჯლეობა და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია თიხის ჭურჭელი. ამ პერიოდის მასალებიდან ყველაზე ჭარბადაა წარმოდგენილი კერამიკული ნაწარმი. იგი გამოირჩევა მეტად მდიდარი და თავისებური ფორმით. ამ პერიოდის მასალაში ლითონის ნივთები, ჯერ კიდევ, შედარებით იშვიათია და ძირითადად მაინც ქვაა გამოყენებული. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ დაწინაურებაში მნიშვნელოვანი როლი უთუოდ ლითონის შემოსვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

✓ უკანასკნელ ხანებში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში საკმაოდ ადრეული ხანის მძლავრი და მეტად თავისებური ენეოლითური კულტურის დადგენა. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ახლა ირკვევა, ამ ტიპის ძეგლები ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში აღმოჩნდა (არმავირ-ბლური. არაგაცი და სხვ.). ამიერკავკასიის მუზეუმებში შემდეგშიაც გროვდება მსგავსი მასალა სხვადასხვა ადგილებიდან. ეს მასალა საგრძნობლად განსხვავდებოდა მანამდე კარგად ცნობილ ბრინჯაოს ხანის ძეგლებისაგან და ამიტომ მას კარგა ხნის მანძილზე სათანადო ადგილი ვერ მოეძებნა სხვა მასალებს შორის. ზოგი ამ ძეგლებს ნეოლითს მიაკუთვნებდა, ზოგიც — ურარტულ ხანას და სხვ.

ენეოლითის კულტურის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას. აქ, როგორც ცნობილია, სხვა პერიოდების მასალებთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე ენეოლითური ხანის ძეგლები. ამ ძეგლების შესწავლისა და ამიერკავკასიის მუზეუმში დაცული მასალის მასთან შეჯერება-შედარების შედეგად, შესაძლებელი გახდა სამხრეთ ამიერკავკასიაში თავისებური ენეოლითური კულტურის გამოყოფა. გაირკვა, რომ ამიერკავკასიის გარკვეულ ტერიტორიაზე არსებობდა სრულიად ერთგვაროვანი კულტურა, რომელსაც ზოგიერთი ავტორი, მისი გავრცელების რაიონის მიხედვით, მტკვარ-არაქსის ენეოლითს უწოდებს[1]. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სახელწოდება მთლად ზუსტი არ უნდა იყოს იმის გამო, რომ ამ ტიპის ძეგლების გავრცელების რაიონი სცილდება მტკვრისა და არაქსის აუზს.

ა) ენეოლითური ხანის ძეგლები

კიკეთი. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ენეოლითური ხანის ძეგლი პირველად აღმოჩნდა 1920 წ., კიკეთის მახლობლად[2]. აქ არქეოლოგმა ე. პჩელინამ გათხარა ერთი სამარხი. სამარხი საკმაოდ დაზიანებული იყო და ამიტომ მისი მეტნაკლებად ზუსტი სურათის აღდგენა ძნელია. დაახლოებით 1,5×1,0 მ ფართობზე შეჯგუფებული იყო მიცვალებულის ძვლები, კერამიკის ფრაგმენტები, ნაცარი, ნახშირი, ბათქაშის ნატეხები და სხვ. როგორც ჩანს, ეს მეტისმეტად თავისებური სამარხი უნდა ყოფილიყო. სამარხს აშკარად ეტყობა ცეცხლის კვალი. აქ დიდი რაოდენობით იყო ნაცარი, ნახშირი, წიდა, გამომწვარი თიხის, ალბათ, ბათქაშის ნატეხი, რომლითაც, ალბათ, სამარხის კედლები იყო შელესილი ან, შესაძლოა, როგორც ეს ე. პჩელინას ჰგონია, იგი თიხის სარკოფაგის ნაწილი იყოს. სამარხში თიხის 9 ჭურჭლის გარდა არაფერი არ აღმოჩენილა. ამათგან, როგორც პჩელინა აღნიშნავს, მხოლოდ ხუთი ჭურჭლის აღდგენა მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ ე. პჩელინამ თავის დროზე შენიშნა, რომ აქ აღმოჩენილი კერამიკა მეტისმეტად თავისებურია, რომლის მსგავსი მას კავკასიურ მასალებში არ ეგულება. კიკეთის სამარხის თარიღის შესახებ იგი არაფერს ამბობს[3] და ვერც ვერაფერს იტყოდა იმის გამო, რომ საქართველოდან ამ პერიოდისათვის შესადარებელი მასალა მისთვის სრულიად უცნობი იყო. ახლა უკვე ცხადი გახდა,

---

[1] Куфтин Б. А. К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIV—B, თბილისი, 1947, გვ. 67.

[2] Пчелина Е. Археологическая разведка в районе Триалетского хребта близ гор. Тбилиси, საქ. მუზ. მოამბე, ტ. V, თბ. 1930, გვ. 156.

[3] Пчелина Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

რომ ე. პჩელინას მიერ კიკეთში გათხრილი სამარხი ნამდვილად ენეოლითური ხანისაა. მსგავსი კერამიკული მასალა სადღეისოდ უკვე კარგადაა ცნობილი საქართველოს და სომხეთის ენეოლითური ხანის ნამოსახლარებიდან.

„კიკეთის სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ორი ფრაგმენტი: ერთი მოვარდისფრო მოზრდილი თიხის ჭურჭლისა, ფართო, თითქმის ცილინდრული ყელით. მეტად პატარა ყურებით. ყელზე რელიეფურადაა გამოსახული პირისპირ მდგარი სირაქლემას მსგავსი ორი ფიგურა, მეორე — მოზრდილი შავი ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი შემკული „სათვალისებრი“ სპირალით. ამ ჭურჭლებსა და თრიალეთის ენეოლითურ ჭურჭლებს შორის ბევრი საერთო არსებობს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1947 წ. თრიალეთის ექსპედიციის მიერ სოფ. ოზნიში (გუნია) აღმოჩენილი — დაახლოებით 1,0 მ სიმაღლის მოწითალო ფერის ჭურჭელი, რომელსაც ისეთივე „სათვალისებრი“ სპირალი ამკობს, როგორც კიკეთში აღმოჩენილ ჭურჭელს[1].

„თბილისი. 1930 წ. დიდუბეში მიწის სამუშაოების დროს სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის მასალა. აღმოჩენის ადგილი შეამოწმა და შეისწავლა განსვენებულმა პროფ. გ. ნიორაძემ[2]. იმის გამო, რომ სამშენებლო სამუშაოები აქ მეტად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ამიტომ ბევრი რამ ამ რთული ძეგლიდან დაუზუსტებელი დარჩა. როგორც ჩანს, დიდუბეში აღმოჩნდა ენეოლითური ხანის ნამოსახლარი, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ აქვე უნდა ყოფილიყო ამ დროის სამარაოვანიც. მასალა ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი. ნაპოვნია აგრეთვე ქვისა და ძვლის იარაღი. ლითონის ნაწარმი სრულიად არ აღმოჩენილა. თიხის ჭურჭელი ტიპობრივად და აგრეთვე დანიშნულების მიხედვით შეიძლება დაიყოს რამდე-

---

[1] Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе Тбилиси, 1948, გვ. 30.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კიკეთში 1947 წ. არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა, ბ. კუფტინმა იმავე ადგილას და მეტად საყურადღებო მასალა მოიპოვა, სამწუხაროდ, მასალის გამოქვეყნება აღარ დასცალდა (ტაბ. I—3, 5, 6,).

[2] ნიორაძე გ. დიდუბის ენეოლითური ძეგლები (ხელნაწერი გადაეცემულია დასაბეჭდად „მასალები საქართველოს არქეოლოგიისათვის“, ტ. 1).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ თითქოს პროფ. გ. ნიორაძემ ვერ გაიგო ამ ძეგლის ხასიათი და იგი უფრო გვიან ხანას მიაკუთვნა (Куфтин Б. А. Археолог раскопки в Триалети, გვ. 106), მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სრულიად არ შეეფარდება სინამდვილეს. პროფ. გ. ნიორაძემ იმთავითვე სწორად გაიგო დიდუბეში აღმოჩენილი ძეგლის ხასიათი და სავსებით მართებულად მიაკუთვნა იგი ენეოლითის პერიოდს.

ნიმე ჯგუფად[1]. გვხვდება პირფართო, მუცელგამობერილი ქილისმაგვარი ჭურჭელი. ჩვეულებრივად მათ ორი პატარა ზომის ნახეერადსფეროსებრი მოყვანილობის ყური აქვს მხრიდან ყელზე გადასვლის ადგილას. ამ ჯგუფიდან საყურადღებოა ერთი მაღალყელიანი ჭურჭელი, რომელსაც მუცლის ზედა ნაწილზე არასიმეტრიულად განლაგებული სამი ყური აქვს[2]. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჭურჭელი აგრეთვე სამი ყურით ცნობილია ჩვენს მასალებში, მხოლოდ სოფ. ოზნიდან[3]. გვხვდება, დაახლოებით ამგვარივე ფორმის, ოღონდ რამდენადმე უფრო პატარა ზომის ჭურჭლები — ზოგჯერ ცალყურა, ჩვეულებრივად ყური ამათაც ყელისა და მხარის საზღვარზე აქვს მიძერწილი, თუმცა არიან ისეთებიც, რომელთაც ყურის ცალი ბოლო მხართანა აქვს, მეორე კი ჭურჭლის პირთან. აღსანიშნავია აგრეთვე ბადიები და ჯამები. ბადიები ჩვეულებრივად უფრო თხელკედლიანია, ყელდაბალი, ცალყურა. აღმოჩნდა აგრეთვე ორგვარი ფორმის რამდენიმე ხუფი: ერთი ბრტყელი, მრგვალი, ზემოდან ყურით და მეორე კი ჯამისებრი მოყვანილობის. განსაკუთრებით საყურადღებოა დიდუბის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კონუსისებრი მოყვანილობის ერთი ტანდახვრეტილი ჭურჭელი, იგი ტლანქადაა ნაკეთები, სქელკედლიანია (ტაბ. III. 2). რა დანიშნულების უნდა იყოს ამ ტიპის ჭურჭელი, ზუსტად თქმა ძნელია. ზოგი მას „საცერ ჭურჭელს" უწოდებს, ზოგი კი რაღაც საკულტო დანიშნულებას მიაწერს მას და სხვ.[4]

გარდა ამისა აქ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჭურჭლის ფორმის აღდგენის საშუალებას არ იძლევა. ამათგან აღსანიშნავია შავი ფერის ერთი ნატეხი, რომელსაც კარგად ემჩნევა ქსოვილის ანაბეჭდი[5] (ტაბ. III, 4). ანაბეჭდიდან ჩანს, რომ საკმაოდ წმინდა ნაქსოვი უნდა იყოს. სავსებით ასეთივე ანაბეჭდი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტზე ცნობილია ზღუდრის გვერდას ენეოლითური მასალიდან[6].

დასასრულ, საყურადღებოა იქ ნაპოვნი პატარა ზომის ტლანქად ნაძერწი კერის მოდელი (ტაბ. III, 1). ამგვარი მოდელი ცნობილია შენგავითიდან. აქ ეს მოდელი აღმოჩნდა ერთ-ერთი მრგვალი ნაგებობის ცენტრში მოზრდილი

---

[1] ჭორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. 1, თბილისი, 1953 წ. (ხელნაწერი), გვ. 42.

[2] Куфтин Б. А. Археолог. раскопки в Триалети. Тб. 1941. გვ. 115.

[3] Куфтин Б. А. Археолог. раскопки 1947 г. в Цалкинском районе, გვ. 37, ტაბ. XXXIX.

[4] ჭორიძე დ.. დასახ. ნაშრ., გვ. 47; 95.

[5] იქვე, გვ. 129.

[6] Куфтин Б. А. К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии, გვ. 74.

კერის გვერდით. შესაძლოა, ეს კერის მოდელი მართლაც საკულტო დანიშნულების იყოს.[1]

დიდუბის ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ნაწარმი საერთოდ ხელითაა ნაძერწი: ზოგი ტლანქად, ზოგიც უფრო ფაქიზად. გვხვდება მოწითალო ფერის ჭურჭელი შავპრიალა ვარდისფერი სარჩულით. ჭურჭელი სრულიად სადაა.

დამუშავებული ქვის იარაღი დიდუბის ნამოსახლარზე სულ რამდენიმე ცალი აღმოჩნდა. სახელდობრ, სამკუთხა, ფოთლისებრი მოყვანილობის უუნწმოტეხილი ისრის პირი, კაჟის დანისმაგვარი იარაღი და ქვარქის (роговик) ორმხრივ დამუშავებული იარაღი (ტაბ. III, 7).

ძვლის ნივთებიდან აღსანიშნავია რამდენიმე სადგისი (ტაბ. III, 6, 8, 9) და ორი კონუსისებრი მოყვანილობის კვირისტავი (ტაბ. III, 5).

უთუოდ საყურადღებოა აქ ნაპოვნი ობსიდიანის მოზრდილი ნატეხი, რომელიც 7 კგ იწონის. მას აშკარად ეტყობა დარტყმის კვალი. ჩანს, რომ მისგან იარაღისათვის ლამელებს ამტვრევდნენ. ნიშანდობლივია, რომ დიდუბის ნამოსახლარზე მრავლად აღმოჩნდა სწორედ ობსიდიანის ანატკეცები, კაჟისა კი სრულიად არ აღმოჩენილა. საფიქრებელია, რომ ობსიდიანის დამუშავება ადგილობრივად ხდებოდა, ობსიდიანი თბილისის მიდამოებში არ მოიპოვება. შესაძლოა, იგი აქ თრიალეთიდან მოჰქონდათ, სადაც, როგორც ცნობილია, ობსიდიანი მრავლად მოიპოვება.

ნამოსახლარის ფენაში მრავლად აღმოჩნდა სხვადასხვა ცხოველების ძვლები. აღსანიშნავია, რომ შინაურ ცხოველთა ძვლებიდან აქ მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის ნაშთებია ნაპოვნი. წვრილფეხა საქონლის ძვლები სრულიად არ აღმოჩენილა. როგორც ჩანს, მონადირეობას აქ ჯერ კიდევ დიდი როლი ეკავა, რაზეც მიუთითებს ნაპოვნი გარეული ცხოველების (თხა, ჯეირანი, შველი და სხვ.) ძვლები. ბევრ ნაპოვნი იყო გარეული ცხენის ერთი კბილი. მდინარის პირას მცხოვრები მოსახლეობა უთუოდ მეთევზეობასაც მისდევდა. ამას თითქოს უნდა მოწმობდეს აქ მოპოვებული გახვრეტილი ქვები, რომლებიც, საფიქრებელია, ბადის საწაფები უნდა ყოფილიყო.

თუმცა, მართალია, დიდუბის ნამოსახლარზე მიწათმოქმედების არსებობის შესახებ რაიმე პირდაპირი საბუთი არ აღმოჩენილა, მაგრამ იმის გამო,

---

[1] Байбуртян Е. Культовый очаг из раскопок Шингавитского поселения в 1936—1937 гг., Вестник древней истории, 4(5), Москва, 1938, გვ. 259.

რომ მოსახლეობა აქ დამჯდარი ჩანს, შეიძლება ვიფიქროთ, მეურნეობის ეს დარგიც აქ მოსახლე ტომების საქმიანობაში შედიოდა.

თრიალეთი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს და საერთოდ ამიერკავკასიის ენეოლითის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარ მასალას. აქ, 1936 წლიდან რიგი წლების მანძილზე მუშაობდა არქეოლოგიური ექსპედიცია ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ სხვა პერიოდის მასალებს შორის გამოავლინა აგრეთვე ძლიერი ენეოლითური ფენა, რომელიც ძირითადად კერამიკისაგან შედგება (ტაბ. I, 1, 2, 4, 6; ტაბ. II, ტაბ. IIა).

ენეოლითური ხანის მასალა თრიალეთიდან წარმოდგენილია როგორც ნამოსახლარი ადგილებიდან, ისე სამარხეული კომპლექსებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ბეშთაშენის მახლობლად ციკლოპური ციხე-სიმაგრის ახილარის ნანგრევების ქვეშ აღმოჩენილი ენეოლითური ხანის კულტურული ფენა. აქ გამოვლენილი იყო ოთხკუთხოვანი ნაგებობის ქვის საძირკველი ამ სამარხის შიგნით აღმოჩნდა თიხატკეპნილი „თორნე". კულტურული ფენა მრავლად შეიცავდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. აღსანიშნავია ამ ფენაში აღმოჩენილი კაჟის დაკბილული ნამგლის პირები და კაჟის სამკუთხა მოყვანილობის ყუნწიანი ისრის პირები. ისრის პირებს ჯერ კიდევ ეტყობა ნეოლითური ტექნიკის კვალი და ისინი საკმაოდ ახლო დგანან თეთრა მიწის ნეოლითურ ისრის პირებთან[1]. აქვე აღმოჩნდა დიდი ზომის ოვალური ქვის ხელსაფქვავი. საყურადღებოა ხარის თიხის პატარა ქანდაკება მოტეხილი თავით[2], რომელიც ძალიან ახლო დგას ქიულ-თაფაზე (ვაღარშაპატთან) აღმოჩენილ ამგვარსავე თიხის ქანდაკებებთან.

ახილარის თიხის ტერიტორიის გარეთ, მის მახლობლად აღმოჩენილ იქნა ძლიერ დაზიანებული ენეოლითური ხანის კულტურული ფენა. ამ ფენაში ნაპოვნი იყო დაახლოებით 1.65 მ დიამეტრის კერა, ნაცრის და ნახშირის სქელი ფენა, გამომწვარი თიხა, წიდა, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვ. კერის ძირზე აღმოჩნდა სამი პირქვე დადებული თიხის ჭურჭელი და ხელსაფქვავის ქვა[3]. საყურადღებოა, რომ ეს კერა მოგვაგონებს ე. ლალაიანცის მიერ ელარში აღმოჩენილ ამგვარსაეე კერას.[4]

---

[1] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 108.

[2] იქვე, გვ. 110.

[3] იქვე.

[4] იქვე. გვ. 113.

ბეშთაშენის ენეოლითურ ფენაში აღმოჩენილ კერამიკულ კომპლექსში ძირითადად სამი ჯგუფი გამოირჩევა—ერთი, რომელიც უფრო ახლო დგას ... კეთის და ელარის ტიპის კერამიკასთან და მეორე კი—მალაქლუს, ქიულთაფას და სხვ. ჰურჰელთან. სამივე ჯგუფის თიხის ჰურჰლები ხელითაა ნაძერწი და გულმოდგინეადაა დამუშავებული. პირველი ჯგუფის კერამიკა შედარებით უფრო ტლანქია და მასიური. ჰურჰელს ძირი ჩვეულებრივად ბრტყელი აქვს. ხშირად გვხვდება დიდი ზომის მაღალი, ცილინდრულყელიანი ჰურჰელი. რომელსაც უმეტესად ნახევარსფერული ფორმის განიერი და პატარა ზომის ორი ყური აქვს. ამ ჯგუფის ჰურჰელი ზოგჯერ სრულიად სადაა, ზოგჯერ კი შემკულია რელიეფური ორნამენტით. თრიალეთური კერამიკის ეს ვარიანტი განსაკუთრებით ახლო დგას დიდუბის, კიკეთის, ელარის და სხვ. ტიპის კერამიკასთან. იგი რამდენადმე უახლოვდება აგრეთვე დაბლა-გომის ენეოლითურ ჰურჰელს.[1]

მეორე ჯგუფის კერამიკა გამოირჩევა უფრო მაღალი ტექნიკით. ხშირად იგი შესანიშნავადაა დამუშავებული, ჰურჰელს ძირი უმეტესად ვიწრო და შედრეკილი აქვს, ყურები ნახევარსფერული მოყვანილობის. მეტად თავისებურია ორნამენტი — ჰურჰელი ხშირად შემკულია „ჩალარულ-ამობურცულ" ორნამენტით. როგორც ფორმით, ისე ორნამენტაციით ეს ჯგუფი უახლოვდება მალაქლუს, შრეშ-ბლურის, შენგავითის, ქიულთაფას და სხვ. კერამიკას. ბ. კუფტინი ვარაუდით აღნიშნავს, რომ შესაძლოა ეს მეორე ჯგუფის კერამიკა რამდენადმე უფრო ახალგაზრდა იყოს იმის გამო, რომ აქ შეინიშნება რაღაც საერთო ნიშნები უძველეს ყორღანული სამარხების კერამიკის ზოგიერთ ვარიანტთან. მაგრამ სტრატიგრაფიული მონაცემების უქონლობის გამო ჯერჯერობით გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება[3] მესამე ჯგუფის შესახებ არაფერს ვიტყვით იმის გამო, რომ იგი მეტად მცირერიცხოვანია.[4]

გარდა ბეშთაშენისა, ენეოლითური ხანის ნამოსახლარი თრიალეთში 1947 წ. აღმოჩენილი იყო სოფ. გუნიაში (ოზნი). აქ გამოვლენილი იყო ნახევარწრიული ფორმის ქვის წყობა, თიხატკეპნილი იატაკი, კერამიკული კერია ნატეხები, თიხის ჰურჰლის ფრაგმენტები და სხვ. ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ ნახევარწრიული ფორმის ქვის წყობა შესაძლოა იყო მრგვალი ფორმა

---

[1] იქვე, გვ. 115.
[2] იქვე.
[3] იქვე. გვ. 116
[4] იქვე.

სადგომის საფუძველი, რომელზედაც ხის ან მეგრული „ფაცხი-ს“ მსგავსი ნაგებობა იყო ამოყვანილი[1]. აღსანიშნავია, რომ მრგვალი ფორმის სადგომები მტკვარ-არაქსის ენეოლითურ ძეგლებში კარგადაა ცნობილი. შენგავითში, ელარში და სხვ. ნაპოვნი იყო მრგვალი ნაგებობების რიყის ქვის საფუძვლები, რომელზედაც გამოუმწვარი აგურის, ალიზის კედლები უნდა ყოფილიყო ამოყვანილი. საყურადღებოა, რომ მსგავსი მრგვალი ნაგებობები გამოვლენილი იყო ზემო მესოპოტამიის (არპაჩაი, თეფე-გავრა, ობეიდი და სხვ.) ბორცვების ფენებში და აგრეთვე აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონში. ხოლო სრულიად უცნობია ამ ტიპის ნაგებობა ირანსა და სამხრეთ მესოპოტამიაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა სოფ. გუნიაში ნაპოვნი კერამიკული კერის ფრაგმენტები. როგორც ჩანს, ეს კერები სავსებით ისეთივე უნდა იყოს როგორც შენგავითში აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ შენგავითში ამგვარი კერები ნაპოვნი იყო მრგვალი სადგომის ცენტრში. ეს კერები დაახლოებით 1.0 მ დიამეტრისა და 0,25 მ სიმაღლისა იყო. შიდა პირზე მას სამი შეერილი აქვს. ალბათ, ჭურჭლის უკეთ დადების მიზნით. სავსებით ამგვარიეე კერა აღმოჩენილია სტალინირის მახლობლად ქულბაქებში ენეოლითური ფენის გათხრების დროს.

დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აქ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი მოზრდილი, დაახლოებით 1,0 მ სიმაღლის მოწითალო ფერის ჭურჭელი, შემკული კიკეთის ჭურჭლის მსგავსად, სათვალიერები (ტაბ. I, 4) სპირალით. აქვე აღმოჩნდა სხვა ჭურჭელი, რომელიც აგრეთვე უახლოვდება კიკეთის კერამიკას[2]. საყურადღებოა ერთი ჭურჭელი ნახევარსფერული სამი ყურით, სავსებით ისეთივე, როგორიც დიდუბის სამყურა ჭურჭელი[3]. მეტად საინტერესოა აქ აღმოჩენილი ორი სქელკედლიანი ჯამი. ერთი მათგანი იმითაა შესანიშნავი, რომ გარეთა კედელზე რაღაც განსაკუთრებული ხუთი ნიშანია გამოყვანილი. თითოეული ეს ნიშანი წარმოადგენს სწორხაზოვან გეომეტრიულ რთულ ფიგურას. ამ ხუთი ნიშნიდან ორი სავსებით ერთნაირია. ერთ ნიშანზე შეიძლება გამოვიცნოთ სალოცავად ხელაპყრობილი ადამიანის სქემატური გამოსახულება, მეორე მოგვაგონებს სამკუთხა სადგარზე მდგომ წმინდა ხეს, მესამე კი თითქოს ორი მავალი ფეხის გამოსახულებაა, რომელიც ფორმალურ მსგავსებას იჩენს ეგვიპტურ იეროგლიფებთან. სადაც ისინი „სიარულის“ და „ბრძოლის“ ცნებას გადმოსცემდნენ.

[1] Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года.... გვ. 28.

[2] იქვე. გვ. 30.

[3] იქვე, გვ. 37.

ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ აქ შესაძლებელია ნიშნებით აზრის გადმოცემის ცდასთან გვქონდეს საქმეო და მსგავსებას ხედავს პროტო-ელამურ დამწერლობასთან.[1]

გარდა კერამიკული მასალისა, აქ ნაპოვნი იყო კაჟის ხერხისებრი დანა (ტაბ. IV, 2), ობსიდიანის ფირფიტა და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა ლითონის ნივთები. ლითონის ნივთები ამ პერიოდის მასალებში მეტისმეტად მწირია. თრიალეთში მხოლოდ გუნიადანაა ცნობილი რამდენიმე ლითონის ნივთი: ბიპირამიდალური ფორმის სპილენძის მოკლე სადგისი, ოთხწახნაგა სადგისი და სპილენძის ნატეხი[2] (ტაბ. IV, 1). ოთხწახნაგა სადგისი საერთოდ კარგადაა ცნობილი ლითონის გაჩენის ადრეულ პერიოდში (ტეპე-ჰისარი 1, ალიშარი 1 და სხვ.).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს რომ თრიალეთში გარდა ენეოლითური ხანის ნამოსახლარებისა, 1936 წელს აღმოჩნდა აგრეთვე ამ პერიოდის ორი სამარხი. ერთი ნაპოვნი იყო სოფ. ბარმაკსიზის გზაზე. იგი წარმოადგენდა პატარა ზომის ქვაყუთს (1,05×0.73 მ), რომელსაც სახურავად საკმაოდ მასიური ფილა ჰქონდა. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა ძლიერ მოკრუნჩხული ფეხებით. სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ ორი ჭურჭელი — ერთი ჯამი, მეორე კი — ტოლჩა. სამარხში ნაპოვნი ჭურჭელი უფრო ახლოს დგას ბეშთაშენის კერამიკის პირველ ჯგუფთან[3].

მეორე სამარხი აღმოჩნდა სოფ. ტაშ-ბაშში. სამარხი ცუდად დაცული იყო. მოზრდილი ქვის ქვეშ აღმოჩნდა შვიდი თიხის ჭურჭელი, რომელთა შორის უწესრიგოდ ეყარა ადამიანის ძვლები. აქ ნაპოვნი ჭურჭელი უახლოვდება პირველ სამარხში ნაპოვნ ჭურჭელს[4].

ამრიგად, ირკვევა, რომ ამ ადრეულ საფეხურზე მიცვალებულს თრიალეთში ასაფლავებდნენ როგორც ორმოსანამარხებში, ისე ქვაყუთებში[5].

[1] იქვე, გვ. 32. კუფტინი ბ. ქართული კულტურის უძველესი ეტაპი თრიალეთში, თბ., გვ. 15.
[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ. გვ. 31.
[3] Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, გვ. 117.
[4] იქვე.
[5] აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1947 წ. გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით სოფ. ხადიკში ერთი ყორღანი გათხარა. ყორღანში აღმოჩენილი მასალა შეისწავლა და გამოაქვეყნა ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა ი. გძელიშვილმა. მისი აზრით, ყორღანში აღმოჩენილი კერამიკა უფრო არქაული უნდა იყოს, ვიდრე ბეშთაშენის ციხე-სიმაგრის ნანგრევების ქვეშ აღმოჩენილი ენეოლითური ჭურჭელი. ერთი მხრივ კერამიკის არქაული ტიპი და მეორე მხრივ ის ფაქტი, რომ აქ მიცვალებულის ნეშთზე წითელი საღებავი იყო მიყრილი, უფლებას აძლევს ი. გძელიშვილს ხადიკის ყორღანის ძირითადი სამარხი ადრინდელი ენეოლითით დაათარიღოს (იხ. ი. გძელიშვილი. ხადიკის ყორღანი, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XI, № 210. 1950; გვ. 703). ი. გძელიშვილის ეს მოსაზრება აშკარად მცდარია. ხადიკის ყორღანი მისი ინვენტარის მიხედვით უთუოდ უნდა მიეკუთვნოს თრიალეთის ყორღანულ სამარხთა იმ რიგს, რომელთაც ბ. კუფტინი ადრინდელ ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს. რაც შეეხება მიცვალებულის წითლად შეღებვის ფაქტს, იგი მერმინდელ ხანაშიც კარგადაა ცნობილი.

ზ ე მ ო ა ვ ჭ ა ლ ა. უკანასკნელ ხანებში გამოვლინებულ იქნა საკმაოდ მძლავრი ენეოლითური კულტურა ისტორიულ შიდა ქართლის ტერიტორიაზე. როგორც ირკვევა, აქ ეს კულტურა ჯერ კიდევ 1923—1924 წ. წ. აღმოჩენილა ზაჰესის მშენებლობის დროს, ოღონდ ბოლო დრომდე საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში ეს კოლექცია კატალოგში გაუტარებელი იყო და გაუხსნელად ინახებოდა ამ განყოფილების ფონდში.

ზემოავჭალის ენეოლითური მასალა მეტად საყურადღებოა[1]. იგი შედგება რამდენიმე ფართოყელიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტისაგან; აგრეთვე ნაპოვნი იყო მასიური ჯამი; ერთი სწორკუთხა სადგარი შუაში ნახვრეტით საგსებით ისეთივე, როგორც ტყვიავის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა[2]. გარდა ამ სადგარისა, ამავე კოლექციაში მოიპოვება კიდევ ორი სადგარი — ბრტყელი, ერთ მხარეზე ორი რქისებრი შვერილით, მეორეზე კი მომრგვალებულია და ნახვრეტი აქვს. რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ეს საგნები, გარკვევით თქმა ძნელია. ბ. კუფტინი ბრტყელ სადგარებს უკავშირებს ხარის კულტს და კრეტა-მიკენის მასალაზე მოცემულ გამოსახულებათა ანალოგიის გზით ფიქრობს, რომ შესაძლებელია სადგარის ხვრელში მოთავსებული იყო წმინდა ხის ტოტი ან მისი იმიტაცია („ჩიჩილაკის" მსგავსი)[3]. ეს მოსაზრება თითქოს იმიტომაც უფრო დასაშვები ჩანს, რომ სათანადო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში ბოლო დრომდე შემორჩა ზოგი ნიშანი ხარის კულტის კავშირისა ხის თაყვანისცემასთან[4]. უნდა შევნიშნოთ, რომ რქიანი სადგარები სადღეისოდ სამხრეთ ამიერკავკასიის ენეოლითურ მასალაში კარგადაა წარმოდგენილი. მათ ვხვდებით მალაქლუში, შენგავითში, შრეშ-ბლურში და სხვ. როგორც ფიქრობენ, ეს სადგარები ხარის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული, თუმცა ზოგი მათგანი, კერძოდ ნალისებრი მოყვანილობის, ეგებ, მართლაც კერის ნაწილი იყოს. ხარის კულტი ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში ძლიერ გავრცელებული ჩანს უკვე ენეოლითიდან დაწყებული. ეს კულტი კარგადაა ცნობილი უფრო მოგვიანო მასალაში. განსაკუთრებით მძლავრად გამოჩნდა იგი სტალინირის „ნაცარგორის" მასალაში.[5]

დ ი დ ი ა ხ ა ლ ი ს ო ფ ე ლ ი. 1946 წ. ენეოლითური ფენა შემთხვევით აღმოჩნდა სკრა-ქარელის სარწყავი არხის გაჭრის დროს სოფ. დიდ ახალ სო-

[1] Куфтин Б. А. К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии, გვ. 69.
[2] იქვე.
[3] იქვე. გვ. 71.
[4] იქვე. გვ. 72.
[5] გობეჯიშვილი გ. სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი, ტ. II, თბილისი, 1951 წ., გვ. 28.

ფელში[1] (ქარელის რაიონი). აქ გამოელენილი იყო კულტურული ნაშთების შემცველი რამდენიმე „ბუდე“, რომელიც დამწვარი თიხის ნაცრის და ნახშირის გარდა, შეიცავდა შავი ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს, ობსიდიანის დაუმუშავებელ ნატეხებს, ცხოველთა ძვლებსა და კბილებს. აქ აღმოჩენილი მასალიდან მხოლოდ ერთი ჭურჭლის აღდგენა მოხერხდა. იგი წარმოადგენს მოზრდილ ორყურა დერგს. ეს ჭურჭელი ახლო დგას ბეშთაშენის, დიდუბის და განსაკუთრებით კი კიკეთის ერთ-ერთ ჭურჭელთან.

სტალინირის ნაცარგორა. სტალინირის ნაცარგორის პირველი ფენა შეიცავდა ენეოლითური ხანის მასალას. აქ აღმოჩნდა ამ პერიოდის ხუთი სამარხი, ყოველ სამარხში თითო მიცვალებული ესვენა, ძლიერ მოკუნტული, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მწოლარე. სამარხეული ინვენტარი არც თუ ისე მდიდარი იყო. ნაპოვნია: ქუსლამოღარული კაჟის ისრის პირი, ქვის გახვრეტილი კვერი, ობსიდიანის ნატეხები. აღმოჩნდა რამდენიმე ლითონის ნივთი: სპილენძის მცირე სამსჭვალე, რომლითაც გაჭექილი უნდა ყოფილიყო კვერის ტარი და ორი პაწია რგოლი — საყურე. მხოლოდ ერთ სამარხში აღმოჩნდა ხელით ნაძერწი დამტვრეული თიხის ჭურჭელი. ერთ-ერთ სამარხში მიცვალებულისათვის თან ჩაუტანებიათ ბატკანი და რომელიღაც ფრინველი[2].

გარდა სამარხებისა, ნაცარგორაზე პირველმა ფენამ მოგვცა აგრეთვე ამ პერიოდის ძლიერ დაზიანებული ნამოსახლარის ნაშთი. ეს ფენა შეიცავდა ძირითადად ობსიდიანის ნატეხებს, სხვადასხვა ცხოველების ძვლებსა და თიხის ჭურჭლის ნატეხებს. როგორც ჩანს, ნაცარგორა პირველად სამოსახლო ბორცვი ყოფილა[3]. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი მორუხო-მოვარდისფროა, ხელით ნაძერწი. თიხაში ბლომადაა შერეული ობსიდიანი, ალბათ, იმის გამო, რომ ჭურჭლის კედლები გამოწვისას არ დამსკდარიყო. ძირითადად გვხვდება ფართოპირიანი ქოთნები და ქილები, რომელთაც მიძერწილი აქვს ნახევარსფერული ყურები. ზოგჯერ ჭურჭელი მარტივი ორნამენტითაა შემკული. გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, რომ ნაცარგორაზე აღმოჩენილი კერამიკა უფრო ახლო დგას დასაელეთ საქართველოს ენეოლითურ ჭურჭელთან (დაბლაგომი, ოჩამჩირე), თუმცა რამდენადმე უახლოვდება აგრეთვე მტკვარ-არაქსის ენეოლითურ კერამიკას.[4]

---

[1] ტ. ჩუბინიშვილი და ო. ჯაფარიძე. ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა ქართლში, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XV—B, თბილისი, 1948, გვ. 25.

[2] გობეჯიშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

[3] იქვე, გვ. 242.

[4] იქვე, გვ. 243.

ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი კაჟის ისრის პირის მსგავსი. იარაღი ცნობილია ოჩამჩირის ენეოლითური ფენებიდან (ტაბ. IV, 3). ერთი ამგვარი-ვე ისრის პირი არქაულ კერამიკასთან ერთად ნაპოვნი იყო ზღუდრის გვერდ-ზე. ამ ტიპის იარაღი საერთოდ ჩრდილო ქვეყნების კულტურებისთვის დამა-ხასიათებელი ჩანს[1]. აქ ნაპოვნი გრანიტის კვერი უახლოვდება შენგავითში აღ-მოჩენილ მარმარილოს კვერს (ტაბ. IV, 4). საერთოდ ეს ფორმა კარგადაა ცნობილი წინა აზიიდან[2] (ალიშარის ბორცვი, თეფე-გავრა, ტროა II—IV ნაქალაქარი და სხვ.).

ზ ღ უ დ რ ი ს გ ვ ე რ დ ა. სტალინირის მახლობლად კიდევ ერთ პუნქტში იქნა დამოწმებული ენეოლითური ფენა. გზის გადარეცხვის შედეგად ს. ნადი-მაშვილმა ზღუდრის გვერდაზე შეაგროვა ტიპიური ენეოლითური კერამიკა. ამ კერამიკიდან განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ჭურჭლის ფრაგმენტი, რო-მელსაც აშკარად ეტყობა ქსოვილის კვალი[3]. ქსოვილიანი კერამიკა სომხეთი-სა და საქართველოს ენეოლითისათვის მანამდე უცნობი იყო. ამიერკავკასია-ში პირველად იგი ცნობილი გახდა რამდენადმე უფრო მოგვიანო ხანის მასა-ლაში ხანლარიდან და სტეპანაკერტიდან. ცნობილია ამ ტიპის ჭურჭელი ჩრდილოეთ კავკასიიდან (დოლინსკოეს ნამოსახლარი)[4]. ზღუდრის გვერდას ფრაგმენტს შიდა პირზე შესანიშნავად ემჩნევა ქსოვილის ანაბეჭდი.

არაკერამიკული მასალიდან აღსანიშნავია აქ ნაპოვნი ერთი ასიმეტრიუ-ლი ისრის პირი. როგორც აღნიშნული იყო, მსგავსი ისრის პირები ჩვენში აღმოჩენილია ნაცარგორაზე და ოჩამჩირეში.

+ ქ უ ლ ბ ა ქ ე ბ ი. სტალინირის მიდამოებში სადღეისოდ გამოვლენილია კიდევ ერთი ენეოლითური ხანის ძეგლი. სოფელ ოსპრისთან ბორცვ ქულბაქებ-ზე აღმოჩენილი იყო ენეოლითური ხანის ნამოსახლარი. ეს ბორცვი დაახ-ლოებით 3 მ სიმაღლისაა (სიგრძე—58 მ; სიგანე—45 მ). კულტურული ფე-ნა აქ ძალზე არეული ჩანდა. მრავლად იყო ენეოლითური კერამიკის ფრაგ-მენტები, ბათქაშის ნატეხები, ცხოველების ძვლები, უმეტესად, მსხვილფეხა საქონლის და სხვ. თიხის ჭურჭელი მეტწილად მოწითალო ფერისაა. აღსანიშ-ნავია აქ ნაპოვნი ორი სამყურა ჭურჭელი, ბადიისებრი ჭურჭელი, ქილისმაგ-ვარი ჭურჭელი, ტოლჩები, დისკოიდური ხუფები და სხვ. (ტაბ. V, VI). განსა-კუთრებით საყურადღებოა მოზრდილი თიხის კერა (ტაბ. VIII, 1). იგი კარგა-

[1] გობეჯიშვილი გ., დასახ. ნაშრ., გვ. 244.

[2] ი ქ ვ ე.

[3] Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[4] ი ქ ვ ე. გვ. 75.

დაა შემონახული და სავსებით ისეთივეა, როგორც შენგავითის მრგვალი კერები (ტაბ. VII, 4). აღსანიშნავია აგრეთვე აქ აღმოჩენილი რამდენიმე ფრაგმენტი რელიეფური რაღაც ორნამენტით შემკული ჭურჭლისა (ტაბ. VI, 3, 4). როგორც ჩანს, ორნამენტირებული ჭურჭელი ნაკლებად დამახასიათებელი უნდა იყოს შიდა ქართლის ენეოლითისათვის.

არაკერამიკული მასალა ქულბაქებზე მეტად მწირი აღმოჩნდა: რამდენიმე კაჟის ნამგლის პირი და ერთიც მოგრძო საფხეკისმაგვარი იარაღი (ტაბ. V, 9).

გარდა ენეოლითურისა. ამავე ბორცვზე ნაპოვნი იყო უფრო მოგვიანო ხანის მასალაც. ენეოლითურ კერამიკასთან ერთად ხშირად გვხვდება აგრეთვე შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის შავი ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. აქვე აღმოჩნდა შუა ბრინჯაოს ხანის ერთი სამარხი.

ქულბაქების ქვეშ, მისგან დაახლ. 200—300 მ დაშორებით სტალინირისაკენ ზღუდრის გვერდას პირდაპირ, ოსპრისის ხევის მარჯვენა ნაპირზე ნაპოვნი იყო ენეოლითური ხანის მასალა. ამ ადგილას ადგილობრივი მოსახლეობა „კული ხევმს" უწოდებს. აქ. მართალია მცირე, მაგრამ, უთუოდ, საინტერესო მასალა აღმოჩნდა. კულტურული ფენა აქ არ იყო ძლიერი. აქაც ძირითადად თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ჩნდებოდა, უმეტესად, მოწითალო ფერისა, ქულბაქების ტიპის. თიხის ჭურჭელი ძლიერ დალეწილი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ნაპოვნი რამდენიმე ძლიერ დაზიანებული მრგვალი კერის ნაწილები. კერები არც თუ ისე დიდი ზომისა იყო. ერთ-ერთ კერას, რომელიც შედარებით უკეთ დაცული იყო, შიგნითა და გარეთა პირი წითლად გაპრიალებული ჰქონდა. ჩანს, იგი გადასატანი კერა უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა. რომ ამ კერების მახლობლად ჩნდებოდა ხოლმე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, საქონლის ძვლები და სხვ. აღსანიშნავია, აქ ნაპოვნი დაზიანებული რაღაც რქისებრი სადგარი, ალბათ ხარის კულტთან დაკავშირებული (ტაბ. IV, 11). აქვე აღმოჩნდა ერთი გარეული ღორის კბილის საკიდი (ტაბ. IV, 10). ქვის ან ძვლის რაიმე იარაღი აქ სრულიად არ აღმოჩენილა.

ძნელია ჯერ კიდევ რაიმეს გარკვევით თქმა, თუ რა ხასიათის ძეგლთანა გვაქვს აქ საქმე. შესაძლოა აქ რაიმე დროებითი, სეზონური სადგომი ყოფილიყო.

სოფ. ქვასათალში (სტალინირის რაიონი) ბრინჯაოს ხანის სამაროვნის გათხრის დროს 1953 წ. დაახლ. 2,0 მ სიღრმეზე ნაპოვნი იყო აშკარად ენეოლითური კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ჭურჭლის აღდგენა მოხერხდა. ეს არის ცალყურა ტოლჩა. იგი თავისი ფორმით ახლოს დგას ხადიკის ყორღანში მოპოვებულ ამგვარსაევე ჭურჭელთან.

ტყვიავი. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა პროფ. ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით 1938—1940 წ.წ. არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა სოფ. ტყვიავში. აქ გაითხარა სამი ყორღანი. პირველი ყორღანის ყრილი ძირითადად რიყის ქვისა იყო. ქვაყრილის აყრის დროს მრავლად ჩნდებოდა თიხის ჭურჭლისა და ობსიდიანის ნატეხები.[1] სამარხები ყორღანში სხვადასხვა სიღრმეზე ჩნდებოდა. მაგ.: სამარხი № 1 აღმოჩნდა 0,90 მ სიღრმეზე; 0,80 მ სიღრმეზე აღმოჩნდა 5 სამარხი; 1,10 მ სიღრმეზე—12 სამარხი და სხვ.

I ყორღანში ნაპოვნი იყო სულ 42 სამარხი. მიცვალებულები დამარხული იყო სხვადასხვა წესით: მოკრუნჩხული, გულაღმა, ფეხებმოხრილი, გვერდზე მწოლარე და სხვ. ინვენტარი ან სრულებით არ აღმოჩენილა, ან მეტისმეტად ღარიბული. ს. მაკალათია ფიქრობს, რომ ეს ყორღანი საგვარეულო სასაფლაოს წარმოადგენდა.

II ყორღანი ფორმით და მოწყობილობით იმგვარიევ იყო, როგორიც I ყორღანი, ოღონდ უფრო პატარა. განსხვავება იმაში იყო, რომ II ყორღანში აღმოჩნდა მეტად ცუდად დაცული ერთი სამარხი[2]. სამარხში მიცვალებულის მხოლოდ რამდენიმე ძვალი იყო ნაპოვნი. სამარხში იდო ერთი შავი თიხის ჭურჭელი, ოთხწახნაგა სპილენძის სადგისი და სპილენძის ბრტყელი დანის პირი. ქვაყრილში ნაპოვნი იყო აგრეთვე სწორკუთხა ფორმის სადგარი, შუაში ნახვრეტით იმ ტიპისა, როგორიც ზემო ავჭალაში აღმოჩნდა და მსხლის ფორმის ქვის ლახტის თავი თრიალეთის ერთ-ერთ უძველეს ყორღანში ნაპოვნი ჰემატიტის ლახტის თავის მსგავსი[3].

III ყორღანი ისეთივე იყო, როგორიც პირველი ორი. ქვაყრილში ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ობსიდიანის ნატეხები. აქ აღმოჩნდა ერთი სამარხი, რომელშიაც ორი მიცვალებული ესვენა: ერთს შერჩენილი ჰქონდა მხოლოდ თავის ქალა და მკლავის ძვალი, მეორე კი შედარებით კარგად დაცული იყო. უკანასკნელი იწვა მარცხენა გვერდზე ძლიერ მოკრუნჩხული.[4] სამარხში ნაპოვნი იყო სამი სპილენძის ხვია — სასაფეთქლე სამკაული.

ტყვიავის ყორღანები, ვფიქრობთ, მიეკუთვნებიან გარდამავალ საფეხურს ენეოლითიდან უკვე ადრეულ ბრინჯაოს ხანაზე. ტყვიავის კერამიკა ახლოდგას ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ ენეოლითურ კერამიკასთან, მაგრამ იგი უკვე, რამდენადმე მაინც საერთოს პოულობს მომდევნო ხანის თრიალეთის ადრეუ-

---

[1] მაკალათია ს., ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, გვ. 12.

[2] მაკალათია ს., დასახ. ნაშრ., გვ. 28.

[3] Куфтин Б, А. Археолог. раскопки в Триалети, გვ. 101.

[4] მაკალათია ს., დასახ. ნაშრ., გვ. 37.

ლი ბრინჯაოს პერიოდის ყორღანულ ჭურჭელთან და აგრეთვე საჩხერის კერამიკასთან. აქ აღმოჩენილი სწორკუთხა სადგარი, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, სავსებით ისეთივეა როგორიც ზემოავჭალის ენეოლითურ ფენაში აღმოჩენილი სადგარი.

ლითონის ნივთებიდან საყურადღებოა ოთხწახნაგა სპილენძის სადგისი, რომელიც უფრო პრიმიტიული ფორმისა ჩანს, ვიდრე თრიალეთის ერთ-ერთი ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანში და აგრეთვე აფხაზეთის დოლმენების ძირა ფენიდან ცნობილი სადგისები და უფრო უახლოვდება ენეოლითურ ფენებში მოპოვებულ სადგისებს, მაგ., ოზნის ენეოლითურ ნამოსახლარზე ნაპოვნ სადგისს[1]. თითქოს რამდენადმე უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს ტყვიავ'ში აღმოჩენილი დანის პირი. ამგვარი იარაღი გავრცელებულია ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურზე. ასეთი პრიმიტიული დანის პირები ცნობილია საჩხერის კოლექციიდან, თრიალეთის ერთ-ერთი (უძველესი) ყორღანიდან და სხვ.[2] ამავე პერიოდისთვისაა დამახასიათებელი აგრეთვე სასაფეთქლე ხვიები. ამგვარი ხვია, ოღონდ ვერცხლისა, ცნობილია თრიალეთის ადრინდელი ჯგუფის ყორღანებიდან[3]. ვხვდებით მათ აგრეთვე საჩხერის კომპლექს'ში[4] და სხვ. აქ მოპოვებული ლახტის თავი, როგორც აღნიშნული იყო, უახლოვდება თრიალეთის ჰემატიტის ლახტის თავს ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანიდან. ამრიგად განხილულიდან თითქოს ჩანს, რომ ტყვიავის მასალაში ერთი მხრივ გვხვდება ჯერ კიდევ ენეოლითისათვის დამახასიათებელი ნივთები და მეორე მხრივ უკვე ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ტიპიური ფორმები. ამიტომაც, ეგებ, უფრო მართებული იყოს ტყვიავის ყორღანების მიკუთვნება უკვე ერთგვარ გარდამავალ საფეხურზე — ენეოლითიდან ადრეულ ბრინჯაოს ხანაზე.

ურბნისი. 1953 წ. სოფ. ურბნისში მიწის სამუშაოების დროს ერთ-ერთი ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენები. ქვედა ფენა ენეოლითურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა რაღაც ნაგებობის თიხატკეპნილი იატაკი; გაიწმინდა დაახლოებით 25 კვ. მ ფართობი, მთელ იატაკზე მიმოპნეული იყო

[1] Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском р-не, გვ. 31, ტაბ. XLI 3.

[2] Куфтин Б. А. Археолог. раскопки в Триалети, გვ. 107, ტაბ. CXV. Куфтин Б. А. Археолог. маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949; გვ. 71 ტაბ. LVI.

[3] Куфтин Б. А. Археолог. раскопки в Триалети, გვ. 104, ტაბ. CXIV.

[4] Куфтин Б. А. Археологическая экспедиция... გვ. 79. ტაბ. LXV.

კერამიკის ფრაგმენტები. უმთავრესად აღმოჩნდა ვარდისფერი ჭურჭლის ნატეხები. შავი ფერის კერამიკა შედარებით იშვიათია. გვხვდება მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები, ჯამები, სასმისები და სხვ. ნაპოვნია აგრეთვე რამდენიმე ხუფის ფრაგმენტი (დიდუბისა და მალაქლუს ტიპის). აღსანიშნავია ორი ფრაგმენტი ერთი მოზრდილი მოვარდისფრო თიხის ჭურჭლისა, რომელშიაც რელიეფური ორნამენტია შერჩენილი, ეგებ, ირმის რქები და ფეხები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევაა შიდა ქართლის ენეოლითურ მასალაში რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭლის აღმოჩენისა. ჭურჭლის ყურები ჩვეულებრივად ტიპიური ენეოლითურია, თუმცა გვხვდება ისეთი ჭურჭელი, რომელსაც ყური თითქოს უფრო განვითარებული აქვს. ყურის ცალი ბოლო მიძერწილია მუცლის ზედა ნაწილზე, მეორე კი — პირთანაა მიტანილი. ხშირად მათ შუაზე მთელ სიგრძეზე წახნაგი გაუყვება. ასეთი ყურიანი ჭურჭელი ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ ენეოლითურში ჩვენთვის უცნობია. ამგვარი ყურები დამახასიათებელია საგვარჯილეს ენეოლითური ჭურჭლისათვის. ნაპოვნია აგრეთვე ქსოვილიანი კერამიკის ფრაგმენტებიც. საყურადღებოა აგრეთვე კათხის ფორმის ერთი თიხის ჭურჭელი, რომელიც სპეციალისტების აზრით, შესაძლებელია მართლაც გამდნარი ლითონის ჩამოსასხმელად იხმარებოდა.

ქვის ნივთებიდან საყურადღებოა შესანიშნავი კაჟის ყუნწიანი ისრის პირი, დაკბილული ნამგლის პირი — ქვისა და ძვლის კვირისთავები. აღსანიშნავია ქვის ცული, რომელიც თავისი ფორმით ლითონის ყუადაქანებული ცულის ფორმის ამკარა განმეორებაა. მრავლად აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმის ხელსაფქვავის ქვები.

ლითონის ნივთებიდან აღმოჩნდა ერთი ოთხწახნაგა სადგისი და ერთიც ხანჯალი.

აღსანიშნავია აქ ნაპოვნი კერის ფრაგმენტი და რაღაც ცხოველის (?) ქანდაკების ნატეხები. საყურადღებოა ერთი პატარა ზომის ქალის უთავო ქანდაკება მკვეთრად გამოსახული მკერდით.

იატაკზე და თიხის ჭურჭლებში ნაპოვნი იყო მარცვლეულის ნაშთები. აღმოჩნდა აგრეთვე ცხოველების ძვლებიც.

ნაპოვნი იყო ბათქამის ნატეხები. შესაძლოა იქ, ხის ნაგებობა იყო თიხით შელესილი.

ურბნისში მოპოვებული მასალა მხოლოდ დამუშავების პროცესშია, მაგრამ აშკარაა, რომ მასალა მეტად საყურადღებოა. წინასწარ თითქოს შეიძ-

ლება ითქვას, რომ აქ, ეგებ, ენეოლითის უკვე საკმაოდ განვითარებულ სტადიასთან გვაქვს საქმე, უფრო სწორედ კი გარდამავალ საფეხურთან[1].

უნდა აღინიშნოს, რომ ტიპიური ენეოლითური კერამიკა აღმოჩნდა დმანისში, ფეოდალური ხანის ნაქალაქარის გათხრის დროს, ოღონდ მაშინ ამ მასალისათვის სათანადო ყურადღება არავის მიუქცევია. სადღეისოდ აქედან მხოლოდ რამდენიმე ენეოლითური ჭურჭლის ფრაგმენტია ცნობილი.[2]

დასავლეთ საქართველოში სადღეისოდ მხოლოდ სამგანაა აღმოჩენილი ენეოლითური ხანის ძეგლი: დაბლაგომში, ოჩამჩირესთან და უკანასკნელ ხანებში სოფ. ძევრთან საგვარჯილეში.

დ ა ბ ლ ა გ ო მ ი. 1929 წ. დაბლაგომში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა მეტად საყურადღებო მასალა, რომელიც იმავე წელს პროფ. ნ. ბერძენიშვილმა საქართველოს მუზეუმში ჩამოიტანა. რა თქმა უნდა. ამ ადგილმა იმთავითვე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია და 1936 წ. პროფ. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო დაბლაგომის არქეოლოგიური ექსპედიცია.[3] აქ სხვადასხვა პერიოდის მასალასთან ერთად ნაციხვარის აღმოსავლეთ ფერდობზე აღმოჩნდა ენეოლითური ხანის ფენა. ეს ფენა შეიცავდა დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს, ხელსაფქვავის ქვებს, კაჟის იარაღს, ნახშირს, ნაცარს და სხვ.[4] განსაკუთრებით საყურადღებოა აქ მოპოვებული კერამიკა. იგი ხელითაა ნაძერწი, სქელკედლიანი, ვარდისფერი სარჩულით, რომელსაც ალაგ-ალაგ მოშავო ფერი გადაკრავს. ზედაპირი გაპრიალებულია. აქ უმეტესად გვხვდება მაღალი და ფართოყელიანი მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები; მომცრო ზომის ჭურჭელი შედარებით იშვიათია. ზოგიერთ ჭურჭელს უმთავრესად მხრიდან ყელზე გადასვლის ადგილას აქეთ-იქით თითო ნახევარსფერული მოყვანილობის პატარა ყური აქვს, ზოგს კი ყურის ნაცვლად თითო ან ორ-ორი შვერილი[5]. დაბლაგომის ჭურჭელს ბევრი საერთო აქვს როგორც დამზადების ტექნიკის მხრივ, ისე ფორმის მხრივ, დიდუბის, კიკეთის, ელარის და სხვ. მასალებთან. აქაც გვხვდება სამხრეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კერამიკისათვის დამახასიათებელი ფორმები: მაღალი, ცილინდრულყელიანი ჭურჭელი, ნახევარსფერული მოყვანილობის ყურები და სხვ[6]. აღსა-

[1] ცნობა ამ ძეგლის შესახებ მოგვაწოდა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა ს. ნადიმაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[2] Куфтин Б. А. Археолог. раскопки в Триалети, გვ. 108.

[3] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. II. Тб. 1950, გვ. 1.

[4] Хоштария Н. В. Древнее поселение в Даблагоми, Тбилиси, 1941. (рукопись) გვ. 20.

[5] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 131, Хоштария. Н. В.. დასახ. ნაშრ., გვ. 105.

[6] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრომი გვ. 132, Хоштария Н. В., იქვე, გვ. 113.

ნიშნავია დაბლაგომში ნაპოვნი დისკოსებრი მოყვანილობის თიხის ხუფის ფრაგმენტები. იგი ახლოს დგას მალაქლუს, ბეშთაშენის, დიდუბის და სხვ. ამგვარსავე ხუფებთან.

უთუოდ საყურადღებოა დაბლაგომში აღმოჩენილი ორი ფრაგმენტი. ორივეს შუაზე დაახლოებით 1,0 სმ დიამეტრის ნახვრეტი აქვს. ეს ნატეხები უნდა ეკუთვნოდეს საკმაოდ მოზრდილ ჭურჭელს, რომელსაც მუცლის ზედა ნაწილზე თითო ნახვრეტი ჰქონია. შესაძლოა, ეს ჭურჭელი მართლაც სადღეგელი იყოს[1]. უნდა აღვნიშნოთ, რომ სადღეგელი ჩვენში საერთოდ კარგადაცნობილი და მას ხშირად ვხვდებით გვიან ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული (სამთავრო, ფლავისმანი, ქვასათალი და სხვ.). უფრო ადრეული ხანის მასალებიდან სადღეგელი, ზემოთ აღნიშნულის გარდა, ჩვენთვის უცნობია. გვიანი ბრინჯაოს ხანის სადღეგლებს, ჩვეულებრივად, ხვრელი ოდნავ მილისებრი გამოშვერილი აქვს ხოლმე. დაბლაგომის სადღეგელზე კი ხვრელთან ჭურჭლის კედელი ოდნავ სქელდება. ამრიგად, როგორც ჩანს, ჩვენში სადღეგლის ტიპის ჭურჭელი უკვე საკმაოდ ადრეული პერიოდიდანაა ცნობილი.

აღსანიშნავია დაბლაგომში მოპოვებული ტლანქად ნაძერწი ქილისებრი ფორმის კერამიკა, რომელსაც ძირზე აშკარად ეტყობა ჭილოფის ანაბეჭდი[2]. ამგვარი ანაბეჭდიანი ჭურჭლის ფრაგმენტები ცნობილია დიხა გუძუბიდან და ოჩამჩირის ენეოლითური ხანის სადგომიდან.

გარდა კერამიკისა, ნაციხვარზე აღმოჩნდა აგრეთვე ქვის იარაღიც, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი დაკავშირება კულტურულ ფენასთან ყოველთვის ვერ ხერხდება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ტიპობრივად ისინი შესაძლოა ნაციხვარის სწორედ ძველ ფენას ეკუთვნოდნენ[3].

ნაციხვარზე აღმოჩნდა სამი ხელსაფქვავის ქვა. აქედან მხოლოდ ერთია უშუალოდ კულტურულ ფენაში ნაპოვნი. გამოირჩევა ორი ტიპის ხელსაფქვავი: ერთი დიორიტის მოგრძო ოვალური ფორმის, მეორე კი „ნავისებრი" მოყვანილობის[4].

ნაციხვარის ნამოსახლარზე ორი კაჟის იარაღი და ორიც ანატკეცი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი უშუალოდ ფენაში არ აღმოჩენილა. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს იარაღი ქვედა ფენისა იყოს. ამათგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ორმხრივ დამუშავებული ფოთლისებრი მოყვანილობის შუბის პირი. იგი ჯერ კიდევ აშკარად ატარებს ნეოლითური ტექნიკის

[1] Хоштария И. В. დასახ. ნაშრ., გვ. 100, Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 138.
[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 139.
[3] Куфтятин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 127.
[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 127, Хоштария И. В., დასახ. ნაშრ., გვ. 110.

კვალა და ახლო დგას თეთრამიწაზე აღმოჩენილ ერთ ამგვარსაევე იარაღთან. მეორე იარაღი — ტაგრძელებული ფორმის დანისმაგვარი იარაღი უნდა იყოს, დამუშავებულია ორმხრივ[1].

გარდა კაჟის იარაღისა, ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა აგრეთვე ობსიდიანის ხუთი ანატკეცი — ამათგან მხოლოდ ერთს ეტყობა **დარტყმის** სიბრტყე. მათი უშუალოდ დაკავშირება ქვედა ფენასთან ძნელია[2].

ნაციხვარის ნამოსახლარის შესახებ მასალის სიმცირის გამო სადღეისოდ ბევრის არაფრის თქმა შეიძლება. როგორც ჩანს, დაბლაგომის კერამიკული კომპლექსი ახლო დგას ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოვლენილ ენეოლითური ხანის მასალასთან[3]. აქაც გვხვდება თიხის ჭურჭლის სავსებით ისეთივე ფორმები, თითქმის ყველა დამახასიათებელი ნიშნით (ფართო ცილინდრული ყელი, ნახევარსფეროსებრი ყურები, ნოყვანილობა და სხვ.), რომლითაც ხასიათდება ლიტერატურაში უკვე კარგად დამკვიდრებული ე. წ. მტკვარ-არაქსის ენეოლითური კერამიკა. როგორც ჩანს, ეს კულტურა სცილდება მტკვრისა და არაქსის აუზის ფარგლებს[4], ვრცელდება დასავლეთ საქართველოშიც და რიონის დაბლობამდე აღწევს. ამიტომაც, ეგებ, ლიტერატურაში დამკვიდრებული სახელწოდება მთლად ზუსტი არ იყოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დაბლაგომის მასალაში აშკარად შეინიშნება აგრეთვე გარკვეული მსგავსება კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილ ადრეული ხანის ძეგლებთან. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით შეიძლება იმის თქმა, რომ კოლხეთის დაბლობის ადრეული ხანის ნამოსახლარები ერთგვარი თავისებურებით ხასიათდება და გარკვეულ განსხვავებულ მასალას იძლევა ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიის ენეოლითურ ნამოსახლარებზე ნაპოვნ მასალებთან შედარებით. დაბლაგომში მოპოვებული მასალა მსგავსებას იჩენს ოჩამჩირის ენეოლითური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილ კერამიკასთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭილოფის ანაბეჭდიანი კერამიკა. როგორც აღნიშნული გვქონდა, მსგავსი კერამიკა ცნობილია აგრეთვე დიხა-გუძუბას ქვედა ფენიდან. მაგრამ მიუხედავად გარკვეული ურთიერთობისა კოლხეთის ადრეულ ნამოსახლარებთან, ნაციხვარის მასალაში უფრო მჭიდრო კავშირი ჩანს აღმოსავლეთ საქართვე-

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 129.

[2] იქვე, გვ. 128.

[3] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 132; Хоштария Н. В. დასახ. ნაშრ., გვ. 113.

[4] Куфтин Б. А. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии. Краткие сообщ. ИИМК. вып. VIII. Москва, 1940, стр. 12.

ლოს ენეოლითთან. სამწუხაროდ, სადღეისოდ ამ მეტად საინტერესო საკითხის შესახებ ბევრის არაფრის თქმა შეგვიძლია.

ნაციხვარის ნამოსახლარის სამეურნეო ცხოვრების სურათის აღდგენისათვის მეტად მცირე მასალა მოგვეპოვება. ნაპოვნი იყო, მცირე რაოდენობით, ცხოველების ძვლები: ძროხის, წვრილფეხა საქონლის და ღორის.[1] მსხვილფეხა საქონლის ძვლები აქ შედარებით მეტი აღმოჩნდა. ეს გარემოება და აგრეთვე ისიც, რომ აღმოჩნდა სადღეებლის ფრაგმენტები, გვაფიქრებინებს, რომ აქ უმეტესად მსხვილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ. კოლხეთის დაბლობზე ამ პერიოდში საამისოდ ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო.

ნამოსახლარის ქვედა ფენაში მოპოვებული ხელსაფქვავის ქვები და აგრეთვე მოზრდილი ჭურჭელი, რომელიც უმეტესად, ალბათ, მარცვლეულის შესანახად იხმარებოდა, შეიძლება, მიწათმოქმედების განვითარებაზე მიუთითებდეს.

ოჩამჩირე. სამშენებლო სამუშაოების დროს ოჩამჩირიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 5 კმ დაშორებით, იმ ადგილას, სადაც მდინარე ჯიქიმურა ხლვას ერთვის, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა მეტად საყურადღებო მასალა. 1935—1936 წ. წ. აქ არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარეს მ. ივაშჩენკომ და ლ. სოლოვიოვმა[2]. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ძველი ნამოსახლარი განლაგებული ყოფილა ერთმანეთის გვერდით მდებარე სამ ბორცვზე[3]. აქ გვხვდება სხვადასხვა პერიოდის მასალა. ქვედა კულტურული ფენა დაახლოებით ზღვის დონეზე იყო. ამ ფენაში მოპოვებული მასალა საგრძნობლად განსხვავდება ზედა ფენებისაგან. იგი შეიცავდა თავისებურ კერამიკას, ხელსაფქვავის ქვებსა და ძვლის იარაღს, მრავლად ცხოველების ძვლებსა და სხვ. ქვედა ფენას მოსდევდა საკმაოდ სქელი სტერილური ფენა, რაც უთუოდ იმას უნდა მოწმობდეს, რომ ეს ადგილი კარგა ხანს მიტოვებული იყო და ცხოვრება მხოლოდ ანტიკურ პერიოდში განახლებულა. ამ ფენის თავზე აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი ანტიკური ხანის კულტურული ფენა[4].

უძველესი ნამოსახლარი აქ ენეოლითური ხანისა უნდა იყოს[5]. გათხრებით მოპოვებული მასალა მეტნაკლებად გარკვეულ სურათს გვაძლევს იმ-

[1] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, II, გვ. 127.

[2] Соловьев Л. И. Археологические раскопки близ г. Очамчири в Абхазии. Советская археология. IV. М.—Л., 1937. გვ. 323.

[3] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. ტ. II გვ. 259.

[4] იქვე. გვ. 270.

[5] Соловьев Л. И. Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии. Тр. Абхазского научно-исслед. инст. яз. и ист., Сухуми, 1939. вып. XV, გვ. 5.

დროინდელი ადამიანის ცხოვრების შესახებ. იარაღი უპირატესად ქვისაა. მასალად გამოყენებულია კაჟი და რიყის ქვა; განსაკუთრებით ბევრია რიყის ქვისგან ნაკეთები იარაღი; გვხვდება ცულები, თობები, საწაფები და სხვ.[1] კაჟის იარაღი უმთავრესად პატარა ზომისაა. აღმოჩნდა საპრისები, საფხეკები, სახვრეტები, ნუკლეუსები, ისრისა და შუბის პირები, ხერხისა და ნამგლის პირები და სხვ[2]. დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი აგრეთვე კაჟის ანატკეცები, რომელთაც თითქმის ყველას ეტყობა ხმარების კვალი. აღსანიშნავია ერთი ქვის კვირისთავის ნატეხი. კულტურულ ფენაში ხშირად ჩნდება გრანიტის ხელსაფქვავები[3].

გარდა ქვის იარაღისა ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო აგრეთვე ძვლის იარაღიც: სადგისები, სატეხი, გახვრეტილი რქის თოხი და სხვ.[4].

ქვედა კულტურულ ფენაში მრავლად აღმოჩნდა კერამიკა, სამწუხაროდ. ძლიერ დალეწილი. ამიტომაც ძნელია ჭურჭლის ფორმის შესახებ რაიმეს გარკვეეთ თქმა. როგორც ჩანს, უპირატესად გვხვდება ქილისებრი ჭურჭლის ნატეხები; შედარებით იშვიათია ღრმა ჯამები, ცალყურა თუ უყურო სასმისები (ტოლჩა), ქოთნისმაგვარი ჭურჭელი და სხვ. ჭურჭლის ყური ჩვეულებრივად პატარა ზომისაა, მრგვალი, ზოგჯერ ბრტყელი. უფრო მოზრდილ ცალებს ხშირად ყურის ნაცვლად შვერილები აქვს. გვხვდება ჭურჭელი, რომელსაც ძირზე ატყვია ჭილოფის თუ ქსოვილის ანაბეჭდი[5].

თიხის ჭურჭელი მეტად ტლანქია, ხელით ნაძერწი, სქელკედლიანი. იგი სუსტადაა ღია ცეცხლზე, არათანაბრად გამომწვარი. ორნამენტი ჭურჭელზე შედარებით იშვიათია. უმთავრესად გვხვდება მარტივი ორნამენტი სწორი თუ ირიბი ჭდეული ხაზები, სამკუთხედები და სხვ.

როგორც ამ ნამოსახლარზე მოპოვებული მასალიდან ჩანს, მიწათმოქმედება აქ საკმაოდ დაწინაურებული უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს უთუოდ აქ მოპოვებული სამიწათმოქმედო იარაღი: კაჟის ნამგლის პირები, ქვის და რქის თოხები, ხელსაფქვავის ქვები და სხვ. მიწათმოქმედების გვერდით, ჩანს, ვითარდება აგრეთვე მესაქონლეობაც. კულტურულ ფენაში მრავლად აღმოჩნდა საქონლის ძვლები[6]. ამათგან ყველაზე ჭარბადაა ძროხის. იგი იმავე

---

[1] Соловьев Л. Н. დასახ. ნაშრ.; გვ. 28.
[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 268, Соловьев Л. Н., დასახ. ნაშრ., გვ. 35.
[3] Соловьев Л. Н. Археологические раскопки..., გვ. 323.
[4] Соловьев Л. Н. Энеолитическое селище... გვ. 39.
[5] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 266, Соловьев Л. Н., დასახ. ნაშრ., გვ. 41.
[6] Соловьев Л. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 52.

ტიპისაა. როგორც დაბლაგომისა და ანაკლიიდან ცნობილი, პატარა ზომის[1]. აქაც. საფიქრებელია, უპირატესად მსხვილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ დაბლაგომის მსგავსად და რძის პროდუქტს, ეგებ, აქაც მნიშვნელოვანი როლი ეკავა. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ღორის ძვლებიც. ჩანს, ამ პერიოდში კოლხეთში მეღორეებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო. ტყიანი ადგილები უთუოდ ხელს უწყობდა მესაქონლეობის ამ დარგის დაწინაურებას[2]. ოჩამჩირის ნამოსახლარზე, ისევე როგორც დაბლაგომში, შედარებით მცირე რაოდენობით აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ნაშთები (ცხვარი, თხა). ნეკნავარეობის განვითარებისათვის კოლხეთში შესაძლოა სათანადო პირობები არ იყო. ტყიანი ლანდშაფტი საამისოდ ნაკლებად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო[3]. მრავლად აღმოჩნდა აქ გარეული ცხოველების ძვლები, უპირატესად გარეული თხისა და ირმის. მონადირეობას ჩანს, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. კოლხეთის ტყიან და მაღალმთიან ადგილებში, რა თქმა უნდა, საამისოდ ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აქ, როგორც ირკვევა, მეთევზეობას. მრავლად აღმოჩნდა ნამოსახლარზე ბადის საწაფები, გვხვდება აგრეთვე თევზის ძვლებიც[4].

ერთგან აღმოჩნდა 3,0 მ დიამეტრის თიხატკეპნილი ადგილი, რომელიც, შესაძლოა, ქოხის იატაკი ყოფილიყო. აქვე მრავლად ჩნდებოდა თიხის ბათქაშია ნატეხები და, ეგებ, სწორედ ამით იყო შელესილი ქოხის კედლები.

ოჩამჩირის ენეოლითურ ნამოსახლარზე მოპოვებული მასალა გარკვეულ მსგავსებას იჩენს კოლხეთის დაბლობის ადრეული ხანის ძეგლებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ანაკლიის მახლობლად გათხრილი დიხა გუძუბას ქვედა ფენაში აღმოჩენილი მასალა[5]. დიხა გუძუბას კერამიკა უახლოვდება ოჩამჩირისას, თუმცა რამდენადმე თითქოს უფრო ახალგაზრდა ჩანს. აქაც გვხვდება თიხის ჭურჭელი ჭილოფის ანაბეჭდით ძირზე. მსგავსება ჩანს აგრეთვე ქვის იარაღშიც. დიხა გუძუბას ქვედა ფენაში აღმოჩნდა ერთი ფუძეწოლარული ისრის პირი სავსებით ისეთივე, როგორც ოჩამჩირეში[6].

საყურადღებოა, რომ ოჩამჩირის ენეოლითური მასალა ანალოგიას პოულობს აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ რამდენადმე უფრო მოგვია-

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 268.
[2] Кларк Г. Доисторическая Европа, Москва, 1953, გვ. 126.
[3] Кларк Г. Доистор. Европа, Москва, 1953, გვ. 127.
[4] Соловьев Л. И. დასახ. ნაშრ., გვ. 52.
[5] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 268.
[6] იქვე, სქოლიო.

'ნო ძეგლებთან, კერძოდ დოლმენების ძირა ფენის მასალასთან. აქ აღმოჩნდა ერთი თიხის ჯამი და კაჟის ისრის პირი, რომლებიც უახლოვდებიან ოჩამ-ჩირის ნამოსახლარის მასალას.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთის ენეოლითური ხანის ნამოსახლარების შესახებ სადღეისოდ მეტად მცირე მასალა მოგვეპოვება თითქოს მაინც შეინიშნება გარკვეული თავისებურება, რითაც იგი განირჩევა ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიის კარგად ცნობილ ამავე პერიოდის ნამოსახლარებისაგან.

ამით ამოიწურება სადღეისოდ ცნობილი ენეოლითური ხანის ძეგლები საქართველოში.

ბ) ენეოლითური კულტურის დახასიათება

მტკვარ-არაქსის ენეოლითის ტიპის ძეგლები კარგადაა გამოვლენილი დღევანდელ სომხეთის ტერიტორიაზე. აქ უკანასკნელ ხანებში წარმოებული სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი იყო ადრეული ხანის ნამოსახლარები. ამათგან აღსანიშნაია შენგავითი, შრეშ-ბლური, ქულ-თაფა, მალაქლუ; ელარი. არმავირ-ბლური და სხვ. ამ მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სამხრეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში ლითონის გაჩენის ადრეულ სტადიაზე არსებობდა სრულიად ერთგვაროვანი კულტურა, რომელიც მთელი რიგი თავისებური ნიშნებით ხასიათდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ მიუხედავად იმისა, რომ ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები ამიერკავკასიაში თითქოს კარგადაა გამოვლენილი, იგი მაინც სადღეისოდ სათანადოდ შესწავლილი არ არის. ჯერჯერობით თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია ამ კულტურის განვითარების საფეხურების შესახებ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება საამისოდ სათანადო სტრატიგრაფიული მონაცემები. ამიტომაცაა, რომ ენეოლითური კულტურა, რომელიც ჩვენ თვალწინ იშლება, უკვე იმდენად წინაა წასული, რომ თითქმის სრულიად ვერ ხერხდება მისი დაკავშირება წინა საფეხურთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ქვის იარაღს, რომელსაც ჯერ კიდევ შემოუნახავს ნეოლითური ტექნიკის ტრადიციები. რა თქმა უნდა, ამას ხელს უწყობს ისიც, რომ სათანადოდ არ არის შესწავლილი აგრეთვე ნეოლითური კულტურა. კერძოდ, მისი გვიანი საფეხური. განსაკუთრებით ნიშანდობლივია კერამიკა. ნეოლითური კერამიკა სადღეისოდ მეტად სუსტადაა წარმოდგენილი და ისიც რაც არის, მეტისმეტად დალეწილია და გარკვეული ფორმის წარმოდგენის საშუალებას თითქმის სრულიად არ იძლევა. ენეოლითური კულტურა, როგორც

ცნობილია, უკვე ხასიათდება სრულყოფილი, მრავალფეროვანი, ზოგჯერ შესანიშნავად ორნამენტირებული, თავისებური კერამიკული კომპლექსით. რაღა თქმა უნდა, საქმის ამგვარი ვითარება უთუოდ ართულებს საკითხს ამ კულტურის წარმომავლობის შესახებ; მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს სირთულე დღეს ამ საკითხის შეუსწავლელობის მიზეზით უნდა იყოს ახსნილი.

იმის გამო, რომ არც საკუთრივ ენეოლითური კულტურაა სადღეისოდ სათანადოდ შესწავლილი, რთულდება ზოგჯერ მეტად საყურადღებო საკითხების სწორი განსაზღვრა. მაგალითად, ენეოლითური კულტურის ქრონოლოგიური სტადიების შეუსწავლელობის გამო ძნელდება ამ კულტურის თავისებური ლოკალური ვარიანტების დადგენა. ეს უპირატესად გამოწვეულია იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ვერ ხერხდება სათანადოდ იმის დადგენა, თუ რითაა გამოწვეული ესა თუ ის თავისებურება — კულტურის ლოკალურ ვარიანტთანა გვაქვს საქმე, თუ, ეგებ, ამის მიზეზი უფრო ისაა, რომ აქ განვითარების სხვადასხვა საფეხური უნდა გვქონდეს. ჯერ კიდევ თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია ცალკეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ (საწარმოო იარაღი, კერამიკა, საცხოვრებელი და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. „მტკვარ-არაქსის" ენეოლითურ კულტურაში შეინიშნება ცალკეულ ძეგლთა თავისებურებანი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ შენგავითი და შრეშ-ბლური. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი სიახლოვე ჩანს, მასალაში მაინც შეინიშნება გარკვეული სხვაობაც, განსაკუთრებით თვალში საცემია კერამიკის ორნამენტაცია. ბ. პიოტროვსკი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ბუნებრივია ეს გარემოება აიხსნას იმით, რომ შრეშ-ბლური რიგი ნიშნებით უფრო ადრეული უნდა იყოს შენგავითზე, თუმცა, დასძენს იგი, დღევანდელი დონე ამ პერიოდის მასალის შესწავლილობისა ამის დადგენის საშუალებას ძნელად იძლევა[1].

ამგვარი რამ საქართველოს მასალებშიც შეინიშნება, აქაც უპირატესად კერამიკაში. მაგ., შიდა ქართლში გამოვლენილი ენეოლითური ძეგლები საერთოდ დიდ მსგავსებას პოულობენ თრიალეთის, კიკეთისა და სომხეთის ენეოლითურ მასალებთან, ოღონდ შიდა ქართლის ენეოლითური კერამიკა უმეტესად სადაა და მისთვის სადღეისოდ ნაკლებად დამახასიათებელი ჩანს ორნამენტაციის მოტივები, რომლითაც ხასიათდება მტკვარ-არაქსის ენეოლითური კერამაკა. შესაძლოა აქ ამ კულტურის რაიმე ლოკალურ თავისებურებასთან გვქონდეს საქმე ან კიდევ, შრეშ-ბლურის და შენგავითის მსგავსად, ეგებ, აქაც,

[1] Пиотровский Б. Б., Поселения медного века в Армении. Советская археология, XI. М.—Л., 1949. გვ. 175.

საფიქრებელია, რომ ერთი კულტურის სხვადასხვა საფეხურთან გვაქვს საქმე. გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. სადღეისოდ ჩვენს ხელთ მყოფი მასალა ამ საკითხის ჯეროვნად გადაწყვეტის საშუალებას არ იძლევა და, ვფიქრობთ, რომ ჯერჯერობით უმჯობესია თავი შევიკავოთ, ვიდრე მეტნაკლებად დადგენილი არ გვექნება სათანადო სტრატიგრაფიული მონაცემებით შემაგრებული ენეოლითური კულტურის პერიოდიზაცია.

განსაკუთრებით საყურადღებოა საკითხი ენეოლითური ხანის ნასოფლარისა და საცხოვრებელი ნაგებობის შესახებ. სამწუხაროდ. სადღეისოდ ამ პერიოდის არც ერთი ნასოფლარი სათანადოდ შესწავლილი არ არის და ამიტომაც ძნელდება რაიმეს გარკვევით თქმა ენეოლითური ხანის საგვარეულო სოფლის შესახებ. როგორც ჩანს, ეს სოფლები განლაგებული იყო როგორც დაბლობ ადგილებში დიდი მდინარეების მახლობლად. ისე საკმაოდ მაღლობ ადგილებზე, პლატოზე, ზოგჯერ პატარა მდინარეების პირზე. დასახლებისათვის ადგილის შერჩევა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მეურნეობის ხასიათთან; ირჩევდნენ ისეთ ადგილს, სადაც ხელსაყრელი პირობები იყო მიწათმოქმედებისათვის, მესაქონლეობისათვის, მონადირეობისათვის და სხვ. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ზოგჯერ ხელმძღვანელობდნენ აგრეთვე სტრატეგიული მიზნითაც.

როგორც ჩანს, ზოგჯერ ეს საგვარეულო სოფლები არც თუ ისე დაშორებული იყო ერთმანეთისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია მიდა ქართლში მიკვლეული ძეგლები. მაგალითად, ამ პერიოდის მასალა აღმოჩნდა სტალინირთან, მეორე ძეგლი მიკვლეული იყო სტალინირიდან დაახ. 7 კმ დაშორებით სოფ. ქვასათალში (სტალინირის რ.) და მესამეც სოფ. ტყვიავში. საყურადღებოა, რომ სტალინირის მიდამოებში ენეოლითური ხანის მასალა აღმოჩნდა სამ პუნქტში: ქულბაქები, ნაცარგორა და ზღუდის გვერდა. შესაძლოა, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ერთ მოზრდილ საგვარეულო სოფელთან. გვარის წევრთა რიცხვის ზრდამ გამოიწვია სოფლის საზღვრების გაფართოება. თვით სოფლის შიგნით საგვარეულო კოლექტივები გამოიყოფიან ცალკეულ უბნებად, თავისი პატარა მეურნეობით. ეს პროცესი უნდა მომხდარიყო ენეოლითის გვიან საფეხურზე.

სამწუხაროდ, სადღეისოდ ბევრი არაფრის თქმა შეგვიძლია თვით ენეოლითური სოფლის შესახებ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის შესწავლილი არც ერთი ძველი ნამოსახლარი. გათხრისას თითქმის ყოველთვის გამოვლენილია ხოლმე მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი, რაც, რა თქმა უნდა, სათანადო წარმოდგენას ძველი სოფლის შესახებ ვერ მოგვ-

ცემა. ამ მხრივ შედარებით უკეთაა შესწავლილი ერთი ამ დროის ნამოსახლარი სოფ. შენგავითთან (სომხეთი). იგი მდებარეობს ერევნის მახლობლად მდ. ზანგას მარცხენა ნაპირზე. ნამოსახლარი დაახლ. 6 ჰექტარი ფართობი უკავია. ჯერ კიდევ გათხრებამდე ზედაპირზე კარგად მოჩანდა ქვის მრგვალი წრეები დაახლ. 7 მ დიამეტრისა, რომლებიც ერთი მეორისაგან 20—30 ნაბიჯით იყო დაცილებული. 1936—1938 წ.წ. აქ გათხრები აწარმოა ე. ბაიბურთიანმა[1]. სამწუხაროდ, მან ამ მოზრდილი ნამოსახლარის მხოლოდ ერთი ნაწილი გათხარა. ამ სამუშაომ მეტად საყურადღებო შედეგები მოგვცა. გაირკვა, რომ ქვის ეს მრგვალი წყობა წარმოადგენდა მრგვალი სახლის საფუძველს, რომელიც შესაძლოა ნაგებობის ცენტრალური ნაწილი იყო. მას მოდგმული ჰქონდა ოთხკუთხა ნაგებობა. შესწავლილი იყო რამდენიმე ამგვარი შენობა, შენობები სხვადასხვა ზომისა იყო. მაგ., ერთ-ერთი მათგანის მრგვალი ნაწილის დიამეტრი 6 მ უდრიდა. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კარი იყო, რომელიც ოთხკუთხა ნაგებობასთან აკავშირებდა (3×3 მ). მრგვალ ოთახს სხვა მხრიდანაც ჰქონდა მიდგმული ასეთივე სწორკუთხა ნაგებობები[2]. მრგვალი ოთახის ცენტრში აღმოჩნდა თიხის კერა. საცხოვრებელი № 3 შედარებით უფრო მოზრდილი იყო. მრგვალი ოთახის დიამეტრი უდრიდა 7.5 მ, ხოლო სწორკუთხა ნაგებობის ზომები იყო 14×7 მ. შენგავითის შენობების კედლები ამოყვანილი იყო ალიზით. ზოგან ახლაც კარგადაა შერჩენილი დაახლ. 1,0 მ სიმაღლის ალიზის წყობა. ე. ბაიბურთიანი ფიქრობს, რომ სწორკუთხა ნაგებობები გადახურული უნდა ყოფილიყო ბანურად. მრგვალს კი კონუსური სახურავი უნდა ჰქონოდა[3]. როგორც ჩანს, საცხოვრებლის სიდიდე დამოკიდებული იყო ოჯახის წევრთა რიცხვზე. ის გარემოება, რომ აქ უკვე გვხვდება შედარებით მოზრდილი საცხოვრებლის გვერდით უფრო პატარა ზომის სახლები, ვფიქრობთ, იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ცალკეულ საგვარეულო კოლექტივების წევრთა რიცხვის ზრდამ თანდათანობით გამოიწვია ის, რომ მათ გამოეყო ცალკეული ოჯახები, რომლებიც უკვე აღარ საჭიროებენ დიდი ზომის საცხოვრებელს და თავიანთთვის აგებენ შედარებით პატარა სახლებს. ეს პროცესი ენეოლეთის განვითარების საკმაოდ გვიანდელ ეტაპზე უნდა მომხდარიყო და, ვფიქრობთ, რომ თუ ეს ასეა, მაშინ ესეც სხვა ფონაცემებთან ერთად კიდევ ერთი საბუთი უნდა იყოს იმისა, რომ შენგავითში მართლაც უკვე ენეოლითის საკმაოდ გვიანი საფეხური უნდა გვქონდეს.

[1] Байбуртян Е. Культовый очаг из раскопок Шингавитского поселения в 1936—1937 г. г.. ВДИ 4(5). Москва. 1938, გვ. 255; Пиотровский Б. Б., დასახ. ნაშრ., გვ. 171.
[2] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 172.
[3] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 172.

ამგვარი მრგვალი ნაგებობების კვალი ცნობილია აგრეთვე სხვა ადგილებიდანაც. მაგ., ეილარში აღმოჩნდა 4—5 მ დიამეტრის მრგვალი შენობის ნაშთები[1].

საქართველოში ენეოლითური ხანის საცხოვრებლის ნაშთი მიკვლეული იყო მხოლოდ თრიალეთში და ისიც იმდენად დაზიანებული, რომ ინელდება რაიმეს გადაჭრით თქმა. ბეშთაშენის ენეოლითურმა ნამოსახლარმა საკმაოდ ძლიერი ენეოლითური ფენა მოგვცა. აქ მხოლოდ ერთ ოთხკუთხა ნაგებობის ქვის საფუძველი აღმოჩნდა[2]. სოფ. ოზნიში ენეოლითური ხანის ფენაში ნაპოვნი იყო ნახევარწრიული წყობა დაახლ. 7,5 მ დიამეტრისა.[3] ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ შესაძლოა ეს იყო მრგვალი ნაგებობის საფუძვლის ნაწილი. მას უფრო დასაშვებად მიაჩნდა, რომ აქ ვივარაუდოთ რაღაც ხის ნაგებობა ძველი მეგრული ფაცხის მსგავსი[4]. ქვის საფუძველის მიხედვით შესაძლოა დაახლოებით ვიანგარიშოთ ამ ნაგებობის სიმაღლე—2,75 მ[5]. იმ მოსაზრებას, რომ აქ მართლაც შესაძლოა მრგვალი ნაგებობა იყოს, აძლიერებს თითქოს ისიც, რომ ქვის წყობის გვერდით, მის გარეთ აღმოჩნდა ისეთივე მრგვალი კერის ფრაგმენტები, როგორც დამოწმებულია შენგავითის მრგვალ შენობებში[6]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ზომიერი ჰავის პირობებში ხის ნაგებობის აგება სავსებით მიზანშეწონილი უნდა ყოფილიყო და თანაც საამისო მასალაც საკმაო რაოდენობით იქნებოდა აქ. შესაძლოა ამგვარივე ხის შენობის ნაშთი იყოს იმავე ოზნაში გათხრილი თიხატკეპნილი იატაკი. ეს, ეგებ, ხის „ფაცხის“ იატაკის ნაშთი იყოს. ნაგებობის არავითარი კვალი აქ არ აღმოჩენილა[7].

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მრგვალი საცხოვრებელი კარგად იყო ცნობილი ადრეულ ხანაში მესოპოტამიაში და ხმელთაშუა ზღვის კულტურულ სამყაროში. არპაჩაიას ბორცვის ადრეულ ფენებში აღმოჩენილი იყო მრგვალი შენობები, რომელთაც აგრეთვე სწორკუთხა ნაგებობები ჰქონდა შიდგმული[8].

---

[1] Куфтин Б. А. Урартский „Колумбарий“ у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1943, გვ. 101.

[2] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 108.

[3] Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года... გვ. 26.

[4] იქვე, გვ. 27.

[5] იქვე, გვ. 29.

[6] იქვე.

[7] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., იქვე გვ. 35.

[8] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 173, Куфтин Б. А. Урартский „Колумбарий“ у подошвы Арарата..., გვ. 114.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ, როგორც საგვარჯილეში წარმოებულმა უკანასკნელმა გათხრებმა დაგვანახა, ენეოლითში ზოგან ჯერ კიდევ გამოქვაბულსაც იყენებდნენ. აქ ენეოლითური ფენა აღმოჩნდა როგორც გამოქვაბულის გარეთ, ისე მის შიგნითაც. საფიქრებელია, რომ გამოქვაბულს საცხოვრებლად იყენებდნენ უპირატესად ზამთრობით, ზაფხულის თვეებს კი მის გარეთ ატარებდნენ.

რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა საკითხი, თუ როგორ იყო განლაგებული საცხოვრებლები შიგ სოფელში და საერთოდ როგორი იყო თვით სოფლის გეგმა. სამწუხაროდ, სადღეისოდ ამის შესახებ თითქმის არაფრის თქმა შეგვიძლია.

ბევრის არაფრის თქმა არ შეგვიძლია აგრეთვე თვით საცხოვრებლის შესახებ. როგორც ჩანს, მრგვალი შენობის ცენტრში ჩვეულებრივ იდგა მრგვალი, დაახლ. 1.0 მ დიამეტრის თიხის კერა[1]. შენგავითში ამგვარი კერები პირდაპირ იატაკზე იდგმებოდა და შესაძლებელი იყო მათი გადატანა. სოფ. ოზნაში ნაპოვნი ამგვარივე კერა შესაძლოა მართლაც მიწაში იყო ჩადგმული: მისი გარეთა პირი ხაოიანი და ტლანქი იყო[2]. მართებული ჩანს ბ. კუფტინის მოსაზრება, რომელიც აღნიშნავდა, რომ არ უნდა იყოს სწორი ამ კერებში დავინახოთ მაინცდამაინც საკულტო დანიშნულების საგანი[3]. შენგავითში ერთ-ერთი საცხოვრებლის ოთხკუთხა ოთახის კუთხეში აღმოჩნდა ჩვეულებრივი კერა, შემდგარი რამდენიმე ქვისაგან[4].

ბ. კუფტინმა ბეშთაშენის ნამოსახლარის გათხრისას მიაკვლია კერის ნაშთს. აქ აღმოჩნდა ნაცრისა და ნახშირის სქელი ფენა. აქვე ერთმანეთის მახლობლად იდო პირქვე სამი თიხის ჭურჭელი, ხელსაფქვავის ქვა და სხვ.[5] დაახლ. ამგვარსავე სურათს ვხედებით აგრეთვე სხვა ნამოსახლარებზედაც. მაგ., შენგავითში თითქმის ყველა კერის მახლობლად ეყარა ხელსაფქვავის ქვები, როდინის ქვები, სანაყი, ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვ. საცხოვრებლის იატაკზე და მოზრდილ ჭურჭლებში აღმოჩნდა სხვადასხვა მარცვლეულის ნაშთი. გარდა ამისა, საცხოვრებლის შიგნით მრავლად ჩნდებოდა სხვადასხვა ცხოველების ძვლები[6]. როგორც ჩანს, საცხოვრებელი არა მარტო თავშესაფარი იყო, არამედ ადამიანი აქვე ინახავდა სანოვაგესაც. სამწუხაროდ, ჯერჯე-

[1] Байбуртян Е. დასახ. ნაშრ., გვ. 256.

[2] Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года..., გვ. 28 ა

[3] Куфтин Б. А. Урартский „Колумбарий" у подошвы Арарата..., გვ. 115.

[4] Байбуртян Е. დასახ. ნაშრ., გვ. 258.

[5] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 113.

[6] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 173.

რობით ვერაფერს ვიტყვით, თუ როგორ იყო დაყოფილი საცხოვრებელი შიგნით. შესაძლოა მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სათანადოდ სანოვაგის შესანახად ცალკე გამოყოფილი ადგილი საცხოვრებლის შიგნით. სანოვაგის შესანახი ჭურჭლის ფრაგმენტები მთელ იატაკზე იყო მოფანტული. ხელსაფქვავის ქვები, სანაყი და სხვა კერის ირგვლივ ჩნდებოდა. ჩანს, რომ საკვებს იქვე ინახავდნენ. ამგვარსავე სურათს ვხვდებით დაახლ. ეილარშიაც. აქაც აღმოჩნდა ქვისაგან შემდგარი კერა, რომლის მახლობლად იდო პირქვე ორი შავი ჭურჭელი, ბატკნის ჩონჩხი და ხელსაფქვავი. ამავე ფენაში აღმოჩნდა რამდენიმე მრგვალი ორმო, რომლებიც, როგორც ჩანს, ხორბლის შესანახი უნდა ყოფილიყო[1].

როგორც უკვე არა ერთ გზის აღვნიშნავდით, ყველაზე ჭარბად ენეოლითურ სადგომებში წარმოდგენილია კერამიკული მასალა. აქ მოპოვებული ჭურჭელი ხასიათდება ძერწვის არქაული წესით. ნაკეთებია ხელით უმორგვოდ. ეს კერამიკული კომპლექსი გამოირჩევა მეტად მდიდარი, მრავალფეროვანი და თანაც თავისებური ფორმებით. თვით თიხის ჭურჭელი შემდეგი სახისაა: ჯამები, დერგები, ქილები, ქოთნები, ფიალები, ბადიები და სხვ. აქ გამოირჩევა მოშაო-მოვარდისფრო ფერის მაღალი და ფართო ყელიანი ჭურჭელი ჩვეულებრივად ორი ნახევარსფერული პატარა ყურებით ყელსა და მხრის საზღვარზე მოძერწილი. ზოგიერთი ხასიათდება კარგად მოპირკეთებული ზედაპირით, ზოგჯერ შავადმბრწყინავ, ვარდისფერი სარჩულით. აღსანიშნავია შედარებით თხელკედლიანი შავი ფერის ვიწრო და შედრეკილძირიანი ჭურჭელი, ხშირად გეომეტრული ორნამენტით შემკული. მეტად თავისებურია ენეოლითური კერამიკის ორნამენტაცია. გვხვდება რელიეფური ორნამენტი, უპირატესად სპირალით შემკული ჭურჭელი. ზოგჯერ კი რელიეფურად გამოყვანილი რაღაც ფიგურებია, ხშირია სხვადასხვა გეომეტრული სახეები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კერამიკა თავის გავრცელების ფართო ტერიტორიაზე თითქმის უცვლელად ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ თავისებურებას, თუმცა ასევე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ცალკეულ ჯგუფს აბასიათებს თავისებური სპეციფიკურობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შიდა ქართლის ენეოლითურ ძეგლებში მოპოვებული კერამიკული კომპლექსი ხასიათდება თითქმის ყველა იმ თავისებურებით, რომელიც ჩვენი ენეოლითისათვისაა დადგენილი, ოღონდ მაინც მისთვის ისაა დამახასიათებელი, რომ

[1] Куфтин Б. А. Урартский „Колумбарий" у подошвы Арарата..., გვ. 102.

იგი სრულიად სადაა და ჯერჯერობით მისთვის სრულიად უცხო ჩანს ორნამენტაციის ის მოტივები, რომელიც ამ პერიოდის კერამიკას ახასიათებს. ზემოთ ნათქვამი იყო აგრეთვე შრეშ-ბლურის და შენგავითის კერამიკის შესახებაც.

კერამიკული ნაწარმის დეტალური შესწავლა უთუოდ ბევრ საყურადღებო რამეს მოგვცემს ენეოლითური კულტურის შესახებ; ადრეულ საფეხურზე ეს მასალა, სხვასთან შედარებით, უფრო მეტის მთქმელია. შეიძლება ითქვას, რომ იგი უკეთ ავლენს ამა თუ იმ კულტურას, თუ ცალკეულ კულტურათა ლოკალური ვარიანტებისათვის დამახასიათებელ თავისებურებას. კერამიკული კომპლექსის სწორი ანალიზი მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა კულტურის წარმომავლობის საკითხი, ურთიერთობის საკითხი, ლოკალური ჯგუფების დადგენა და გამოვლენა და სხვ. სამწუხაროდ, ჩვენი ენეოლითური კერამიკა სადღეისოდ ჯერ კიდევ ამგვარად შესწავლილი არ არის. მართალია, ახლა უკვე ზოგადად გამოვლენილია ამ კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმის თავისებური სახე, ზოგი რამ დამახასიათებელი ჩანს აგრეთვე ცალკეული ჯგუფებისთვისაც, ოღონდ ჯერჯერობით არ არის მოცემული ამ მასალის დეტალური ანალიზი, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება უფრო დაბეჯითებით ვიმსჯელოთ ზემოაღნიშნულ საკითხზე.

ენეოლითურ ფენებში აღმოჩენილი არაკერამიკული მასალა შედარებით მცირედაა წარმოდგენილი. ამათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ქვის იარაღი. როგორც ჩანს, ქვას აქ ჯერ კიდევ დიდი როლი უკავია; უმთავრესად გვხვდება კაჟის ქვის და ობსიდიანის იარაღი. იგი კარგადაა დამუშავებული და ჯერ კიდევ ატარებს ნეოლითური ტექნიკის კვალს. ხშირად გვხვდება კაჟის ისრის პირები. ეს გარემოება იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ნადირობას ჯერ კიდევ დიდი ადგილი უკავია სამეურნეო ყოფაში. უმთავრესად გვხვდება ყუნწიანი ისრის პირები. საყურადღებოა, რომ ეს ისრის პირები თავისი ფორმით ახლო დგანან ჩვენში ჯერ კიდევ ნეოლითურ ხანაში გავრცელებულ ისრის პირებთან, კერძოდ კი, თეთრამიწაზე მოპოვებულ ამგვარსავე იარაღთან[1]. გვხვდება აგრეთვე უყუნწო ისრის პირები დაფნისფოთლისებრი მოყვანილობის. აღსანიშნავია, რომ დაბლაგომში აღმოჩენილი ერთი დაფნისფოთლისებრი ისრის პირი ახლო ანალოგიას პოულობს ამგვარსავე იარაღ-

[1] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 110.
Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. II. გვ. 130.

თან თეთრამიწიდან. ეს კი უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ ენეოლითში ჯერ კიდევ ცოცხლობს ის ფორმები და დამუშავების ტექნიკა, რომელიც უკვე ნეოლითში შეინიშნება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ენეოლითურ მასალაში გვხვდება აგრეთვე ფუძეამოღარული ასიმეტრიული ისრის პირები. ამგვარი ისრის პირი სადღეისოდ სულ სამია აღმოჩენილი: ერთი ოჩამჩირეში, მეორე ზღუდრის გვერდაზე და მესამეც ნაცარგორის ერთ-ერთ სამარხში. ამგვარი იარაღი კარგადაა ცნობილი ჩრდ. ქვეყნების კულტურებში საკმაოდ ადრეულ პერიოდიდან. ეს ფორმა ადრე ჩანს აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიაც. მას ვხვდებით დოლანსკოეს ნამოსახლარზე, ნოვოსეობოდნაის ყორღანში და სხვ.[2] სამხრეთით ეს ფორმა დღემდე არ ჩანს. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ შესაძლოა ეს ისრის პირები ჩრდილოეთიდან შემოსული იყოს. უთუოდ საყურადღებოა, რომ სამიდან ორი ამ ტიპის ისრის პირი შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, ბრინჯაოს ხანაში ეს რაიონი ახლო ურთიერთობაშია ქედს იქითა რაიონებთან. ჩანს, რომ ეს კავშირი უკვე უფრო ადრეული საფეხურიდან შეინიშნება. გარდა კაჟისა გვხვდება აგრეთვე ობსიდიანის ისრის პირები, ოღონდ შედარებით იშვიათად. ერთი მოზრდილი ობსიდიანის ფოთლისებრი, სამკუთხა ისრის პირი აღმოჩნდა დიდუბის ნამოსახლარზე და სხვ.

კაჟის იარაღიდან აღსანიშნავია დაკბილული პირები. ამგვარი იარაღი ხშირად გვხვდება ენეოლითურ ფენებში: თრიალეთი, შენგავითი და სხვ. სავსებით მართებული უნდა იყოს ა. კრუგლოვის და გ. პოდგაეცკის მოსაზრება, რომ კაჟის დაკბილული პირები ყოველთვის ნამგლის პირი არ უნდა ყოფილიყო და ზოგი მათგანი კაჟის ხერხის პირს წარმოადგენდა. ენეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩენილი დაკბილული პირების ერთი ნაწილი უთუოდ ნამგლის პირი უნდა იყოს. ამას მოწმობს სემენოვის მიერ ჩატარებული სპეციალური დაკვირვება შენგავითის დაკბილულ პირებზე[4]. ჩვენში კაჟის დაკბილული პირები უკვე ნეოლითიდანაა ცნობილი. ქუთაისის მუზეუმში დაცულია რამდენიმე კაჟის დაკბილული პირი აღმოჩენილი თეთრამიწის თუ სათაფ-

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 130.

[2] Куфтин Б. А. К проблеме энеолита Внутренней Картлии..., გვ. 77.
გობეჯიშვილი, გ., დასახ. ნაშრ., გვ. 244.

[3] Круглов А. П. и Подгаецкий Г. В. Родовое общество степей восточной Европы, М.—Л., 1935, გვ. 77.

[4] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 173.

ლიას ნეოლითური ხანის სადგომში[1]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კაჟის ნამგალს ჩვენში უკვე ნეოლითის მიწურულიდან იცნობდნენ.

ენეოლითურ ფენებში ცნობილია აგრეთვე კაჟის სხვა იარაღიც: კარგად ნაკეთები კაჟის დანები თრიალეთიდან, დიდუბიდან, ტყვიავიდან, შენგავითიდან და სხვ. გვხვდება აგრეთვე სახვრეტები, საჭრისები, და სხვ.

ხშირია აგრეთვე ობსიდიანის იარაღიც. ზოგან ობსიდიანის იარაღი სჭარბობდა კიდეც კაჟისას[2]. გვხვდება ობსიდიანის დანები, სახვრეტები, საჭრისები, ისრის პირები და სხვ.

ამ პერიოდის ქვის იარაღიდან აღსანიშნავია ლახტისა და კვერის თავები. ერთი კვერის თავი ნაპოვნია ნაცარგორას ერთ-ერთ სამარხში[3]. იგი კარგადაა დამუშავებული, შუაში ნახვრეტი აქვს. სადღეისოდ ამგვარი კვერი ამიერკავკასიაში ნაპოვნია მხოლოდ შენგავითის ენეოლითური ნამოსახლარიდან. ამ ტიპის იარაღი ცნობილია წინა აზიაში საკმაოდ ადრეული ხანის ფენებში: ალაშარზე, თეფე-გავრაზე, ტროაში, სუზაში და სხვ[4].

ლახტის თავი სადღეისოდ ცნობილია ჩვენში მხოლოდ ერთი ცალი ტყვიავის II ყორღანიდან[5]. თავისი ფორმით ეს ლახტის თავი უახლოვდება თრიალეთის ადრეულ ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილ ჰემატიტის ლახტის თავს[6]. ლახტისმაგვარი იარაღი აღმოჩნდა შენგავითში[7].

აღსანიშნავია თრიალეთში აღმოჩენილი ტლანქად დამუშავებული ერთი ქვის იარაღი — ე. წ. „კულპინის ტიპისა", რომელსაც ტარის უკეთ დამაგრების მიზნით ზედა ნაწილზე ღარი შემოუყვება[8]. ამ ტიპის იარაღი ამიერკავკასიაში ენეოლითის ფენიდან ცნობილია შრეშ-ბლურიდან, ელარიდან[9]. მრავლად აღმოაჩინა იგი ი. ჰუმელმა კილიგ-დაგში.[10] ამგვარი იარაღი ცნობილია მცირე აზიიდან, კერძოდ, ალაშარის ბორცვის პირველი ფენიდან.

---

[1] კილაძე ნ. ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, ნაკ. 29, თბილისი, 1951. გვ. 257.

[2] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 175.

[3] გობეჯიშვილი გ. დასახ. ნაშრ., გვ. 244.

[4] იქვე.

[5] მაკალათია ს. დასახ. ნაშრ., გვ. 29.

[6] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 101.

[7] Куфтин Б. А. Урартский, „Колумбарий" у подошвы Арарата.. გვ. 101

[8] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети: გვ. 112.

[9] Куфтин Б. А. Урартский „Колумбарий" у подошвы Арарата.... გვ. 103 და 116.

[10] Гуммель И. Археологические разведки на Килиг-даге, Изв. Аз. филиала АН СССР, 2, Баку, 1938. გვ. 23.

თითქმის ყველა ენეოლითურ ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო ხელსაფქვავის ქვები, უმთავრესად, „ნავისებრი“ ფორმის (ტაბ. VIII3). გვხვდება აგრეთვე როდინის ქვები, სანაყები, გახვრეტილი ქვები, საწაფები და სხვ.

დასასრულ, უსათუოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ ენეოლითურ სადგომების ფენაში დღემდე თითქმის სრულიად უცნობია ქვის ცულები, მიწის დასამუშავებელი ქვის თოხები, სატეხები, საჭრეთელები და სხვ. როგორც ცნობილია, ამ ტიპის იარაღები კარგადაა წარმოდგენილი უკვე ნეოლითური ხანის კულტურულ ფენებში. რამ გამოიწვია ეს გარემოება, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. რა თქმა უნდა, ამას ვერ მიეაწერთ ლითონის შემოსვლას. ლითონი ჯერ კიდევ შედარებით უმნიშვნელო როლს ასრულებს. შესაძლოა, ამის მიზეზი უფრო საძებარი იყოს მეურნეობრივი ხასიათის ცვლილებაში. დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ მასალაში სხვაგვარი სურათი გვაქვს. მაგ., ოჩამჩირის ენეოლითურ ფენებში ბრაველად აღმოჩნდა რიყის ქვის ცულები, თოხები და სხვ[1]. როგორც ჩანს, აქ ძირითადად შემორჩა სამეურნეო ცხოვრებაში იგივე იარაღი, რომელიც ნეოლითში იყო ცნობილი.

ძვლის იარაღიდან ყველაზე ხშირად გვხვდება სახვრეტი და სადგისი. ეს იარაღი, ჩანს, ფართოდ იყო გავრცელებული. იგი ცნობილია დიდუბიდან, ტყვიავიდან, ოჩამჩირიდან, შენგავითიდან და სხვ. გვხვდება აგრეთვე ძვლის საკინძები[2]. ოჩამჩირეში, შენგავითში და სხვ. აღმოჩნდა ძვლისაგან ნაკეთები ისრის პირები[3]. აღსანიშნავია აგრეთვე ძვლის კვირისტავი. შედარებით იშვიათია რქის იარაღი. ამათგან უნდა აღინიშნოს რქის თოხები. ეს იარაღი სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან: ერთი ცალი ოჩამჩირედან[4] და მრავლად საგვარჯილედან[5].

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ენეოლითის ფენებში მოპოვებული ლითონის ნივთები. როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, ლითონის საგნები ამ პეოიოდში ჯერ კიდევ მეტად იშვიათია. ლითონი სადღეისოდ მხოლოდ რამდენიმე ენეოლითურ ნამოსახლარზეა აღმოჩენილი და ისიც მეტად მცირე რაოდენობით. სხვაზე მეტად ლითონის ნივთები აღმოჩნდა შენგავათის ბორცვზე.

---

[1] Соловьев Л. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 115., Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 174.

[3] Пиотровский Б. Б. იქვე.

[4] Куфтин Б. А. Материалы к археолог. Колхиды, ტ. II, გვ. 269, ტაბ. 720.

[5] კილაძე ნ. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, № 3, თბილისი, 1953; გვ. 561.

აქ ნაპოვნი იყო ორი ოთხწახნაგა სადგისი, სამი საკინძი და მაკივი[1]. ხრიალეთში ლითონის ნივთები აღმოჩნდა მხოლოდ 1947 წ. ექსპედიციის დროს სოფ. ოზნაში: ორი სადგისი და ერთიც დანისებრი ფირფიტა[2]. ტყვიავის ყორღანებში ნაპოვნი იყო ოთხწახნაგა სადგისი, პატარა დანისებრი იარაღი და ერთიც რგოლი[3]. ნაცარგორის ენეოლითურ სამარხებში იდო ორი წვრილი მავთულის რგოლი-საყურე და ერთიც სპილენძის მანჭვალი[4]. ოთხწახნაგა სადგისი დამოწმებული იყო აგრეთვე საგვარჯილეში[5] და ურბნისში. განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ უკანასკნელ ხანებში ამიერკავკასიაში ენეოლითურ ფენაში აღმოჩნდა აგრეთვე ლითონის სამეურნეო იარაღიც. გარნიში ანტიკური ხანის ტაძრის გათხრისას მიკვლეული იყო აგრეთვე ენეოლითური ფენა. აქ ტიპიურ ენეოლითურ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ლითონის ბრტყელი ნამგლის პირი[6], რაც გვაფიქრებინებს, რომ ლითონის იარაღი უკვე გარკვეულ როლს ასრულებს მეურნეობაშიც. (თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ლითონი ძაინც იშვიათი იყო, თანაც ძვირი და ძირითადად ისევ ქვას ხმარობდნენ. მაგრამ, საფიქრებელია, რომ პირველი ლითონის იარაღს მაინც გარკვეული ზნიშვნელობა ექნებოდა და, ეგებ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ენეოლითური კულტურის დაწინაურებისა. აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: საკვლევით ბუნებრივია, რომ იქ, სადაც თვითნაბადი სპილენძი საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა იმთავითვე ლითონის სხვა ნივთებთან ერთად, იმავე ციკვად ჰედვის წესით, სხვა რიმე დამატებითი მეტალურგიული პროცესის გარეშე უნდა დაემზადებინათ სამეურნეო იარაღიც, რაც უთუოდ გარკვეულ გავლენას მოახდენდა ეკონომიურ ცხოვრებაზე[7]. ჩვენში ამგვარი ლითონის ნაკლებობა სრულიადაც არ იქნებოდა და ამიტომაც საფიქრებელია, რომ აქაც ადრევე დაეწყოთ ლითონის სამეურნეო იარაღის დამზადება.

დღესდღეობით ცნობილ ლითონის ნივთთაგან შედარებით ხშირად გვხვდება ოთხწახნაგა სადგისი. იგი ისევე, როგორც სხვა ნივთები, ციკვადაა ნაპოვნი. ამ ტიპის იარაღი საერთოდ კარგადაა ცნობილი ლითონის გაჩენის

---

[1] Куфтин Б. А. Урартский „Колумбарий" у подошвы Арарата, გვ. 116, Пиотровский Б. Б., დასახ. ნაშრ., გვ. 174.

[2] Куфтин Б. А. Археологич. раскопки 1947 года..., გვ. 31, ტაბ. XII.

[3] მაკალათია ს. დასახ. ნაშრ., გვ. 45.

[4] გობეჯიშვილი გ. დასახ. ნაშრ., გვ. 242.

[5] კილაძე ნ. დასახ. ნაშრ., გვ. 561.

[6] Аракелян Б. Гарни. 1, Ереван, 1951, გვ. 25, სურ. 12.

[7] Кларк Г. Доисторическая Европа, Москва. 1935, გვ. 186.

ადრეულ საფეხურზე. ეს ფორმა, თითქოს ოდნავ განვითარებული, შემდეგშიც ჩანს ჩვენში. თრიალეთში ამგვარივე სადგისი ცნობილია ადრეული ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყორღანიდან[1].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ შენგავითში ერთ-ერთი საცხოვრებლის ზედა ფენაში ნაპოვნი იყო ქვის ყალიბის ფრაგმენტი, ეგებ, ბრტყელი ცულის ჩამოსასხმელი[2]. როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, ვფიქრობთ, სამართლიანად, რომ შენგავითის ნამოსახლარი ენეოლითის მიწურულს მიეკუთვნება, ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ენეოლითის დასასრულს ჩვენში უკვე იწყება ლითონის ჩამოსხმა. აქედან იწყება მეტალურგიის თანდათანობითი განვითარება, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რის შედეგადაც ჩვენში უკვე იწყება საკმაოდ მძლავრი და დაწინაურებული კულტურა—ადრეული ბრინჯაოს ხანა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ენეოლითურ ხანაში ჩვენში გარკვეულ განვითარებას აღწევს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. როგორც ცნობილია, მიწათმოქმედება საქართველოში უკვე ნეოლითურ კულტურაში ჩანს. ამ პერიოდის ჩვენთვის ცნობილი თითქმის ყველა ძეგლი მეტად საყურადღებო მასალას გვაწვდის სწორედ მიწათმოქმედების შესახებ. ოდიშში[3], თეთრამიწაზე[4], სათაფლიაში, საგვარჯილეში[5] და სხვ. მოპოვებულია ქვისა და რქის მიწის დასამუშავებელი იარაღები: თოხები, ნამგლის პირები, ხელსაფქვავის ქვები და სხვ. მომდევნო საფეხურზე, ენეოლითში, მეურნეობის ეს დარგი კიდევ უფრო წინაურდება. მიწის დამუშავება ახლაც ძირითადად ხის, ქვის, რქისა და სხვ. იარაღით ხდებოდა. ეს იარაღი თითქმის სრულიად არ განსხვავდება ნეოლითურისაგან. საგვარჯილეში აღმოჩენილი ნეოლითური რქის თოხები თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორიც ენეოლითურ ფენებში მოპოვებული. ოჩამჩირეში ენეოლითურ ნამოსახლარზე ნაპოვნი მიწის დასამუშავებელი ქვის იარაღი იგივეა თითქმის როგორც ნეოლითური.

როგორც ჩანს, მიწათმოქმედება ამ პერიოდში მეურნეობის ძირითადი დარგი უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს უთუოდ ენეოლითურ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი მასალა. აქ თითქმის ყოველთვის გვხვდება მიწის დასამუშა-

---

[1] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 101, 109.

[2] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 174.

[3] კალანდაძე ალ. მეზოლითური და ნეოლითური კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიმკის მოამბე, IV, თბილისი, 1939, გვ. 363—371.

[4] კილაძე ნ. ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, გვ. 255.

[5] კილაძე ნ. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე", გვ. 561.

ვებელი იარაღი. ხელსაფქვავის ქვები, ნამგლის პირები, მარცვლეულის შეანახი ჭურჭელი, ორმოები, ზოგჯერ თვით მარცვლეულის ნაშთებიც და სხვ.

მიწას ჩანს, ძირითადად, ამუშავებდნენ ქვის, რქის და. ეგებ, უპირატესად ხის იარაღით. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ენეოლითურ მასალებში მიწის დასამუშავებელი იარაღი, ქვის თოხები მეტად იშვიათია. ამ პერიოდის რქის იარაღი, თოხები, სადღეისოდ ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ორგან: ოჩამჩირესა და საგვარჯილეში. უკანასკნელ ადგილას ამ ტიპის იარაღი მრავლად აღმოჩნდა. ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ ენეოლითისათვის სადღეისოდ, რქის თოხები სრულიად უცხო ჩანს. არც ქვის მიწის დასამუშავებელი იარაღია მისთვის მაინცდამაინც დამახასიათებელი. ამიტომაც, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ. რომ აქ ამ პერიოდში მიწას ძირითადად ხის იარაღით ამუშავებდნენ. ამ მოსაზრებას ერთგვარად ისიც ამართლებს, რომ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ქვის სხვა რიგის იარაღი ამ ნამოსახლარებში კარგადაა ცნობილი და მხოლოდ უშუალოდ მიწის დასამუშავებელი ქვის და რქის იარაღი ჩანს ნაკლებად.

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღებიდან საყურადღებოა კაჟის დაკბილული ნამგლის პირები: მათ თითქმის ყველა ენეოლითური ნამოსახლარის მასალაში ვხვდებით. როგორც უკვე იყო ნათქვამი, სპეციალურად ჩატარებულმა ცდებმა დაადასტურა, რომ ეს დაკბილული პირები ნამდვილად კაჟის ნამგლის ჩასართები უნდა ყოფილიყო[1]. კაჟის ნამგალი ჩვენში, ჩანს, უკვე ნეოლითური პერიოდიდან ვრცელდება და წინა აზიის სხვა ქვეყნების მსგავსად, საკმაოდ დიდხანს შემორჩა[2]. ლითონის ნამგალი ჩვენში ვრცელდება მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანიდან. მართალია უკანასკნელ ხანებში გარნის ენეოლითურ ფენაში აღმოჩნდა ლითონის ნამგლის ნატეხი, ოღონდ, როგორც მასალებიდან ჩანს, ჩვენში იგი აღარ გავრცელებულა და გვიანბრინჯაოს ხანამდე ძირითადად კაჟის ნამგალი იხმარებოდა. რა თქმა უნდა, მოსავლის აღების სხვაგვარი წესიც არსებობდა. არ არის გამორიცხული თავთავის ხელით მოგლეჯა. ამ წესით, რასაკვირველია, მოზრდილი ფართობის დამუშავება ძნელი იქნებოდა[3]. საყურადღებოა, რომ საქართველოში დღესაც ენდემური ჯიშების— მახას და ზანდურის აღების თავისებური წესი არსებობს. პირველად იკრიფება თავთავი „ნნაკვით“, რომელიც წარმოადგენს ორ ჯოხს, ერთ თავში მოძ-

[1] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრომი., გვ. 173.

[2] ჯაფარიძე ო. მიწათმოქმედების იარაღი დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, № 49, თბილისი, 1953, გვ. 204.

[3] Слободин О. М. К вопросу о развитии и смены систем земледелия, Материалы по истории земледелия СССР, Москва, 1952, გვ. 29.

რავად შეკრულს; ღერო გარკვეული დროის მანძილზე მინდვრად რჩება. ნიშანდობლივია, რომ ეს წესი სადღეისოდ დამოწმებულია ასტურიაში (ესპანეთი), სადაც ადგილობრივ ჰურეულს „სპელტას“ მოსაკრებად შნაკვისმაგვარ იარაღს ხმარობენ[1].

რა წესით ხდებოდა ამ პერიოდში შეგროვილი მარცვლეულის გალეწვა, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, პირდაპირ ხელით ფშვნეტდნენ მას, ან კიდევ ფეხებით ლეწდნენ. ამგვარად მიღებულ მეტნაკლებად გალეწილ მარცვლეულს ფქვაედნენ ხელსაფქვავებით. როგორც აღნიშნული იყო, ხელსაფქვავებს ხშირად პოულობენ ხოლმე ნამოსახლარ ადგილებში უპირატესად კერის მახლობლად. საჭირო იყო აგრეთვე მარცვლეულის შენახვა მომავალ მოსავლამდე[2]. ჩანს, რომ მარცვლეულს ინახავდნენ მოზრდილ ჭურჭელში. ურბნისში თიხატკეპნილი იატაკის გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები და მარცვლეულის ნარჩენები. შენგავითში საცხოვრებლის იატაკზე ნაპოვნი იყო მოზრდილი ჭურჭელი, რომელშიაც აღმოჩნდა მარცვლეული[3]. გარდა ამისა, მარცვლეულს ინახავდნენ აგრეთვე ორმოებშიც. ამგვარი ორმოები აღმოჩნდა ურბნისში, ელარში და სხვ. საყურადღებოა, რომ ენეოლითურ ფენებში მოპოვებული მარცვლეული ახლო დგას ამიერკავკასიაში ახლაც კარგად ცნობილ გარეულ ჯიშებთან[4]. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში დღესაც ცნობილია ერთ-ერთი უძველესი სახეობა მახა, რომელიც, როგორც ფიქრობენ, წარმოადგენს გარდამავალ ფორმას გარეულიდან კულტურული ტიპის ხორბალზე[5]. ეს ფორმა საქართველოს ენდემურ სახეობას მიეკუთვნება. იგი დღეს შემორჩენილია მხოლოდ ლეჩხუმში. საქართველოს სხვა ადგილებში და მის გარეთ იგი დღესდღეობით სრულიად უცნობია[6]. როგორც ჩანს, მახა ჩვენში უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული. მისი ნაშთები აღმოჩნდა დიხა გუძუბას უძველეს ფენაში[7]. საქართველოში დღეს ცნობილია აგრეთვე სხვა ენდემური სახეობაც, კერძოდ ზანდური. ეს ფორმაც ვიწრო ლოკალურია. იგი დღეს გავრცელებულია მხო-

[1] Флякебергер. Находки культурных растений доисторического периода. Архив истории техники, т. II, Ленинград, 1934. გვ. 169.

[2] Чайлд. Прогресс и археология, გვ. 47.

[3] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 173.

[4] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 173.

[5] Менабде В. Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды. საქ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. I, № 3, თბილისი, 1940, გვ. 684; Менабде В. Пшеницы Грузии, Тбилиси. 1948. გვ. 15.

[6] Менабде В. Ботанико-систематические данные..., გვ. 684.

[7] Менабде В. დასახ. ნაშრ., გვ. 684.

ლოდ რაჭა-ლეჩხუმში[1]. ძველ აბორიგენულ კულტურას წარმოადგენს აგრეთვე დიკა, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოშია ცნობილი[2]. გარდა ამისა. გამოირჩევა აგრეთვე რამდენიმე უფრო წვრილი სისტემატიკური ერთეული. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ გვხვდება ხორბლის ისეთი ნაირსახეობა, როგორიც ეს საქართველოსა და სომხეთშია. ამიერკავკასია და, კერძოდ კი საქართველო უთუოდ შედის ხორბლის წარმოშობის ძირითად ოლქში[3].

როგორც ჩანს, ენეოლითური ხანის მიწათმოქმედი ტომები დასახლებისათვის ისეთ ადგილს ირჩევდნენ, სადაც მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო. ამ პერიოდის ნასოფლარებს ძირითადად ეხვდებით ისეთ რაიონებში. სადაც მიწათმოქმედებისათვის ახლაც კარგი პირობები ჩანს. ქართლის ველი დღესაც, ძირითადად, სამიწათმოქმედო რაიონს წარმოადგენს. წალკის პლატოზე, რომელიც ზღვის დონიდან დაახლ. 2000 მ სიმაღლეზე მდებარეობს, უთუოდ ხელსაყრელი პირობები იყო მიწათმოქმედებისათვის და, როგორც ცნობილია, აქ ძველთაგანვე თითქმის თანაბრად ვითარდებოდა როგორც მესაქონლეობა, ისე მიწათმოქმედება[4].

მიუხედავად იმისა, რომ ენეოლითში მიწათმოქმედება უთუოდ გარკვეულ განვითარებას აღწევს, იგი მაინც ჯერ კიდევ მეტად პრიმიტიული იყო. მიწის დამუშავებას ჯერ ისევ ძირითადად ქალი აწარმოებდა. დასათესი ფართობი უშუალოდ სოფლის მახლობლად მდებარეობდა. მაგ., დოლიანსკოეს ნამოსახლარის გათხრისას გაირკვა, რომ აქ საცხოვრებლები საკმაოდ დაშორებული იყო ერთმანეთს. ა. მილერმა იმთავითვე გამოთქვა მოსაზრება, რომ საცხოვრებლებს შორის მდებარე ფართობი გამოყენებული იყო მიწათმოქმედებისათვის[5]. რა თქმა უნდა, დამუშავების შედეგად მიწის ეს ფართობი თანდათანობით იფიტებოდა და სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოსადეგი ხდებოდა. საფიქრებელია, რომ მიწათმოქმედმა ტომებმა უკვე იცოდნენ მიწის დასვენების წესი და დასამუშავებული ფართობის ერთ ნაწილს გარკვეულ დროს ასვენებდნენ. შესაძლოა აგრეთვე ისიც, რომ ამ პერიოდში

[1] Жуковский П. М. Культурные растения и их сородичи, Москва. 1950, გვ. 71.

[2] იქვე, გვ. 75.

[3] დეკაპრილევიჩი ლ. შ. რუსთაველის ეპოქის უმთავრესი კულტურები; შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 5 და 35.

[4] Ломоури Ю. Насущные вопросы горного земледелия, Заря Востока, № 26, იანვარი, 1954.

[5] Круглов А. П. и Подгаецкий Г. В. Долинское поселение у гор. Нальчика, МИА, № 3. М.-Л., 1941, გვ. 170—192.

იცნობდნენ უკვე მიწის ხელოვნურად განაყოფიერებას. გ. ჩაილდს დასაშვებად მიაჩნია ის მოსაზრება, რომ დასავლეთ ევროპაში მცხოვრებმა ტომებმა მიწის განოყიერება ისწავლეს ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდში[1]. რა თქმა უნდა, თანდათანობით სოფლის ირგვლივ მდებარე ადგილები სულ უფრო და უფრო არასაკმარისი ხდება. თანდათანობით იწყება უფრო მოშორებით მდებარე-ადგილების დამუშავება. ეს გარემოება, ალბათ, შემდეგში იწვევდა მოსახლეობის ერთი ნაწილის აყრას და ამ ადგილებში გადმოსახლებას. საფიქრებელია, რომ ეს პროცესი ენეოლითის უკვე საკმაოდ განვითარებულ საფეხურზე უნდა მომხდარიყო. საქმე იმაშია, რომ მეურნეობის მატრიარქალური ხასიათი უთუოდ ვერ აიტანდა მიწათმოქმედების ისეთ სახეს, რომელიც უშუალოდ შინამეურნეობას მოწყვეტილი იქნებოდა[2].

მიწათმოქმედებასთან ერთად ენეოლითურ ხანაში ვითარდებოდა აგრეთვე მესაქონლეობაც. ამ პერიოდის კულტურულ ფენებში ხშირად გვხვდება მოშინაურებული ცხოველების ძვლები: ხროხა (ძროხა და ხარი), ცხვარი, თხა, ღორი და სხვ. ჩვენს ხელთ მყოფი მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქვთ, რომ ენეოლითური ნამოსახლარის ფენებში უმეტესად მსხვილფეხა საქონლის ძვლები გვხვდება. დიდუბის სადგომში, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, მოშინაურებულ ცხოველთა ძვლებიდან აღმოჩნდა მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის ნაშთები. წვრილფეხა საქონლის ძვლები აქ სრულიად არ აღმოჩენილა. დაბლაგომში და ოჩამჩირეში საქონლის ძვლებიდან ყველაზე ჭარბად წარმოდგენილია მსხვილფეხა საქონლის ძვლები. წვრილფეხა საქონლის ძვლები შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და სხვ.[3] სამწუხაროდ, ენეოლითურ ფენებში მოპოვებული ზოოლოგიური მასალები დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის და ამიტომ ძნელდება გარკვევით რაიმეს თქმა. ვფიქრობთ, რომ ამ პერიოდში ჩვენში ჯერ კიდევ უპირატესად მსხვილფეხა საქონლის მოშენებას მისდევენ. ამას, გარდა იმ ფაქტისა, რომ ნამოსახლარის ფენებში მსხვილფეხა საქონლის ძვლები ჭარბობს, გვაფიქრებინებს აგრეთვე ისიც, რომ ჩვენში წვრილფეხა საქონლის მოშენებისათვის, კერძოდ მეცხვარეობის განვითარებისათვის ენეოლითურ ხანაში ჯერ კიდევ სათანადო პირობები არ უნდა ყოფილიყო. მეცხვარეობის დაწინაურებას, ვფიქრობთ, ხელს შეუშლიდა ის, რომ ამ პერიოდში ჩვენში უპირატესად ტყიანი ლანდშაფტი უნდა ყოფილიყო; ტყე კი მეცხვარეობის განვითარებისათვის ნაკლე-

[1] Чайлд Г. Прогресс и археология, გვ. 45.

[2] Слободин В. М. დასახ. ნაშრ., გვ. 30.

[3] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, ტ. II, გვ. 127.

ბად ხელსაყრელი იყო[1]. მეურნეობის მატრიარქალური ხასიათი კი ალპიური საძოვრების გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა. საძოვრები უშუალოდ სოფლის მახლობლად იყო განლაგებული.

სამწუხაროდ, მასალის თითქმის სრულიად შეუსწავლელობის გამო არაფრის თქმა არ შეგვიძლია ჩვენში ამ ადრეულ საფეხურზე გავრცელებული მსხვილფეხა საქონლის შესახებ. დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ ფენებში მოპოვებული ძვლების მიხედვით თითქოს შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში აქ გავრცელებული იყო პატარა ზომის ძროხა, რომელიც ახლო დგას თანამედროვე იმერულ ჯიშთან[2]. უთუოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ დროს, ჩანს, ჩვენში საქონელს მხოლოდ ხორცეულ საკვებად კი არ იყენებდნენ, არამედ უკვე იცნობდნენ მის უფრო ფართოდ და რაციონალურად გამოყენებას. დაბლაგომში მოპოვებული სადღვებლის ფრაგმენტები უთუოდ იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ენეოლითში უკვე იცოდნენ რძის პროდუქტების მიღება[3].

ხარი, რომელიც დიდი რაოდენობით ხორცეულს იძლეოდა, ხოლო ძროხა ამასთანავე რძის პროდუქტების მომწოდებელი იყო, ამ პერიოდიდან ჩანს, უკვე კულტის ობიექტი ხდება. ეს გარემოება უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ ზრობას ამ დროს მეურნეობაში დიდი როლი ეკავა. ენეოლითური ხანის ნამოსახლარების ფენებში ხშირად ვხვდებოდით ხარის გამოსახულებებს. თრიალეთში ნაპოვნი იყო თავმომტვრეული თიხის ხარის ქანდაკება[4]. ქიულ-თაფაზე სხვა ქანდაკებებს შორის აღმოჩნდა სამი ხარის გამოსახულება[5]. აღსანიშნავია შრეშ-ბლურზე მოპოვებული მოზრდილი ხარის სტილიზებული ფიგურა[6] და სხვ. ხარის კულტთანაა დაკავშირებული აგრეთვე ამავე პერიოდის ფენებიდან კარგად ცნობილი „რქიანი“ სადგარები. ზემოავჭალის კოლექციაში ინახება ორი ბრტყელი სადგარი, რქისებრი შვერილით. ბ. კუფტინი, სავსებით მართებულად, მათ ხარის კულტს უკავშირებს[7]. ამრიგად, ირკვევა, რომ ხარის კულტი ჩვენში უკვე ჩანს ენეოლითის ხანიდან მოკიდებული.

---

[1] Кларк Г. დასახ. ნაშრ., გვ. 127.

[2] Куфтин Б. А. დასახ, ნაშრ., გვ 127. კუფტინი ბ., დასახ. ნაშრ., გვ. 5.

[3] Хоштария Н. В. დასახ. ნაშრ., გვ. 192.

[4] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 110.

[5] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 176.

[6] Куфтин Б. А. Урартский „Колумбарий“ у подошвы Арарата.... გვ. 104

[7] Куфтин Б. А. К проблеме энеолита Внутренней Картлии и Юго-Осетии, გვ. 69. კუფტინი ბ. დასახ. ნაშრ. გვ. 13.

ხშირად გვხვდება ამ პერიოდის მასალებში აგრეთვე ღორის ძვლები. მესაქონლეობის ეს დარგი საკმაოდ დაწინაურებული უნდა ყოფილიყო. საამისოდ, ვფიქრობთ, ჩვენში საკმაოდ კარგი პირობები იყო. ტყე უთუოდ ხელს უწყობდა მეღორეობის განვითარებას.

ენეოლითური ხანის ნამოსახლარის ფენებში პოულობენ აგრეთვე წვრილფეხა საქონლის ძვლებს, ოღონდ, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, მათი ნაშთები შედარებით მცირეა. სტალინირის ნაცარგორას ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ბატკნის ძვლები[1]; ეილარის ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო ცხვრის მთლიანი ჩონჩხი[2]; წვრილფეხა საქონლის ძვლები დამოწმებულია დაბლაგომისა და ოჩამჩირის მასალებში[3]; ქიულ-თაფაში ნაპოვნი იყო ცხვრის (?) ერთი თიხის ფიგურა[4] და სხვ. არსებული მასალებიდან თითქოს ჩანს, რომ ენეოლითურ ხანაში ჩვენში მეცხვარეობა ჯერ კიდევ შედარებით შეზღუდულ როლს ასრულებს და სათანადო განვითარებას ვერ აღწევს. ამიტომაც სრულიად დაუსაბუთებელი გვეჩვენება ბ. პიოტროვსკის მოსაზრება, რომ თითქოს ამიერკავკასიაში ამ პერიოდში დიდ განვითარებას აღწევს მესაქონლეობა, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა[5]. ასევე უმართებულო ჩანს მ. რჩეულიშვილის დასკვნა, რომელიც ბ. პიოტროვსკის მოსაზრებიდან გამომდინარეობს, თითქოს მესამე ათასწლეულის ბოლოს და მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში ძვ. წ. მესაქონლეობის სხვა დარგებთან შედარებით მეცხვარეობა უფრო დაწინაურებული იყო[6]. ვფიქრობთ, რომ ამ ადრეულ საფეხურზე ჩვენში მეცხვარეობის სათანადო განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არ უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდში აქ ძირითადად მიწათმოქმედი ტომები ბინადრობდნენ. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებს, სადაც ისტორიულად თითქმის თანაბრად ვრცელდებოდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა (წალკის და ახალქალაქის პლატოები), ადრევე იკავებენ მიწათმოქმედი — მესაქონლე ტომები. საფიქრებელია, რომ აქ უკვე ენეოლითის ხანაში, შეიძლება, უფრო მის მიწურულში გარკვეულ განვითარებას აღწევს მეცხვარეობა. სოფლის ირგვლივ მდებარე საძოვრები თანდათანობით არასაკმარისი ხდება და, საფიქრებელია, რომ აქ ადრევე იწყება მაღალმთი-

---

[1] გობეჯიშვილი გ. დასახ. ნაშრ., გვ. 243.

[2] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 176.

[3] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. II, გვ. 127, 268. Соловьев Л. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 52.

[4] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 176.

[5] იქვე, გვ. 180.

[6] Рчеулишвили М. Д. К истории овцеводства Грузии, Тбилиси. 1951, გვ. 8.

ანი საზაფხულო ალპიური საძოვრების გამოყენება. ტომის თუ გვარის წევრების ერთ ნაწილს საქონელი გადაყავს საზაფხულო საძოვრებზე, მეორე ნაწილი კი სოფლად რჩება და ძირითადად მიწის დამუშავებას მისდევს. ამ საფეხურზე სოფლის მეურნეობის ეს ორივე ფორმა თანაარსებობს. ამრიგად, ამ ეტაპზე საფუძველი ეყრება მომთაბარე მესაქონლეობას, რომელიც მომდევნო საფეხურზე კიდევ უფრო ვითარდება. მიწათმოქმედ ტომებს თანდათანობით გამოეყოფა ერთი ნაწილი, რომელიც უკვე ძირითად საქმიანობად მესაქონლეობას ირჩევს. ესენი პირველად ჯერ კიდევ სავსებით არ წყვეტენ კავშირს თავის სამიწათმოქმედო ბაზასთან. მაგრამ შემდეგში ეს კავშირი სულ უფრო და უფრო სუსტდება და მესაქონლე ტომები თანდათანობით წინაურდებიან. ამას უთუოდ ხელს უწყობს ერთის მხრივ ის, რომ მაღალმთიანი რაიონების ათვისებასთან ერთად მესაქონლეობა კიდევ უფრო მაღალ დონეზე ადის და მეორეს მხრივ მეტალურგიის განვითარება. ამიტომაცაა, რომ ენეოლითის მომდევნო საფეხურზე მთის ზოლის მცხოვრები ტომები უფრო მეტად დაწინაურებულნი ჩანან. ამის ანარეკლია უთუოდ მაღალმთიან რაიონებში აღმოჩენილი მეტად მძლავრი ბრინჯაოს კულტურა. საფიქრებელია, რომ II ათასწლეულის შუა ხანებში ძვ. წ. ჩვენში მეცხვარეობა უკვე ძირითადად მესაქონლეობის წამყვანი დარგი ხდება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მეცხვარეობის დაწინაურებას ხელს უწყობდა აგრეთვე მიწათმოქმედებაც. მიწათმოქმედების განვითარება მოითხოვდა სულ უფრო და უფრო მეტ მიწის ფართობს, რაც თავის მხრივ იწვევდა ტყის თანდათანობით შემცირებას და გაშლილი ადგილები კი მეცხვარეობის დაწინაურებისათვის ხელსაყრელი პირობა იყო.

მოშინაურებული ცხოველების ძვლებთან ერთად ენეოლითური ხანის ფენებში მრავლად ჩნდებოდა აგრეთვე სხვადასხვა გარეული ცხოველების ნაშთებიც. დიდუბის ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა გარეული ცხოველების: თხის, ჯეირანის, შველის და სხვ. ძვლები. ოჩამჩირის ენეოლითური ხანის ნასოფლარის ფენებში ნაპოვნი იყო გარეული თხის, ირმის და სხვ[1]. ძვლები. შენგავითში მრავლად აღმოჩნდა გარეული თხისა და ცხენის ძვლები და სხვ.[2] ჩანს, რომ მონადირეობას ამ პერიოდში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ასევე განვითარებული უნდა ყოფილიყო მეთევზეობაც. არა ერთსა და ორ ნამოსახლარზე აღმოჩნდა თევზის ძვლები და აგრეთვე თევზის საქერი ბადის საწაფები. თუმცა მართალია შეგროვების არსე-

---

[1] Соловьев Л. И. დასახ. ნაშრ., გვ. 52.

[2] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 173.

ბობის შესახებ პირდაპირი საბუთი არაფერი გვაქვს, მაგრამ, საფიქრებელია, რომ შეგროვებაც ამ საფეხურზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

მამაკაცის მნიშვნელობა ამ პერიოდში, როგორც ჩანს, საგრძნობლად გაძლიერდა, მაგრამ გვარში მეთაურობას ჯერ კიდევ დედაკაცი ინარჩუნებს. როგორც აღნიშნული იყო, წინა საფეხურთან შედარებით ახლა გაცილებით უფრო განვითარებული კულტურა ჩანს. საგრძნობლად წინაურდება მიწათმოქმედება, ძლიერდება მესაქონლეობა, ჩნდება პირველი ლითონის ნივთები და სხვ. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ გვარი აქ ჯერ კიდევ განვითარების მატრიარქალურ საფეხურზე იმყოფებოდა, რომლის შიგნითაც უკვე ჩნდება რიგი ისეთი ნიშნებისა, რომლებსაც შემდეგში ხელი უნდა შეეწყო მისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისათვის[1]. რა თქმა უნდა, ეს გადასვლა უეცრად არ მომხდარა. მატრიარქალური გვარის შიგნით თანდათანობით თავს იჩენს მთელი რიგი ისეთი თავისებურებისა, რომლებიც არსებულ მდგომარეობას ველარ ეგუება. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მესაქონლეობა. როგორც ცნობილია, მესაქონლეობის დაწინაურებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა საზოგადოების განვითარებაზე. მეურნეობის ამ დარგის განვითარება თანდათანობით ხელს უწყობს მამაკაცის როლის გაძლიერებას. როგორც ზემოთ ითქვა. მესაქონლეობის მძლავრი წინსვლა ჩვენში განსაკუთრებით შეინიშნება უკვე ენეოლითის ბოლო საფეხურზე (მიწურულში). ამ პერიოდიდან მოკიდებული, საფიქრებელია, ქალი უკვე თანდათანობით კარგავს თავის უპირატეს მდგომარეობას და მამაკაცის როლი სულ უფრო და უფრო იზრდება; საფუძველი ეყრება გვაროვნული საზოგადოების ახალ, უფრო განვითარებულ ორგანიზაციას — პატრიარქატს.

ენეოლითური ხანის მასალებიდან ჩანს, რომ ქალს აქ ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მდგომარეობა. ამ პერიოდის კულტურულ ფენებში გვხვდება ხოლმე ქალის თიხის ქანდაკებები. ქიულ-თაფაში აღმოჩნდა სამი ამგვარი ქანდაკება მკვეთრად გამოსახული სასქესო ორგანოებით[2]. თიხის ქანდაკება მკვეთრად გამოსახული მკერდით ნაპოვნი იყო ურბნისში. შენგავათის ნამოსახლარზე აღმოჩნდა ნალისებრი სადგარი, რომლის შუა ნაწილზე ქალია გამოსახული[3] და სხვ. ამრიგად, საფიქრებელია, რომ ლითონის გაჩენის ადრეულ საფეხურზე ქალს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი წამყვანი როლი

---

[1] Киселев С. В. Древняя история южной Сибири. МИА СССР, № 9, М.—Л., 1949. გვ. 30.

[2] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ.. გვ. 176.

[3] Куфтин Б. А. Урартский «колумбарий». გვ. 119. კუფტინი ბ. დასახ. ნაშრ., გვ. 13.

მეურნეობაში; ენეოლითის ბოლოსათვის ჩვენში უკვე მატრიარქატს უჩნდება საგრძნობი ბზარი და საფუძველი ეყრება საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურს — პატრიარქატს.

ამრიგად, ამიერკავკასიაში გამოვლენილი ენეოლითური კულტურა მეტად საყურადღებო მასალას გვაწვდის საზოგადოების განვითარების ადრეული ეტაპის შესახებ. ირკვევა, რომ ლითონის გამოჩენის ადრეულ ხანაში აქ გაბატონებული ყოფილა მძლავრი, მეტად თავისებური, მდიდარი კულტურა. აღსანიშნავია, რომ ამ კულტურის ელემენტები შეინიშნება აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში. 1939 წ. სამხრეთ დაღესტანში, სოფ. კაიაკენტის მახლობლად არქეოლოგმა ა. კრუგლოვმა აღმოაჩინა უძველესი ნამოსახლარი. აქ მოპოვებული მასალა უთუოდ ახლო დგას ამიერკავკასიის ენეოლითური ხანის კომპლექსთან[1]. გარკვეულ მსგავსებას იჩენს ჩვენს ძეგლებთან აგრეთვე ჩრდილო ოსეთში, სოფ. ყობანთან მოპოვებული ენეოლითური ხანის მასალა[2]. უთუოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამიერკავკასიის ენეოლითური ხანის ძეგლები, ჩანს, საკმაოდ ახლო ურთიერთობაშია წინა აზიის ამავდროულ კულტურებთან[3]. შედარებით უფრო ახლო კავშირი ჩანს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის კულტურულ სამყაროსთან[4]. მაგრამ მიუხედავად ამ მსგავსებისა, კავშირისა, ურთიერთობისა, უთუოდ აშკარაა, რომ ამიერკავკასიაში ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე გავრცელებული კულტურა მეტად თავისებურია, ორიგინალურია, რომელსაც თავისი ძველი ტრადიციები გააჩნია და მისი საწყისებიც ადგილობრივ ნეოლითურ კულტურაში უნდა ვეძებოთ[5].

სამწუხაროდ, ჩვენში გავრცელებული ენეოლითური კულტურის თარიღის შესახებ სადღეისოდ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. რა თქმა უნდა, ამას უთუოდ ართულებს ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება ჯეროვნად შემუშავებული ქრონოლოგია. ამიტომაცაა, რომ ენეოლითური კულტურის შესახებ დღემდე ერთი გარკვეული მოსაზრება არ მოგვეპოვება. ბ. კუფტინი ამ კულტურის მეტად ზოგად თარიღს იძლევა და მას III ათასწლეულით

---

[1] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 179. Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 126.

[2] Крупнов Е. И. Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА СССР. № 23, М. — Л., 1951, გვ. 22.

[3] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 183.

[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 127. Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года..., გვ. 44. კუფტინი ბ. დას. ნაშრ., გვ. 14.

[5] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 180.

ათარიღებს.[1] ბ. პიოტროვსკი ძველი ნამოსახლარების კულტურას მიაკუთვნებს III ათასწლეულის II ნახევარს და მის ბოლოს. ამ პერიოდის ცალკეულ ძეგლთა თარიღის შესახებ სხვა ავტორებსაც აქვს მოსაზრებები გამოთქმული. მაგრამ, აქ აღვნიშნავთ მხოლოდ მკვლევართა უმრავლესობის აზრს, რომლებიც ამ პერიოდის ძეგლებს მიაკუთვნებენ III-ათასწლეულის II ნახევარს[2]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანებში, ა. იესენი თავის ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც სპეციალურად ყუბანის დიდი ყორღანების თარიღის საკითხებისადმია მიძღვნილი, აღნიშნავს, რომ მაიკოპის ქვეჯგუფი შეიძლება მოვაქციოთ 2300—1900 წ. წ. შორის ძვ. წ[3]. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ უფრო მართებული იქნება თუ განვითარებული ენეოლითის ხანას ჩვენში მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარს მივაკუთნებთ, ხოლო მის საწყის ეტაპს მეოთხე ათასწლეულში გადავიტანთ.[4] შემდგომი კვლევა-ძიება კიდევ უფრო მეტ სინათლეს მოჰფენს ამ საკითხს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, ენეოლითური კულტურა ამიერკავკასიაში შედარებით ხანმოკლე უნდა ყოფილიყო. ჩვენში აღმოჩენილი ნამოსახლარები თითქოს ამის ფიქრის საწუალებას იძლევა იმის გამო, რომ არსად არ ჩანს აქ ხანგრძლივი დასახლების კვალი. ჩვენში მეტალურგიის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო. ამიტომ, საფიქრებელია, რომ გარდამავალი საფეხური აქ შედარებით სწრაფად უნდა გასულიყო და ადრევე დაიწყო ნამდვილი მეტალურგია.

---

[1] Куфтин Б. А. Урартский „колумбарий"..., გვ. 125. Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года..., გვ. 7. Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. მუზ. მოამბე, XIIB, თბილისი, 1944, გვ. 292.

[2] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრომი, გვ. 183,

Пиотровский Б. Б. Археология Закавказья, Ленинград, 1949, გვ. 23.

[3] Пессен А. А. К хронологии больших кубанских курганов. Советская археология, т. XII. М.—Л., 1950, გვ. 182—183.

[4] მსგავსი მოსაზრება გამოთქმული აქვს დ. ქორიძეს თავის საკანდიდატო დისერტაციაში (იხ. დასახ. ნაშრ.).

II. ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა

ბრინჯაოს ხანაში ჩვეულებრივ სამ პერიოდს არჩევენ: ადრეულს, შუასა და გვიანს. ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხური უშუალოდ მოსდევს ენეოლითურ ხანას. ენეოლითური კულტურის ბოლოსათვის ჩვენში თითქოს უკვე იქმნება ყველა პირობა იმისა, რომ საზოგადოება თავისი განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს. ამას უთუოდ ხელს უწყობდა ის, რომ მიწათმოქმედება და განსაკუთრებით კი მესაქონლეობა ამ პერიოდში საგრძნობლად წინაურდება. უთუოდ აღსანიშნავია, რომ ამავე დროს დიდ განვითარებას აღწევს აგრეთვე მეტალურგიაც. ენეოლითურ ხანაში ლითონს ძირითადად ცივად ჭედვის წესით ამუშავებდნენ და კულტურის ეს საფეხური გრძელდება იქამდე, ვიდრე არ დაიწყო ლითონის ჩამოსხმა, ე. ი. ნამდვილი მეტალურგია. აქედან იწყებენ ხოლმე ჩვეულებრივად განვითარების ახალ სტადიას — ბრინჯაოს ხანას[1]. ჩვენში მეტალურგიის განვითარებისათვის კარგი პირობები უნდა ყოფილიყო, რის გამოც ენეოლითური საფეხური შედარებით სწრაფად დამთავრდა. ბრინჯაოს კულტურის სწრაფ აღმავლობას ჩვენში ხელს უწყობდა საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა წინა აზიის დაწინაურებულ ქვეყნებთან, რაც ადრიდანვე შეინიშნება. ამ კავშირზე მიუთითებს უთუოდ ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე კავკასიაში გავრცელებული სპილენძის იარაღის ზოგიერთი ფორმა, სტილისტური თავისებურება მაიკოპის ნივთებისა და სხვ[2]. მაგრამ, ცხადია, რომ მეტალურგიის განვითარებას თავის მხრივ განაპირობებდა აგრეთვე ისიც, რომ კავკასია მდიდარი იყო

[1] Чайлд Г. Прогресс и археология. Москва, 1949, стр. 70.

[2] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XII—B, თბ., 1944.

ფერადი ლითონებით და ამან გამოიწვია, ალბათ, ადგილობრივი მეტალურგიის სწრაფი დაწინაურება[1]. ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ჩვენში გავრცელებული ლითონის ნივთები, ჩანს, უპირატესად უკვე ჩამოსხმულია და ზოგჯერ საკმაოდ რთული წესითაც[2].

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ადრინდელი ბრინჯაოს ხანა ჩვენში ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. მასალა უმეტესად შემთხვევითი აღმოჩენების შედეგადაა დაგროვილი და ისიც შედარებით მცირეა. ჯერჯერობით ამ პერიოდის მხოლოდ რამდენიმე ძეგლია გათხრილი და, სამწუხაროდ, მათი შესწავლა ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე არ იდგა. ამიტომაცაა, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანის შესახებ ბევრის არაფრის თქმა შეგვიძლია. სხვა ძეგლებთან შედარებით უკეთაა შესწავლილი თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანები.

ა) ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლები

თ რ ი ა ლ ე თ ი. [1]თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებიდან შესწავლილია მხოლოდ რამდენიმე ყორღანული სამარხი. ინვენტარი აქ მეტისმეტად ღარიბულადაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ეს სამარხები მაინც მეტად საყურადღებო მასალას გვაწვდის იმდროინდელი საზოგადოების შესახებ. ბ. კუფტინი თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანებში ძირითადად ორ ჯგუფს გამოყოფს[3].

პირველი ჯგუფის ყორღანებს თრიალეთის ექსპედიცია ძირითადად სწავლობდა თრიალეთის სამხრეთ რაიონში, მაღლობ ნაწილში დაახლოებით 2200 მ სიმაღლეზე, ფარავნის ტბისაკენ გადასავალ უღელტეხილთან. ამ ყორღანების დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, წინა წელს გზის მშენებლების მიერ დანგრეული იყო და ექსპედიციას მოუხდა უკვე საკმაოდ დაზიანებული ძეგლების შესწავლა. მხოლოდ ერთ ყორღანში ყრილის ქვეშ პირდაპირ ნიადაგზე აღმოჩნდა მეტად საყურადღებო ხელუხლებელი სამარხი. სამარხში იყო: სპილენძის ბრტყელი, მოკლე და ფართო სატევრის პირი, პრიმიტიული ფორმის ბრტყელი სპილენძის შუბის თუ სატევრის პირი (ტაბ. IX, 2, 3), სპილენძის აბჯრის ნაწილები, ობსიდიანის ისრის პირი, ოქროს სამი ცილინდრული

---

[1] Крупнов Е. И. Древнейший период истории кабарды. Сборн. по истор. Кабарды. вып. I. Нальчик, 1951, стр. 40.

[2] Сакварелидзе Т. Н. Бронзы древней Грузии. автореферат. Тбилиси, 1954, стр. 7.

[3] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941, гз. 101.

გადასაკრავი, ვფიქრობთ, ხის მშვილდისა და ჰემატიტის ლახტის თავი, ცილინდრული ნახვრეტით (ტაბ. IX, 5). სამარხში თიხის ჭურჭელი სრულიად არ იყო. ამ გარემოებამ ბ. კუფტინს აფიქრებინა, რომ შესაძლოა ეს ყორღანები მიეკუთვნებოდა მომთაბარე ხალხს, ანდა, ეგებ, ამ მიდამოებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელიც დროებით ამოსულა მაღალმთიან საძოვრებზე[1].

ადრეული ბრინჯაოს ხანის მეორე ჯგუფის ყორღანები თრიალეთიდან შედარებით უკეთაა შესწავლილი მდ. ქციისა და მის შენაკადთა ხეობებში. გარეგნულად ეს ყორღანები თითქმის სრულიად არ განსხვავდებიან მომდევნო ხანის ცნობილი ყორღანებისაგან. მეორე ჯგუფის ყორღანები ორმოიანია, ქვა-მიწაყრილიანი. ეს ყორღანები ჩვეულებრივად დიდი ზომისაა. ერთ შემთხვევაში მარტო ყრილის სიმაღლე 5 მ აღწევდა, ხოლო დიამეტრი 45 მ. სამარხი ორმო-ყრილის ქვეშ ზოგჯერ აქ მეტად დიდი ზომისა იყო. მაგ., ერთგან ორმო ნიადაგის ზედაპირიდან 7,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. უმეტესად იგი მრგვალი ფორმისაა 3—4 მ დიამეტრისა[2].

აქაც, ისევე როგორც თრიალეთის უფრო მოგვიანო ხანის სამარხებშიც, მიცვალებულის ძვლები ცუდადაა დაცული. მაგრამ ერთ ყორღანში მაინც მოხერხდა მიცვალებულის პოზის დადგენა: იგი აღმოჩნდა გვერდზე მწოლარე ფეხებმოკეცილი[3].

ამ ჯგუფის ყორღანების სამარხეული ინვენტარი მეტად ღარიბულია. გვხვდებოდა თითო-ოროლა თიხის ჭურჭელი, რომელიც ჩვეულებრივად მიცვალებულის თავთან იდო. ლითონის ნივთი სულ ორგანაა ნაპოვნი: ძლიერ დაშლილი სპილენძის ბრტყელი იარაღის პირი (XIX ყორღანი), და ოთხწახნაგა ბიპირამიდალური სადგისი თუ საჭრეთელი (XXIV ყორღანი). აქვე აღმოჩნდა მეტად დაშლილი კიდევ რაღაც ნივთი, ვფიქრობთ, შუბის პირის ნაწილი. გარდა ამისა, უთუოდ აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ყორღანის (IV ყორღანი) ყრილში ნაპოვნი იყო ვერცხლის მასიური ხვია, ეგებ, თავის დროზე მძარცველების მიერ შემთხვევით დაკარგული. იგი ძალიან ახლოსა დგას ჩრდ. კავკასიაში სტანიცა ლეტნიცკაიას ადრეული ბრინჯაოს ხანის დიდ ყორღანში აღმოჩენილ ამგვარსავე ელექტრონის ხვიასთან[4]. მხოლოდ მეტად პირობით შეიძლება მივაკუთვნოთ ამ პერიოდს ერთ-ერთ ყორღანში (XIX) ურარტული

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრომი. გვ. 101.

[2] იქვე. გვ. 101.

[3] Куфтин Б. А. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии. Краткие сообщения ИИМК. вып. VIII. გვ. 24.

[4] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 102.

ხანის ჩაშვებულ სამარხ-ორმოში ჩაყრილ მიწაში აღმოჩენილი ორი ნუშისებრი ფორმის ობსიდიანის ისრის პირი[1].

ადრეული ბრინჯაოს ხანის ერთი მეტად საყურადღებო ყორღანი „კანაშ-ტაპა" („მწვანე ყორღანი") შეისწავლა 1947 წ. თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. ეს ყორღანი საკმაოდ დიდი იყო (სიმაღლე 2 მ და დიამეტრი 35—38 მ). სამარხი ორმო ოთხკუთხა მოყვანილობისა ჰქონდა, საკმაოდ მოზრდილი (6,6×4,5 მ)[2].

სამარხეული ინვენტარი აქაც მეტად ღარიბული აღმოჩნდა; შედგებოდა მხოლოდ კერამიკული ნაწარმისაგან—4—5 ჭურჭელი. აქ მოპოვებული მასალა და აგრეთვე თვით სამარხი ორმოს ხასიათიც ძალიან ახლოსა დგას ბ. კუფტინის მიერ ჯერ კიდევ 1938 წ. გათხრილ XI ყორღანთან. „მწვანე ყორღანი"-ს ორმოს ძირზე აღმოჩნდა 1,75 მ დაშორებული პარალელურად განლაგებული ორი ჩაღრმავებული ზოლი. ამგვარი ღარები ჯერ კიდევ შემჩნეული იყო XI ყორღანში და ბ. კუფტინმა იმთავითვე აღნიშნა, რომ ეს ხის ეტლის ნაკვალევი უნდა იყოსო. იგი ფიქრობს, რომ ორმო ზემოთ გადახურული უნდა ყოფილიყო. ხის დალპობის შემდეგ ყრილი ჩაწვა, რის შედეგადაც დაზიანდა ორმოს ძირზე მოთავსებული თიხის ჭურჭელი[3].

„მწვანე ყორღანში" მოპოვებული მასალის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ აქ გვხვდება ერთი მხრივ კერამიკა, რომელიც უკვე მომდევნო ხანის ყორღანებისათვისაა დამახასიათებელი[4], მეორე მხრივ კი უფრო ტლანქი ფრაგმენტები ჭურჭლისა, შემკული რელიეფური სპირალური ორნამენტით, შავპრიალა ზედაპირით. როგორც ცნობილია, ეს მოტივი დამახასიათებელია ენეოლითური კერამიკისათვის და ჩანს, რომ ეს ძველი ტრადიცია აქ მომდევნო ხანაშიაც ცოცხლობს[5]. ამასვე მიუთითებს აგრეთვე ამავე ყორღანში ნაპოვნი დისკოიდური ხუფი, რომელიც ენეოლითური ხანის ფენებიდანაა ცნობილი.[6] სათანადო მასალის სიმცირის გამო, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა ამ ჯგუფის ყორღანთა შესახებ. მაგრამ წინასწარ, ეგებ, მთლად უმართებულო არ იყოს თუ „მწვანე ყორღანს" და

[1] იქვე.

[2] Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тбилиси, 1948, გვ. 22.

[3] იქვე, გვ. 23.

[4] იქვე, გვ. 25. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. გვ. 84.

[5] Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года.... გვ. 26.

[6] Куфтин Б. А. Урартский „колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XIII B, თბილისი, 1944, გვ. 73.

აგრეთვე 1938 წ. გათხრილ XI ყორღანს ადრეული ბრინჯაოს ხანის დასასრულს მივაკუთვნებთ. ამას ერთი მხრივ გვაფიქრებინებს ის, რომ აქ არქაულ კერამიკასთან ერთად, გვხვდება აგრეთვე ფრაგმენტები ისეთი ჭურჭლისა, რომელიც უკვე შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებისათვისაა დამახასიათებელი, მეორე მხრივ კი ის ფაქტი, რომ ორივე ყორღანში თითქოს დამოწმებულია მიცვალებულის ხის ეტლით დაკრძალვა. დაკრძალვის ეს წესი, როგორც ცნობილია, გავრცელებული იყო შუა ბრინჯაოს ხანაში თრიალეთში და ერთ შემთხვევაში კიდეც აღმოჩნდა ამ პერიოდის ყორღანში ხის ეტლი[1]. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ხერხდება თრიალეთის ბრინჯაოს ხანის ყორღანებიდან ძირითადად ორი ქრონოლოგიური ჯგუფის გამოყოფა: ადრეული ბრინჯაოს და შუა ბრინჯაოს ხანისა[2]. რა თქმა უნდა, თითოეული ეს ჯგუფი თავის მხრივ ცალკეულ ქრონოლოგიურ სტადიებად განიყოფება, რის შესახებაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ამიტომაც „მწვანე ყორღანი" და XI ყორღანი განსაკუთრებით საინტერესო ჩანს. ეს ყორღანები თითქოს ერთგვარად გარდამავალი ხასიათისაა ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მომდევნო საფეხურზე.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1947 წ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით სხვა ძეგლებთან ერთად გათხარა და შეისწავლა ადრეული ბრინჯაოს ხანის ერთი ყორღანი სოფ. ხადიკიდან[3]. ეს ყორღანი 2 მ სიმაღლისაა და 25 მ-მდე დიამეტრისა. ყორღანში ორი სამარხი აღმოჩნდა, ერთი გვიანდელი ჩაშვებული, მეორე კი ძირითადი. ძირითადი სამარხი (სამარხი № 2) ყორღანის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა 2,1 მ სიღრმეზე ყრილის ქვეშ[4]. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა ძლიერ მოკუნტული, თავით აღმოსავლეთით. მიცვალებულის ზურგის მალებსა და ნეკნებს შორის აღმოჩნდა წითელი საღებავის (მუმია) ნაშთი. შესაძლოა, აქ მიცვალებულის ნეშთის „შეღებვის" რიტუალთან გვქონდეს საქმე[5]. უთუოდ სამარხს მიეკუთვნება სამარხის გარეთ, ყორღანის დასავლეთ თუ აღმოსავლეთ (?) ნაწილში ნაპოვნი სამი თიხის ჭურჭელი: ღია ვარდისფერი პატარა კოჭობი იმიტირე-

---

[1] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. გვ. 31.

[2] იქვე, გვ. 79.

[3] გძელიშვილი ი. ხადიკის ყორღანი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 10, თბილისი, 1950, გვ. 697.

[4] იქვე, გვ. 698.

[5] იქვე, გვ. 701.

ბული ყურებით, ღია ვარდისფერი პატარა ცალყურიანი ქილა და წითლად შეღებილი პატარა ორყურა ქილა[1]. ჭურჭლებთან აღმოჩნდა მახვილფეხა რქოსანი საქონლის კბილები და მეტად დაშლილი სხვა ძვლები.

ხადიკის ყორღანი თავისი ხასიათით იმავე ტიპისაა, როგორიც თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის სხვა ყორღანები. აქ მოპოვებული კერამიკა უთუოდ ახლო დგას ჩვენში ადრეულ ხანაში გავრცელებულ ჭურჭელთან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხადიკის ყორღანის პირველი გამომქვეყნებელი სრულიად უსაფუძვლოდ მას ადრეულ ენეოლითს მიაკუთვნებს.

ამრიგად, როგორც ჩანს, თრიალეთის ადრეული ხანის ყორღანები შედარებით მცირე მასალას იძლევა, მაგრამ ზოგი რამის თქმა მაინც ხერხდება. შესაძლებელი ხდება დაახლოებით მაინც მათი ასაკის დადგენა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა აქ მოპოვებული კერამიკა (ტაბ. IX 1,4,6). კერამიკული მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ იგი ჯერ კიდევ ახლოსა დგას წინამორბედ საფეხურზე გავრცელებულ თიხის ნაწარმთან. ყორღანულ კერამიკას ბევრი საერთო აქვს ენეოლითურ ჭურჭელთან: აქაც გვხვდება ხელით ნაძერწი, ოღონდ შესანიშნავად შესრულებული თიხის ჭურჭელი[2]. ეს ჭურჭელი სქელკედლიანია, კარგად დამუშავებული და გაპრიალებული ზედაპირით. დამახასიათებელია, რომ ჰონატეხიდან ხშირად ჩანს, რომ გარეთა ნაწილი შავია, შიგნითა კი მოვარდისფრო[3]. სწორედ ძერწვის ხასიათითა და ზოგიერთი სხვა მომენტებით ყორღანული ჭურჭელი ენათესავება ენეოლითურ კერამიკას. აქაც გვხვდება ვიწროძირიანი, ფართოყელიანი ჭურჭელი, ნახევარსფეროსებრი მოყვანილობის ყურებით[4]. ამ ყურების მოყვანილობა, რა თქმა უნდა, აიხსნება მათი გენეტიკური კავშირით ენეოლოთის კერამიკასთან. აქ სხვა თავისებურებების ჩამოთვლაც შეიძლება, რითაც ეს კერამიკა წინა საფეხურს უკავშირდება; აქედან აღვნიშნავთ კიდევ ერთს — სახელდობრ, თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის კერამიკის ორნამენტაცია ძლიერ ენათესავება ენეოლითური კერამიკის ერთი ჯგუფის შემკულობის მოტივს[5]. მიუხედავად ამგვარი მსგავსებისა, თრიალეთის ყორღანების ადრინდელი ჯგუფის კერამიკა

---

[1] იქვე. გვ. 702.

[2] Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ.. გვ. 102.

[3] იქვე. გვ. 102.

[4] იქვე.

Куфтин Б. А. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, გვ. 23.

[5] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ.. გვ. 23. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 104.

უფრო განვითარებული ჩანს, ვიდრე ენეოლითური. მართალია, იგი ჯერ კიდევ შორსაა შუა ბრინჯაოს ხანის ჭურჭლისაგან, მაგრამ მასში უკვე შეინიშნება რიგი ისეთი ნიშნები, რითაც იგი რამდენადმე მომდევნო ხანის კერამიკას უკავშირდება[1].

თრიალეთის ადრინდელი ხანის კერამიკა ძალიან ახლოს დგას ჩვენში, თანადროულ ძეგლებში, მოპოვებულ თიხის ნაწარმთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საჩხერის სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, რომელთანაც თრიალეთურს ბევრი საერთო აქვს[2]. აღსანიშნავია, რომ სამგორის ყორღანის ერთი მოზრდილი თიხის ჭურჭელი სავსებით ისეთივეა, როგორც თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი ჭურჭელი და სხვ.

ლითონის ნივთები თრიალეთის ადრინდელი ხანის ყორღანებში ჯერ კიდევ მეტად იშვიათია. ჩანს, ეს გარემოებაც მათ წინამორბედ საფეხურთან აახლოებს. ერთ-ერთ ყორღანში მოპოვებული ოთხწახნაგა სადგისი ახლო დგას ენეოლითურ ფენებში ნაპოვნ ამგვარსავე იარაღთან. ოთხწახნაგა სადგისი საერთოდ დამახასიათებელი ჩანს ლითონის გაჩენის ადრინდელი საფეხურისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი ჯგუფის ერთ-ერთ ყორღანში მოპოვებული ინვენტარი. როგორც აღნიშნული გვქონდა, აქ თიხის ჭურჭელი სრულიად არ აღმოჩნდა[3]. ლითონის ნივთებიდან სამარხში აღმოჩნდა პრიმიტიული ბრტყელი სატევრის პირი, ფართო და მოკლე ყუნწით, რომელიც ნახვრეტით მთავრდება, ბრტყელი, მეტად პრიმიტიული ფორმის შუბის პირი და სპილენძის აბჯრის(?) ნაწილები. უთუოდ საყურადღებოა აქ მოპოვებული ოქროს ფირფიტის სამი გადასაკრავი. ამ პერიოდის სხვა ძეგლებში, გარდა ერთი ოქროს ხვიისა ცარცის გორადან[4], ჩვენში ოქროს ნივთი დღემდე სრულიად უცნობია. როგორც ცნობილია, მომდევნო საფეხურზე, ჩვენში ოქრომჭედლობა უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგას და, რა თქმა უნდა, საფიქრებელია, რომ ეს დარგი, ალბათ, წინა საფეხურზე განვითარების გარკვეულ ნაბიჯებს დგამდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ამ პერიოდის ოქროს ნივთი, გარდა ზემოაღნიშნული სამი გადასაკრავისა და ხვიისა, უცნობია. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ კავკასიაში ამ დროისათვის უკვე კარგადაა ცნობილი ოქროს ნივთები. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ყუბანის დიდი ყორ-

[1] Пиотровский Б. Б. Поселение медного века в Армении, Сов.арх., XI. стр. 183.

[2] Куфтин Б. А. დასახ ნაშრ., გვ. 104. Куфтин Б. А. Археолог. маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, 1949, стр. 76.

[3] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 101.

[4] Куфтин Б. А. Археолог. Маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, გვ. 73. ტაბ. XV.

ლანების კულტურა გამოირჩევა ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთი მაღალმხატვრული ნაწარმით. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალები. ჯერ კიდევ ე. რესლერმა, გასული საუკუნის მიწურულში მთიან ყარაბაღში, მდ. ხაჩანაგეტის ნაპირზე გათხრილ ერთ-ერთ ყორღანში სხვა ნივთებთან ერთად აღმოაჩინა აგრეთვე ოქროს მავთულის სპირალი[1]. მსგავსი ყორღანი შეისწავლა აგრეთვე ი. ჰუმელმა სტეპანაკერტში 1939 წ. აქაც მდიდარ სამარხეულ ინვენტარში აღმოჩნდა სამი ოქროს მძივი და ოქროს საყურე. ხაჩანაგეტის და სტეპანაკერტის ყორღანები მიეკუთვნებიან ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურს. აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ საერთო შეინიშნება ენეოლითურ კულტურასთან. გარკვეული მსგავსება ჩანს აგრეთვე თრიალეთის ადრინდელი ჯგუფის ყორღანებთანაც. აქაც გვხვდება ქვის ლახტის თავები, ბრტყელი პრიმიტიული შუბისა და სატევრის პირები და სხვ.[2]

გარდა ოქროსი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თრიალეთის ერთ-ერთ გაძარცულ ყორღანში აღმოჩნდა აგრეთვე ერთი ვერცხლის მსხვილი მავთულის ხვია. იგი, როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავს, საკვლევით ისეთივეა, როგორც ჩრდ. კავკასიაში სტანიცა ლეტნიცკაიას ყორღანში აღმოჩენილი ელექტრონის ხვია[3]. თრიალეთის ხვიას ენათესავება აგრეთვე საჩხერული ოქროს ხვიაც. საერთოდ უნდა შეენიშნოთ, რომ ამგვარი ხვიები სპილენძისა თუ სხვა ლითონისა, დამახასიათებელი ჩანს ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი საფეხურისათვის[4]. მათ უკვე ვხვდებით ტყვიავის ერთ-ერთ ყორღანში[5]. 1,5 სპირალიან მრგვალ ხვიებს ვხვდებით აგრეთვე მომდევნო საფეხურზედაც. მაგ., ამგვარი ხვია აღმოჩნდა სოფ. ქვასათალში შუა ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ კოლექტიურ სამარხში.

ამრიგად ჩანს, რომ ჩვენში უკვე ადრეული ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული შეინიშნება ძვირფასი ლითონების დამუშავების ტრადიციები, და, როგორც ცნობილია, მომდევნო საფეხურზე მათი დამუშავება უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე ადის.

---

[1] ОАК за 1897 г., Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 179.

[2] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 180.

[3] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 102.

[4] Лукин А. Л. Материалы по археологии Банбской Абхазии. Тр. отд. истории первобытной культуры. Гос. эрмитаж. т. I, 1941. стр. 27.

[5] მაკალათია ს. ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბილისი, 1945. გვ. 46.

ადრინდელი ხანის ყორღანებში მოპოვებული ნივთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰემატიტის ლახტის თავი[1]. იგი მრგვალია, ბირთვისებრი მოყვანილობის, შუაში ცილინდრული ნახვრეტით. ბ. კუფტინი ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ თრიალეთში სამი ამგვარი ლახტის თავი აღმოჩნდა[2]. ცნობილია, რომ ლახტის თავი წარმოადგენდა როგორც ძალაუფლების სიმბოლოს, ისე საბრძოლო იარაღსაც. ჩვენში ქვის ლახტის თავები, სადღეისოდ არსებული მასალებიდან, უკვე ენეოლითის მიწურულიდან ჩანს. ერთი დიაბაზის ლახტის თავი აღმოჩნდა ტყვიავის ერთ-ერთ ყორღანში[3]. ბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით მის შუა საფეხურზე, ჩვენში ფართოდ ერცელდება ქვის ლახტის თავები. მათ ხშირად ვხვდებით ამ პერიოდის სამარხებში. ბრინჯაოს კულტურის მოგვიანო საფეხურზე უკვე ქვის ლახტის თავის გვერდით ჩნდება აგრეთვე ლითონის ლახტის თავებიც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰემატიტის ლახტის თავები, თრიალეთურის მსგავსი, აღმოჩენილია სირიაში, პალესტინაში, მცირე აზიაში და სხვ.[4] ამიერკავკასიაში ჰემატიტის ლახტის თაეები ცნობილია სტეპანაკერტიდან და ორიც ყიზილ-ვანქიდან შედარებით უფრო მოგვიანო კომპლექსში[5].

რაც შეეხება ერთ-ერთ ყორღანის ყრილში აღმოჩენილ ორ ობსიდიანის ისრის პირს, მათ შესახებ ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის გამო, რომ მათი აღმოჩენის ვითარება მთლად ზუსტი არ არის[6].

ამრიგად, როგორც ვნახეთ, თრიალეთის ადრინდელი ყორღანები მეტად მწირ მასალას გვაწვდის და, რა თქმა უნდა, ამიტომაც ძნელდება ამ პერიოდის შესახებ რაიმეს გარკვევით თქმა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ყორღანები ერთგვარ შუქს მაინც ფენენ ამ პერიოდის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას[7]. რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ ეს ადრინდელი ყორღანები, რომელთა ასაგებადაც უთუოდ მეტად დიდი შრომა უნდა დახარჯულიყო, მეტად ღარი-

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 101, სურ. 110.

[2] კუფტინი ბ. ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბილისი, 1949, 18.

[3] მაკალათია ს. დასახ. ნაშრ., გვ. 23, სურ. 28.

[4] კუფტინი ბ. დასახ. ნაშრ., გვ. 18. გობეჯიშვილი გ. სტალინირის ნაცარგორა, მიმოხილველი. II, თბილისი, 1951, გვ. 266.

[5] კუფტინი ბ. დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[6] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. გვ. 102.

Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года..., გვ. 24; კუფტინი ბ. დასახ. ნაშრ., გვ. 18.

ბულ ინვენტარს იძლევა. დაკავშირებული უნდა იყოს ამ დროინდელი საზოგადოების სოციალურ ამბებთან.

ენეოლითურ ხანაში, როგორც ეს მასალებიდან ჩანს, ყორღანული ტიპის სამარხები ჯერ კიდევ კოლექტიური იყო. ტყვიავის ყორღანები, რომლებიც უშუალოდ წინ უსწრებს თრიალეთის ადრინდელი ჯგუფის ყორღანებს, საგვარეულო სასაფლაოს წარმოადგენდა, სადაც გვარის წევრები იმარხებოდა[1]. ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე კი უკვე დასაფლავების სრულიად სხვა-გვარ წესს ვხვდებით. ახლა ყორღანული სამარხი, რომლის აგება უთუოდ დიდ შრომას მოითხოვდა და ალბათ მთელი გვარის მონაწილეობასაც, ძირითადად ერთი მიცვალებულისათვის იყო განკუთვნილი[2]. რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ გვარის ყველა რიგითი წევრი ამგვარ სამარხებში იმარხებოდა. ამიტომაც, ეგებ, უფრო მართებული იყოს ვიფიქროთ, რომ ამგვარ ყორღანებში დაკრძალული იყო გვარის ბელადი თუ წინამძღოლი. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამარხეული ინვენტარის სიღარიბე უთუოდ იმას უნდა მოწმობდეს, რომ გვარის დაწინაურებული წევრების და გვარის რიგითი წევრების ეკონომიურ მდგომარეობას შორის ჯერ კიდევ დიდი განსხვავება არ იყო.[3]

ამგვარი საგრძნობი ცვლილება დასაფლავების წესში უთუოდ გამოწვეული უნდა ყოფილიყო რაღაც მეტად მნიშვნელოვანი მდგომარეობით, რაც ამ პერიოდში ხდება გვაროვნულ საზოგადოებაში. ამ პერიოდში უკვე ჩანს, რომ საბოლოოდ ირღვევა მატრიარქალური წყობილება და გვარი უკვე განვითარების უფრო მაღალ—პატრიარქალურ საფეხურზე ადის.

ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს დ ო ლ მ ე ნ ე ბ ი. განსაკუთრებით საყურადღებოა აფხაზეთის დოლმენებში მოპოვებული მასალა. როგორც გაირკვა, დოლმენების ქვედა ფენა მიეკუთვნება ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურს. კავკასიაში დოლმენური კულტურა კარგადაა ცნობილი, მეტნაკლებად შესწავლილიც[4]. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი შესწავლა სათანადო მეცნიერულ სიმაღლეზე არ იდგა[5]. დოლმენები საქართველოში სადღეისოდ ჩვენთვის ცნობილია

---

[1] მაკალათია ს. დასახ. ნაშრ., გვ. 33. კუფტინი ბ. დასახ. ნაშრ., გვ. 12.

[2] კუფტინი ბ. დას. ნაშრ., გვ. 17.

[3] კუფტინი ბ. დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[4] Фелицын Е. Д. Западно-Кавказские дольмены. МАК. вып. IX. Москва. 1904,

[5] Миллер А. Записки о дольменах. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბილისი, 1925, გვ. 25.

მხოლოდ აფხაზეთიდან[1]. პირველად ცნობა აფხაზეთში აღმოჩენილი დოლმენიან შესახებ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გამოქვეყნდა[2]. ამიტომაც იყო, რომ კარგა ხანს კავკასიაში დოლმენების გავრცელების სამხრეთ საზღვარს სადღაც სოჭასთან მიიჩნევდნენ[3]. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდით ადრევე გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ დოლმენები გაგრასთან და, ეგებ, მის სამხრეთითაცაა საძებარი[4].

ახლა უკვე რამდენიმე ადგილსაა აფხაზეთში დამოწმებული დოლმენები: სამი დოლმენი ცნობილია სოფ. აზანტიდან; ერთი ჯგუფი დოლმენებისა, სამწუხაროდ, საგრძნობლად დაზიანებული, აღმოჩნდა სოფ. აპანდარაში; რამდენიმე დოლმენი აგრეთვე ძლიერ დაზიანებული ნაპოვნია სოფ. ოთხარაში; განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ეშერში აღმოჩენილი შედარებით კარგად შენახული ერთი ჯგუფი დოლმენებისა. ეს დოლმენები იმითაცაა საყურადღებო, რომ სადღეისოდ მხოლოდ ისინია მეტნაკლებად შესწავლილი[5].

პირველად ეშერის ჯგუფის დოლმენები ინახულა არქეოლოგმა მ. ივაშჩენკომ 1930 წ. ზემო ეშერში ადგილ კიურ-დერეში მის მიერ დამოწმებული იყო 15 დოლმენი[6]. 1934 და 1937 წწ. ეშერის დოლმენები შეისწავლეს ბ. კუფტინმა, ლ. სოლოვიოვმა და ა. ლუკინმა[7]. აქედან მეტნაკლებად უკეთ შემოინა-

---

[1] მ. ივაშჩენკო თავის ნაშრომში „Исследование архаич. памятн. мат. культуры в Абхазии", (გვ. 10) აღნიშნავს, რომ დოლმენები ცნობილია თითქოს აგრეთვე წალკის რაიონიდან. საიდან აიღო მან ეს ცნობა, ჩვენთვის უცნობია.

[2] Стражев В. И. К Азаптскому дольмену. Изв. Абх. Научного общ. вып. IV, Сухум. 1926, стр. 125—127.

[3] Уварова П. С. Несколько дополнительных сведен. по вопросу о Кавказск. дольменах, МАК. IX, Москва, 1904, стр. 175. Куфтин Б. А. Матер. к археолог. Колхиды, т. I, стр. 258.

[4] Миллер А. А. Разведки на Черноморском побережьи Кавказа в 1907 г., Изв. Арх. Ком., вып. 35, СПБ. 1909, стр. 83.

[5] როგორც ჩანს, ბ. კუფტინმა 1946 წ. გათხარა აზანტის ორი დოლმენი (იხ. მისი Материалы к арх. Колхиды, ტ. I; გვ. 253, სქოლიო 2), ოღონდ, სამწუხაროდ, გათხრების შედეგები ჩვენთვის უცნობია.

[6] Иващенко М. М. Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, Тбилиси, 1935, стр. 16.

[7] Куфтин Б. А. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК. вып. VIII, стр. 8; Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XII—B, თბილისი, 1944, გვ. 306, სქოლიო. სამწუხაროდ, ბ. კუფტინს 1937 წ. მასალებიდან მხოლოდ თითო-ოროლა ნივთი აქვს გამოქვეყნებული სხვადასხვა შრომებში.

ზა მხოლოდ ოთხი თუ ხუთი დოლმენი[1]. ყველა დოლმენი დაახლოებით ერთი ტიპისაა. ისევე, როგორც კავკასიის დოლმენთა უმრავლესობას, მათაც გეგმაში ტრაპეციის ფორმა აქვს[2]. დოლმენი ჩვეულებრივად ხუთი ქვისაგან შედგება[3]. წინა მხარე უფრო ფართო აქვს, ვიდრე უკანა. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის დოლმენები საერთოდ უფრო მოზრდილებია, ვიდრე კავკასიის სხვა დოლმენები. ყველაზე უფრო მაღალია აზანტის პირველი დოლმენი — დაახლოებით 2,40 მ: ყველაზე გრძელია ეშერის პირველი დოლმენი —3,64 მ, სიგანით კი ეშერის მესამე დოლმენი[4]. ყველა დოლმენის წინა კედელს დაახლოებით შუაში ოვალური ნახვრეტი აქვს 0,40 მ დიამეტრისა. ჩვეულებრივად ეს ნახვრეტი ქვის საცობითაა დაცული[5]. თუმცა აფხაზეთის დოლმენებთან ამგვარი ქვის საცობები არ. აღმოჩენილა, მხოლოდ კ. აკოპიანის სიტყვით, რომლის კარმიდამოზედაც აღმოჩნდა ეშერის დოლმენები, მის მიერ ნაპოვნი საცობი სოკოსებრი მოყვანილობისა იყო და 2—3 ფუთს იწონიდა[6].

აფხაზეთის დოლმენების წინა მხარე ისევე, როგორც კავკასიის დოლმენთა უმრავლესობა, უპირატესად სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიქცეული[7]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის დოლმენები ტიპობრივად სავსებით ისეთივეა, როგორც დასავლეთკავკასიის დოლმენები[8].

როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, აფხაზეთის დოლმენებიდან, სამწუხაროდ, მხოლოდ ეშერის ჯგუფია უკეთ შესწავლილი და ძირითადად მათი განხილვის შედეგად შეიძლება მეტნაკლებად გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ დოლმენური კულტურის შესახებ.

ეშერის ჯგუფის დოლმენები ძირითადად ერთი ტიპისაა, თუმცა მიუხედავად ამისა, ზოგი რამ თავისებურება მაინც შეინიშნება როგორც ზომაში, ისე სამარხეულ ინვენტარში და სხვ. მაგ., არც დოლმენთა დამხრობა იყო ყოველთვის ერთნაირი. IV დოლმენს წინა მხარე მოქცეული ჰქონდა სამხრეთ-

---

[1] იქვე, გვ. 16.
Куфтин Б. А. Матер. к арх. Колхиды. т. I, Тбилиси, 1949, стр. 26.
[2] Иващенко М. М. დასახ. ნაშრ., გვ. 33,
Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 261.
[3] Куфтин Б. А. იქვე.
[4] ივაშჩენკო მ. დასახ. ნაშრ., გვ. 42.
[5] Миллер А. А. Записки о долменах. стр. 25.
[6] ივაშჩენკო მ. დასახ. ნაშრ., გვ. 36.
[7] ივაშჩენკო მ. დასახ. ნაშრ., გვ. 33.
[8] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 262.

დასავლეთისაკენ, ბაშინ როდესაც ყველა დანარჩენს სამხრეთ აღმოსავლეთით. ეშერში ძირითადად შესწავლილი იყო ხუთი დოლმენი[1].

სამწუხაროდ, სადღეისოდ ჯერ კიდევ გარკვეული წარმოდგენა არა გვაქვს დოლმენებში დასაფლავების წესის შესახებ. ამის მიზეზი ერთი მხრივ ის უნდა იყოს, რომ ეშერის დოლმენების ერთი ნაწილი უკვე ადრევე ნაჩიჩქნი ჩანდა, მეორე მხრივ კი, როგორც უკვე ვთქვით, მათი შესწავლის მეთოდური სისუსტე. ამ მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია II და IV დოლმენები[2].

II დოლმენი თითქმის მთლიანად მიწაში იყო. სამწუხაროდ, არც ეს დოლმენი აღმოჩნდა მთლად ხელუხლებელი. მისი ერთი კუთხე გაუთხრიათ და გადმოცემით ხუთიოდე თავის ქალა, ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები ამოუღიათ აქედან. დოლმენის 2/3 მიწით იყო ამოვსებული. გათხრისას გაირკვა, რომ ადამიანის ძვლები სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა. ამ დოლმენში, არც თუ მთლად ზუსტი გამოანგარიშებით, ნაპოვნი იყო დაახლოებით ოცდახუთამდე თავის ქალა[3].

IV დოლმენში, სამწუხაროდ, ძვლის ნაშთები მეტად ცუდად იყო დაცული და ამიტომ აქაც მთლად ნათელი სურათი არ არის. მიცვალებულის ძვლები მეტად უწესრიგოდ იყო გაფანტული დოლმენის უკანა ნაწილში[4]. მ. ივაშჩენკო აღნიშნავს, რომ ამ დოლმენში შესაძლოა დასაფლავებული იყო მჯდომარე ან ნახევრად მწოლარე მდგომარეობაში ორი მიცვალებული. მესამე მიცვალებული თავით დოლმენის ცენტრისკენ იყო. მის გვერდით კიდევ, ჩანს, ბავშვის ჩონჩხი უნდა ყოფილიყო[5].

დაახლოებით ამგვარსავე სურათს ვხვდებით, აგრეთვე, ეშერის სხვა დოლმენებშიაც. I დოლმენში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა უწესრიგოდ განლაგებული ადამიანის ძვლები; რაიმე წესის დადგენა აქ სრულიად შეუძლებელი იყო[6]. III დოლმენში, მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ დაზიანებული იყო, რამდენიმე თავის ქალა აღმოჩნდა. ნივთები და მიცვალებულის ძვლები

---

[1] აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ 1951 წ. აფხაზეთის ისტორ. არქეოლ. ექსპედიციაში მონაწილეობის დროს ვინახულეთ ეშერის დოლმენების ერთი ჯგუფი. როგორც ჩანს, მათი შესწავლა სათანადო სიმაღლეზე არ უნდა მდგარიყო.

[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 273.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 276.

[5] ივაშჩენკო მ. დასახ. ნაშრ., გვ. 29 და 48.

[6] ივაშჩენკო მ. დასახ. ნაშრ., გვ. 18, 48.

ძირითადად დოლმენის კუთხეებში ჩნდებოდა, რის გამოც მ. ივაშჩენკო ფიქრობს, რომ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ დოლმენის კუთხეებში[1].

ამრიგად, როგორც ჩანს, I ეშერის დოლმენები კოლექტიურ სამარხებს წარმოადგენენ. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მეტად არაზუსტი ცნობით, გადმოცემის თანახმად, II დოლმენში თითქოს აღმოჩნდა ერთი მიცვალებულის ჩონჩხი[2]. თუმცა ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით სადღეისოდ ჯერ კიდევ ძნელია თქმა, დოლმენს აგებდნენ ერთი მიცვალებულისათვის, თუ იმთავითვე იგი კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა. შესაძლოა მართლაც, როგორც ფიქრობენ, თავდაპირველად ერთს თუ რამდენიმე მიცვალებულს დოლმენის კუთხეებში, ეგებ, მჯდომარე პოზით ასვენებდნენ[3], შემდეგში ჩანს, რომ ამ პირვანდელი სამარხების განლაგება ირღვევა იმის გამო, რომ, როგორც ირკვევა, დოლმენები მერმინდელ ხანაშიაც ყოფილა გამოყენებული[4]. დოლმენებში მოპოვებული მასალის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ აქ რამდენიმე სხვადასხვა პერიოდი გამოირჩევა. ქვედა, ძირითადი ფენა მიეკუთვნება ბრინჯაოს კულტურის ადრეულ ხანას; მეორე ფენა წინაყობანური დროისა უნდა იყოს, შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისა[5]. ბ. კუფტინი აქ კიდევ მესამე ფენასაც არჩევს და აღნიშნავს, რომ ეს ფენა კარგად თარიღდება კოლხური მონეტებით[6].

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის საკითხი თუ როგორ ათავსებდნენ მიცვალებულს დოლმენში მოგვიანო ხანაში. რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, საამისოდ სპეციალურად აეხადად სახურავის ქვა. შე-

---

[1] იქვე, გვ. 25, 49; აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ბ. კუფტინის მიხედვით ეს V დოლმენია (იხ. კუფტინი ბ., დასახ. ნაშრ., გვ. 269).

[2] იქვე, გვ. 48, ბ. კუფტინის მიხედვით ეს № 3 დოლმენია (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 272).

[3] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 275. Пиотровский Б. Б. Поселение медного века в Армении, Советская археология, т. XI, М.—Л., 1949, стр. 181.

[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 275.

[5] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 305. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. 1, стр. 270. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 15. Куфтин Б. А. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, стр. 8.

[6] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 15. Куфтин Б. А. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, стр. 12. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ არც მ. ივაშჩენკოს და არც თვით ბ. კუფტინის მიერ გამოქვეყნებულ დოლმენების ინვენტარში მესამე ფენის მასალა არ ჩანს. რა მასალას ეყრდნობა ბ. კუფტინი, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის უცნობია.

საძლოა, მართლაც დოლმენის ერთ-ერთ კედელს საგანგებოდ ამოამტვრევ-დნენ ამ მიზნისათვის[1]. ბ. კუფტინი ამ საკითხის შესახებ აღნიშნავს აგრეთვე, რომ შესაძლოა დოლმენებს უკვე როგორც ოსუარიებს, მეორადი დამარხვი-სათვის იყენებდნენ და ძვლები, ეგებ, დოლმენის წინა კედელში დატანილი ხვრელიდან შეჰქონდათ[2].

დოლმენური ინვენტარის შესახებ, სამწუხაროდ, ყოველთვის ნათელი სუ-რათი არა გვაქვს ხოლმე. ყოველთვის ვერ ხერხდება მთლიანი კომპლექსის დადგენა იმის გამო, რომ, როგორც უკვე აღვნიშნავდით, ეშერის დოლმენუ-რი ჯგუფი უკვე ადრევე ნაჩიჩქნი ჩანდა. მაგრამ ის, რაცა გვაქვს, უთუოდ მეტად საყურადღებოა და თავისებურიც. I დოლმენის ინვენტარის დიდი ნა-წილი მ. ივაშჩენკოს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადასცეს, მხოლოდ მცირე ნაწილი აღმოჩნდა დოლმენის გაწმენდისას[3]. ამ დოლმენის ინვენტარი თავისებურია. იგი თითქმის მთლიანად სამკაულებისაგან შედგება. იარაღი აქ არ აღმოჩენილა. ნივთებიდან აღსანიშნავია თავისებური ფორმის საკინძები, სასა-ფეთქლე რგოლები, სპილენძის მძივები კასრისებრი, ბიკონუსური და სხვ. მოყვანილობის, ღილაკები და სხვ[4].

II დოლმენის ინვენტარი მეტად ღარიბულია. ლითონის ნივთებიდან აქ აღმოჩნდა კავი და დანის პირი. გარდა ამისა აქვე ნაპოვნი იყო რამდენიმე თიხის ჭურჭელი (ტაბ. X, 2). ნივთები. იდო დოლმენის წინა ნაწილში სამხრ. დასავლეთ კუთხეში[5].

ეშერის დოლმენებიდან ყველაზე საყურადღებო მასალა მოგვცა IV დოლ-მენმა. სამარხეული ინვენტარი ძირითადად იდო დოლმენის უკანა კედელთან. აქ ნაპოვნი იყო ორი ვიწრო ყუადაქანებული ცული, სამკაპა კავი, კავი ორ-ნამენტირებული მასრით, სამი ბრტყელი, ფოთლისებრი მოყვანილობის შუბისა თუ სატევრის პირი, კასრისებრი მძივი. გარდა ამისა აქვე აღმოჩნდა რამდე-ნიმე თიხის ჭურჭელი[6] (ტაბ. X, ბ).

---

[1] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе..., стр. 305, его же. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, стр. 12.

[2] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 275.

[3] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 268. Иващенко М. М. დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 268. Иващенко М. М. დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[5] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 275.

[6] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 277. Иващенко М. М. დასახ. ნაშრ., გვ. 29.

V დოლმენში აღმოჩნდა საინტერესო მასალა (მ. ივაშჩენკოს III დოლმენი): მოგრძო ფორმის, მასიური ცული, ორი ფოთლისებრი შუბისა და სატევრის პირი, კასრისებრი მოყვანილობის მძივები, სასაფეთქლე რგოლები, ფრინველისებრი საკიდი და სხვ. თიხის ჭურჭელი კი მეტად დაზიანებული იყო[1].

ეშერის დოლმენებში მოპოვებული ცულები არქაული ტიპისაა. IV დოლმენის ცულები კარგადაა ცნობილი კავკასიის ადრეული ხანის მასალებში. ეს ცულები ახლო დგას საჩხერის ცულებთან. ერთი ამგვარი ცული აღმოჩნდა აფხაზეთში სოფ. ოთხარაში, ალბათ, ერთ-ერთ დოლმენში. ა. ლუკინი აღნიშნავს, რომ ამავე ფორმის ცულები ცნობილია ერთი ქუთაისის მუზეუმიდან, ერთიც ზუგდიდის მუზეუმიდან, სადაც იგი მოხვდა სვანეთიდან[2]. ამ ცულებს რამდენადმე უახლოვდება აგრეთვე ერთი ცული სტანიცა აბაძეხსკაიას დოლმენიდან[3]. ჩრდ. კავკასიაში ცულის ეს ვარიანტი კარგადაა ცნობილი ჩრდილო-ოსეთის ცნობილი სამაროვნებიდან — ფასკაუ, კუმბულთა და სხვ.[4] საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ცულებმა ძალიან ფართო გავრცელება ჰპოვეს. როგორც ჩანს, ეს ფორმა სამხრეთ-მესოპოტამიიდან შემოდის, სადაც იგი უკვე ადრეულ ხანაში ჩნდება[5]. ერთ-ერთი გზა გავრცელებისა, ჩანს, კავკასიაზედაც გადიოდა და ამიტომაცაა, რომ აქ იგი უკვე საკმაოდ ადრეულ ხანაში გვხვდება[6].

რაც შეეხება V დოლმენში აღმოჩენილ ცულს, იგი განსხვავებული ტიპისაა. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ეს ფორმა უფრო ჩრდილოეთისაკენ იწევს.

უთუოდ საინტერესოა დოლმენებში მოპოვებული კავები: ორი კავი აღმოჩნდა IV დოლმენში (ტაბ. X, 1), ერთიც — II დოლმენში (ტაბ. X, 2). რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ეს ნივთი, ახლა ძნელი სათქმელია. ცალ ბოლოზე კავს მასრა აქვს, ალბათ, სახელურისათვის. შესაძლოა მათ ხორცის-

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 269. Иващенко М. М. დასახ. ნაშრ., გვ. 25.

[2] Лукин А. А. Материалы по археологии бзыбской Абхазии. Тр. Отдела истории первобытной культуры. Гос. эрмитаж. т. I, Ленинград, 1941, стр. 25.

[3] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 304. Иващенко М. М. დასახ. ნაშრ., გვ. 45.

[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 279. ლუკინი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

[5] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 284. Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях груз. культуры..., стр. 306.

[6] Городцов В. А. Культьура бронз. эпохи в средн. России, Отчёт Исторического Музея за 1914 г., Москва, 1916, стр. 148. ჯაფარიძე ო. დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XVI —B, თბილისი, 1950, გვ. 115.

ამოსაღებად ხმარობდნენ[1]. ბ. კუფტინი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ფორმით ისინი ახლო დგანან მთაში თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებულ კავებთან[2]. საქართველოში ამ პერიოდის მასალებში სხვა ჩვენთვის უცნობია. უფრო მოგვიანო ხანაში კი ჩვენში გავრცელებული იყო რამდენადმე უფრო განსხვავებული მოყვანილობის კავები. ეშერის დოლმენებში მოპოვებული კავების მსგავსი ცნობილია ჩრდ. კავკასიის ამავე პერიოდის მასალებიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია სტანიცა აბაძეხაკაიას დოლმენში ნაპოვნი ერთი კავი, რომელიც თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორიც II დოლმენის კავი[3].

განსაკუთრებით საყურადღებოა IV დოლმენში აღმოჩენილი სამკაპა კავი (ტაბ. X, ბ). სამკაპა კავი, რამდენადმე განსხვავებული, ცნობილია ნოვოსვობოდნაიას ყორღანიდან, სადაც აგრეთვე უბრალო კავიც აღმოჩნდა. ორკაპა კავი ნაპოვნი იყო სტანიცა პსებაისკაიას ყორღანში[4] და მახოშევსკაიას ყორღანში[5].

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ IV დოლმენში აღმოჩენილ ცალკაპა კავს მასრა შემკული აქვს წნული რელიეფური ორნამენტით (ტაბ. X, 1). შესანიშნავადაა ორნამენტირებული ერთი კავი ბ. კუფტინის მიერ 1937 წ. გათხრილი ერთ-ერთ დოლმენიდან (ტაბ. X, 5). ამავე წესითაა შემკული აფხაზეთის დოლმენების ერთი ცული, რომელიც ბ. კუფტინმა საანალიზოდ გადასცა ლითონის ინსტიტუტს[6]. ეს ცული მას, როგორც ჩანს, უპოვნია 1937 წ. ექსპედიციის დროს[7] (ტაბ X, 4). სამწუხაროდ, ამ ექსპედიციის შედეგები, როგორც აღვნიშნეთ, მას არ გამოუქვეყნებია. ეს ორნამენტი ცულზე იმდენად სრულყოფილადაა შესრულებული, რომ სპეციალისტებს აფიქრებინებს, რომ იგი უკვე „მოდელის დაკარგვის წესითაა“ ჩამოსხმული[8]. უნდა შევნიშნოთ, რომ შემკობის ეს წესი, როგორც ჩანს, უკვე შეინიშნება ამ ადრეულ საფეხურზე. დაახლოებით იმავე წესითაა შემკული ერთი სატევრის

---

[1] Нессен А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, М.—Л., 1935, стр. 83.

[2] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 280.

[3] იქვე, გვ. 282, 304.

[4] იქვე, გვ. 281.

[5] Нессен А. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 83. სურ. 4.

[6] Сакварелидзе Т. Н. Бронзы древней Грузии, Автореферат. Тбилиси, 1954, стр. 7.

[7] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, Табл. II, 3. 5.

[8] Сакварелидзе Т. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 7.

პირის ტარი საჩხერიდან[1], სატევრის პირი სტანიცა კონსტანტინოვსკაიადან[2] და სხვ. მომდევნო საფეხურზე შემკობის ეს წესი კიდევ უფრო დამახასიათებელი ხდება.

აღსანიშნავია დოლმენებში ნაპოვნი ბრტყელი ფოთლისებრი შუბისა თუ სატევრის პირები. როგორც ჩანს, ეს პირები გამოქედილია[3]. მათ ტარის დასაგები ღერო აქვს. ზოგიერთს პირზე აქეთ-იქით არამკვეთრი ღარი დაუყვება სიგრძეზე. ეს ნივთები ახლო ანალოგიას პოულობენ ჩრდილო ოსეთის ცნობილი სამაროვნების ფასკაუ, კუმბულთა და სხვა მასალებში. V დოლმენში ნაპოვნი სამივე პირი ენათესავება სტანიცა ნოვოსვობოდნაიას მახლობლად მრავალწახნაგა დოლმენში ნაპოვნ პირებს[4].

რაც შეეხება უფრო მომცრო ზომის იარაღებს, ისინი, როგორც ამას ბ. კუფტინი აღნიშნავს, შესაძლოა, მართლაც უფრო დანის პირები იყოს[5].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეშერს დოლმენების ქვედა ფენის ნივთები ჩამოსხმულია კარგი ხარისხის ლითონისაგან, რომელშიაც დაახლოებით 5%-მდე დარიშხანი შედიოდა. მაგ., ცულებში. აქ დარიშხანის შემადგენლობა 5%-მდე აღწევს[6], შუბისა თუ სატევრის პირებში კი 4, 4%[7]. უკანასკნელ ხანებში ამ ბრივ ჩატარებულმა მუშაობამ დაგვანახა, რომ ჩვენში მოპოვებული ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი საფეხურის ლითონის ნაწარმი უკვე თვითნაბადი სპილენძისაგან კი არ არის დამზადებული, არამედ ხასიათდება ისეთი სპილენძით. რომელიც 2%-მდე და ზოგჯერ მეტ დარიშხანს შეიცავს[8]. რაც შეეხება სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თითქოს აფხაზეთის ძირა ფენის ლითონის ნივთები 10%-მდე ანთიმონს შეიცავენ, როგორც ახლა ირკვევა, მთლად მართებული არ არის.[9]

უფუოდ აღსანიშნავია, რომ ბ. კუფტინი ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ეშერის ერთ-ერთ დოლმენში 1937 წ. მან სპილენძ-ბრინჯაოს ინ-

---

[1] Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, стр. 72.

[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 72. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. т. I. стр. 284.

[3] Сакварелидзе Т. Н. დასახ. ნაშრ. გვ. 11.

[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 273.

[5] იქვე, გვ. 280.

[6] საყვარელიძე თ. დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[7] იქვე, გვ. 11.

[8] იქვე. გვ. 19.

[9] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 16,

Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры..., стр. 304.
Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. т. I. стр. 314.

ვენტართან ერთად იპოვა კაჟის ერთი ისრის პირიც (ტაბ. X, 3), რომლის ანალოგია ცნობილია ოჩამჩირის ქვედა ფენიდან[1].

დოლმენების ადრეული ფენისა უნდა იყოს II დოლმენში ნაპოვნი მძივები, თიხის მოყვითალო ფერის ცილინდრული ფორმის წვრილი მძივები; აგრეთვე ცისფერი პასტის წვრილი მძივები და სხვ.[2].

ამ პერიოდის დოლმენური კერამიკის შესახებ, სამწუხაროდ, ბევრის არაფრის თქმა შეგვიძლია იმის გამო, რომ იგი ცუდადაა შენახული. ეშერის დოლმენური კერამიკა მეტად ცუდად გამომწვარი იყო და ადვილად იშლებოდა. IV დოლმენში რამდენიმე თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა: პატარა ზომის მოწითალო ფერის კოჭები; აგრეთვე, ფინჯნისმაგვარი მოწითალო პატარა თიხის ჭურჭელი. გარდა ამისა, აქ ნაპოვნი იყო ორი შედარებით დიდი ზომის ჭურჭელი. II დოლმენში ნაპოვნი იყო ოთხი მინიატურული ჭურჭელი[3]. ბ. კუფტინმა დოლმენური კერამიკის შესახებ ვარაუდით გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს პატარა ზომის, მინიატურული თიხის ჭურჭელი უფრო მოზრდილი ჭურჭლის იმიტაციას წარმოადგენდა და განკუთვნილი იყო სპეციალურად მიცვალებულისათვის ჩასატანებლად. შესაძლოა, დასძენს იგი. რომ ეს დაკავშირებული იყო დოლმენებში მეორადი დასაფლავების წესთან[4]. ეს კერამიკა გარკვეულ მსგავსებას პოულობს ჩრდ. კავკასიის დოლმენურ კერამიკასთან[5].

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ჩვენში დოლმენური კულტურის შესახებ სადღეისოდ მეტად ცოტა რამ ვიცით. ახლა თითქოს უკვე გარკვეულად ჩანს, რომ აქ რამდენიმე ფენა გამოირჩევა. მართალია, ეშერის დოლმენების ძირა ფენიდან მცირე მასალა გვაქვს, მაგრამ იმის მიხედვით, რაც ხელთა გვაქვს, თითქოს შესაძლო ხდება იმის აღნიშვნა, რომ დოლმენების აგების დრო ჩვენში ჯერ კიდევ ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს. როგორც ჩანს, მეტალურგია ამ დროს კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის. თუ თრიალეთის ადრინდელი ჯგუფის ყორღანებში ლითონის ნაწარმი ჯერ კიდევ შედარებით შეზღუდულია და ტიპობრივადაც მაინც ზოგი რამ საერთო აქვს წინამორბედ საფეხურთან, დოლმენების ძირა ფენაში ლითონის ნივთები შედარებით უფრო მეტი ჩანს და თანაც უკვე საკმაოდ განვითარებული ფორმის (ცულები, კაევები, სატევრის პირები და სხვ.). მეტალურგიის

[1] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. т. II, стр. 243.
[2] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. I. გვ. 297.
[3] იქვე. გვ. 292.
[4] იქვე, გვ. 295.
[5] იქვე, გვ. 300.

დაწინაურებას უთუოდ ისიც მოწმობს, რომ აქ უკვე ჩამოსხმის საკმაოდ რთული, მოდელის დაკარგვის წესისათვის, მიუღწევიათ.[1] საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნივთების ჩამოსასხმელად გამოყენებული იყო სპილენძი, რომელშიც 5%-მდე დარიშხანი შედიოდა.[2] ჯერ კიდევ გარკვევით ძნელია თქმა დარიშხანი აქ ხელოვნური თუ ბუნებრივი შენაერთია. შესაძლოა, წინასწარ ხდებოდა სპილენძის და დარიშხანის მადნების შერევა. ასეა თუ ისე, ჩანს, რომ უკვე ცოდნიათ დარიშხანიანი სპილენძის თავისებურება. გარკვეული პროცენტი დარიშხანის უთუოდ გავლენას ახდენს სპილენძზე[3].

სათანადო მასალის სიმცირის გამო შესაძლოა მართლაც ცოტა ნაადრევი იყოს რაიმეს გარკვევით თქმა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ წინასწარ მაინც შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დოლმენური კულტურა ადრეულ ბრინჯაოს ხანის უკვე საკმაოდ განვითარებულ საფეხურს და, ეგებ, უფრო მის მიწურულს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამას ერთგვარად ისიც უნდა მოწმობდეს, რომ აქ უკვე საკმაოდ დაწინაურებულია მეტალურგია. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, აფხაზეთის დოლმენების ქვედა ფენის მასალა ბევრ საერთოს პოულობს კავკასიის თანადროულ მასალებთან. კერძოდ, გარკვეული მსგავსება შეინიშნება ჩრდ. კავკასიის დოლმენურ კულტურასთან. ბ. კუფტინის აზრით კავკასიის დოლმენების აგების დრო განისაზღვრება ადრეულიდან შუა ბრინჯაოს სანაზე გარდამავალი ეპოქით, ე. ი. III ათასწლეულის ბოლოთი და II ათასწლეულის დასაწყისით.[4] როგორც უკვე არაერთგზის იყო აღნიშნული, აფხაზეთის დოლმენების ქვედა ფენის მასალა უახლოვდება ნოვოსვობოდნაიას ყორღანს. უკანასკნელ ხანებში ყუბანის დიდი ყორღანების კარგად შემუშავებული ქრონოლოგია მოგვცა ა. იესენმა. მისი აზრით ნოვოსვობოდნაიას ქვეჯგუფი, რომელიც მაიკოპის ქვეჯგუფზე რამდენადმე უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს, შესაძლოა მოვაქციოთ 2100—1700 წწ. ძვ. წ. შორის[5]. ამიტომაც

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 283.

Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 304. Сакварелидзе Т. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[2] Сакварелидзе Т. Н., დასახ. ნაშრ., გვ. 7, 11, 17.

[3] იქვე, გვ. 17.

[4] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе...., стр. 305.

[5] Пессен А. А. К хронологии „больших кубанских курганов", Советская археология, т. XII, М.—Л., 1950, стр. 193.

ეგებ, ესეც ერთგვარად მბარს უჭერდეს ჩვენა მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დოლმენური კულტურა ჩვენში უკვე ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურის უფრო ბოლო პერიოდისა უნდა იყოს და შესაძლოა, მთლად უმართებულო არ იყოს თუ ქრონოლოგიურად მას განვსაზღვრავთ მე-3 ათასწლეულის ბოლოთი და II ათასწლეულის პირველი საუკუნეებით ძვ. წ.

სამწუხაროდ, აფხაზეთის დოლმენები თითქმის არ აძლევიან მასალას იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრების აღდგენისათვის.

არაფრის თქმა არ შეგვიძლია ამ პერიოდის ეკონომიური ცხოვრების შესახებ, არც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ. მხოლოდ საფიქრებელია, რომ თითეული დოლმენი წარმოადგენდა საგვარეულო სამარხს, რომელსაც აგებდა გვარის, ეგებ, უფრო დაწინაურებული ერთეული. რა თქმა უნდა, გვარი, ჩანს, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერ კოლექტივს წარმოადგენს და ალბათ ამ კოლექტივის ერთობლივი შრომის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი ამგვარი რთული სამარხ-ნაგებობის აგება[1].

რა თქმა უნდა, მეტად საყურადღებოა საკითხი ჩვენში დოლმენური ტიპის სამარხების გაჩენის თუ წარმოშობის შესახებ. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, კავკასიაში დოლმენები განსაზღვრულ ტერიტორიაზე ვრცელდება. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დოლმენები ფართოდ იყო გავრცელებული აზიაში, აფრიკასა და ევროპაში. სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთი და ორი მოსაზრებაა გამოთქმული მათი წარმოშობა-გავრცელების შესახებ. ზოგი მათ აფრიკული წარმოშობისად თვლის, საიდანაც უნდა გავრცელებულიყო დოლმენური კულტურა[2]. ზოგი, პირიქით, ფიქრობს, რომ დოლმენები დასავლეთიდან აღმოსავლეთით ვრცელდებიან და სხვ. ეს საკითხი ჯერ კიდევ ღია რჩება. კავკასიის დოლმენებს, მართლაც, ზოგი რამ საერთო აქვს ევროპისა და ხმელთაძუა ზღვის დოლმენებთან[3]. რით უნდა იქნეს ახსნილი ეს მსგავსება, ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია. მაგრამ, ერთი კი ცხადი უნდა იყოს, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ბ. პიოტროვსკი, რომ მოსაზრებას კავკასიაში დოლმენური კულტურის „მიგრაციის" შესახებ თითქოს არავითარი საფუძველი არა აქვს[4]. როგორც ჩრდ. კავკასიის, ისე აფხაზეთის დოლმენებში მოპოვებული ინვენტარი, როგორც ვნახეთ, ბევრ საერთოს პოულობს კავკასიის ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის მასალასთან. დოლ-

---

[1] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. т. I. გვ. 267.

[2] იქვე, გვ. 264.

[3] Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრომი, გვ. 182,

[4] იქვე, გვ. 182.

ვენის, თითქოს სამარაბის ტიპის, კავკასიაში გაჩენის შესახებ ჯერ კიდევ თითქმის ვერაფერს ვიტყვით. რამდენად სწორია მოსაზრება, რომ თითქოს იგი ბეზობელი კულტურების გავლენის შედეგი იყოს, ძნელი სათქმელია[1]. ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია, რომ კავკასიის და, კერძოდ აფხაზეთის, დოლმენში ქვედა ფენის მასალა უთუოდ ასახავს კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურას.

საჩხერე. ბრინჯაოს ხანის მეტად საყურადღებო მასალა აღმოჩენილია ზდ. ყვირილას ზემო წელზე, საჩხერის რაიონში. აქედან უკვე კარგა ხანია ცნობილია მეტად მნიშვნელოვანი მასალა. ჯერ კიდევ 1909 წ. შიგ საჩხერეში შემთხვევით აღმოჩნდა სპილენძის ცული. შემდეგ წელს ეს ადგილი ინახულა ე. თაყაიშვილმა, რომელმაც აქ საცდელი გათხრა ჩაატარა[2]. ყორღანი, სადაც ნივთები აღმოჩნდა, არც თუ ისე დიდი ზომისა იყო, ქვაყრილიანი. აქ ნაპოვნი იყო ცულები, სამაჯურები, სატევრის პირები, ქინძისთავები და სხვ[3]. ე. თაყაიშვილმა თავის დროზე პატარა ცნობა გამოაქვეყნა ამ აღმოჩენის შესახებ. უთუოდ აღსანიშნავია, რომ ე. თაყაიშვილმა იმთავითვე სწორად გაიგო ძეგლის ხასიათი და მართალია ვარაუდით, მაგრამ მაინც გამოთქვა მოსაზრება, რომ საჩხერის ყორღანი წინ უსწრებდა ყობანის კულტურას და იგი სპილენძის ხანას უნდა მიეკუთვნოს[4]. ე. თაყაიშვილს ეს, თუნდაც ვარაუდით, გამოთქმული მოსაზრება იმ დროისათვის, რა თქმა უნდა, მეტად გაბედული იყო იმის გამო, რომ, როგორც ცნობილია, სულ ბოლო დრომდე კავკასიის არქეოლოგიაში ბატონობდა რ. ვირხოვის, ვ. შანტრისა და სხვ. აზრი, თითქოს ჩვენში ლითონის ინდუსტრია მხოლოდ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან იწყება და ბრინჯაოს კულტურის უფრო ადრინდელი საფეხურები აქ თითქმის სრულიად არ ყოფილა განვლილი. ამიტომაც იყო, რომ კარგა ხნის მანძილზე აშკარად ყობანურ კულტურაზე უფრო ადრინდელი ხანის ძეგლებს ათარიღებდნენ გაცი-

---

[1] იქვე, გვ. 182.

[2] Такайшвили Е. С. О Сачхерском кургане Шорапанского уезда, Изв. Кавказского отделения Московского археологического общества, вып. 3, Тбилиси, 1913, стр. 167.

[3] იქვე, გვ. 163.

[4] იქვე, გვ. 171. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ბ. კუფტინი თავის ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში აღნიშნავდა, რომ თითქოს საჩხერის კოლექციას შეცდომით გვიან პერიოდს მიაკუთვნებდნენ (იხ. მისი Археологические раскопки в Триалети, გვ. 14 და მისივე К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, გვ. 7). მხოლოდ ბოლო დროს გამოსულ თავის ერთ ნაშრომში იგი აღნიშნავს, რომ ე. თაყაიშვილი თავის დროზე საჩხერის კომპლექსს წინაყობანურ პერიოდს აკუთვნებდა (იხ. მისი Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, გვ. 64).

ლებით გვიანი დროით[1]. რაღა თქმა უნდა, ე. თაყაიშვილის მიერ ასეთ ვითარებაში ზემოგამოთქმული მოსაზრება უთუოდ ახალი სიტყვა იყო.

1939 წ. საჩხერის რაიონი ინახულა ბ. კუფტინმა და აქ ადგილ „ნაჩერქეზევზე" ათიოდე სამარხი გათხარა[2]. შემდეგ წლებში იგი დროდადრო თავის სამარშრუტო ექსპედიციებს აწყობდა ამ რაიონში ისე, რომ სადღეისოდ ყვირილას ზემო წელზე უკვე ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურის რამდენიმე მეტად საყურადღებო ძეგლია გამოვლენილი. ნაწილი მასალისა ბ. კუფტინმა გამოაქვეყნა კიდეც[3], მაგრამ უკანასკნელ ხანებში მოპოვებული მასალის დამუშავება და გამოცემა, სამწუხაროდ, მას აღარ დასცალდა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ საჩხერის რაიონიდან ადრეული ხანის საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალა დაგროვდა, მაინც აქ გამოვლენილი ძეგლების შესახებ გარკვეული წარმოდგენა ჯერაც არა გვაქვს. საქმე იმაშია, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1910 და 1929 წწ. შემოსული კოლექციები საჩხერიდან არეულია, კომპლექსები, ჩანს, დარღვეულია და ამიტომაც ყოველთვის ვერ ხერხდება ადრეული მასალის გამორჩევა შედარებით უფრო მოგვიანო კომპლექსიდან[4]. ამ მხრივ ბ. კუფტინის მიერ აქ ჩატარებულმა სამუშაოებმა უნდა შეიტანოს გარკვეული წესრიგი. მაგრამ, სამწუსაროდ, მის მიერ გამოქვეყნებული მასალა საჩხერის რაიონიდან ამის დადგენის საშუალებას არ იძლევა იმის გამო, რომ ბ. კუფტინი ცალკეული ძეგლის აღწერა, დახასიათებას კი არ გვაძლევს, არამედ, როგორც საერთოდ სჩვევია ხოლმე, მოცემული აქვს ამ რაიონის ადრეული ხანის ძეგლების საერთო, ზოგადი დახასიათება. იგი ძირითადად განიხილავს აქ მოპოვებულ ცალკეულ ნივთებს და მათი ანალიზის გზითაა გამოტანილი დასკვნები. რა თქმა უნდა, ამგვარი ვითარება ართულებს ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი ხანის ერთ-ერთი ამ მეტად საყურადღებო რაიონის სწორ შესწავლას.

საჩხერის რაიონში სადღეისოდ რამდენიმე ადგილასაა დამოწმებული ლითონის ინდუსტრიის ადრეული ხანის ძეგლები[5]. შიგ საჩხერეში გარდა იმ

---

[1] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 3. Куфтин Б. А. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, стр. 6.

[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 8.

[3] Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция 1945 г.... стр. 65.

[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 64.

Деген Б. Е. Курганы в Кабардинском парке г. Нальчика, МИА, 3, М.—Л., 1941, стр. 254.

[5] Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, стр. 66.

ყორღანისა. რომელიც ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა შეისწავლა, ბ. კუფტინმა 1939 წ. საჩხერის დასავლეთ მხარეში ადგილ „ნაჩერქეზევ"-ზე მიაკვლია ბრინჯაოს ხანის სამაროვანს, სადაც 10 სამარხი გათხარა[1]. 1951 წ. სამარშრუტო ექსპედიციის დროს იგი კვლავ სწავლობს ამ სამაროვანს. ამ წელს აქ ბ. კუფტინმა კიდევ 16 სამარხი გამოავლინა. მიცვალებული, ჩანს, პირდაპირ მიწაში იდო, როგორც ირკვევა, დედაკაცები უპირატესად მარჯვენა გვერდზე იწვნენ თავით დასავლეთით, მამაკაცები კი—მარცხენა გვერდზე თავით აღმოსავლეთით. აღმოჩნდა აგრეთვე ერთი წყვილადი სამარხი მამაკაცისა და ქალისა თავით ჩრდილოეთით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამარხი № 10, სადაც თიხის ჭურჭლის გარდა აღმოჩნდა ორი სპილენძის სატევარი, რამდენიმე პატარა ზომის სამკუთხა ისრის პირები ტარზე დასაგები ღეროთი, მოწითალო ფერის კაჟის შუბის პირი, რომელთანაც აღმოჩნდა კაჟის ანატკეცები. ამის გამო ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ ეს იარაღი სპეციალურად დაამზადეს მიცვალებულის დასაფლავების დროს[2].

ქალის სამარხებში ძირითადად გვხვდება სპირალური საკიდები, ორი ტიპის ქინძისთავები და სხვ[3]. სამწუხაროდ, ბ. კუფტინს არც 1951 წ. ანგარიშში აქვს მოცემული „ნაჩერქეზევის" სამაროვნის სათანადო აღწერილობა. ამიტომაცაა, რომ მთლად გარკვეული წარმოდგენა ამ სამაროვნის ინვენტარის შესახებ ჯერაც არა გვაქვს. როგორც ჩანს, ამ სამაროვანში მოპოვებული ინვენტარი ახლო უნდა იდგეს ე. თაყაიშვილის მიერ საჩხერის ყორღანში აღმოჩენილ მასალასთან.

საჩხერეში ბ. კუფტინმა შეისწავლა ამ პერიოდის კიდევ მეორე ძეგლი ცარცის გორა. აქ ჯერ კიდევ ადრევე, შემთხვევით ნაპოვნი იყო არქაული ფორმის ღეროიანი შუბის პირი[4]. ყრილი, როგორც ჩანს, ხელოვნური უნდა ყოფილიყო, შემდგარი რიყის ქვისაგან დაახლოებით 1,0 მ სიმაღლისა. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ აქ ადრეული ხანის სამაროვანი უნდა იყოს. სამწუხაროდ, მიცვალებულის ძვლები ცუდადაა დაცული და ამიტომაც

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 65. Куфтин Б. А. К вопросу о ранних стадиях, бронзовой культуры на территорий Грузии, стр. 81. სამწუხაროდ, ბ. კუფტინს არაფერი არა აქვს ნათქვამი ამ სამარხების შესახებ. ამიტომაც თითქმის ვერაფერს ვიტყვით დასაფლავების წესის შესახებ, სამარხული კომპლექსების შესახებ და სხვ.

[2] Куфтин Б. А. Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейны рек Лиахви, Проне, Квирилы и Среднего Риони в 1951 году (ხელნაწერი).

[3] Куфтин Б. А. Заря Востока, 1946, 28. IX.

[4] Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция 1954 г. в Юго-Осетию и Имеретию, стр. 67.

ყოველთვის ვერ ხერხდება დასაფლავების წესის დადგენა. როგორც ჩანს, მიცვალებულს პირდაპირ მიწაში ათავსებდნენ, გვერდზე, მოკუნტულად მწოლარეს. სამარხები უმეტესად ყრილის ქვეშ იყო, ზოგჯერ შიგ ყრილში. მხოლოდ ერთ შემთხვევაში სამარხი მოთავსებული იყო ბორცვის საფუძველში სპეციალურად ამოჭრილ სამარხ-ორმოში. ჩანს, რომ ეს ბორცვი საგვარეულო სასაფლაო უნდა ყოფილიყო[1]. საფიქრებელია, რომ აქ ერთი გვარის წევრები გარკვეული დროის მანძილზე ასაფლავებდნენ თავის მიცვალებულებს. ამიტომაცაა, ალბათ, რომ დაახლოებით ერთი დროის სამარხები აქ სხვადასხვა დონეზეა აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ნივთები აქ პირდაპირ ყრილში აღმოჩნდა. მაგ., ხელსაფქვავი, ლითონის იარაღი და სამკაული და სხვ. როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავს, აქ თითქოს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ნივთები ახალი სამარხების გაჭრისას იყოს ამოყრილი, ან კიდევ შეწირული და პირდაპირ უწესრიგოდ ჩადებული[2].

სამწუხაროდ, ამ მეტად საყურადღებო სამაროვანის ხნოვანების შესახებ ჯერ გარკვევით ვერაფერს ვიტყვით. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ცარცის გორაზე აღმოჩენილი სამაროვანი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანისა უნდა იყოს[3]. აქაც უყოყმანოდ მის სიტყვას უნდა ვენდოთ იმის გამო, რომ ამ შემთხვევაშიც მას სრულიად არა აქვს მოცემული ცალკეული სამარხეული კომპლექსები და იგი ჩვეულებისამებრ, კმაყოფილდება მხოლოდ ზოგიერთი ცალკეული ნივთების განხილვით. ამიტომაც ძნელდება ამ სამაროვანზე რაიმე ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენა.

ცარცის გორაზე აღმოჩნდა რამდენიმე უუამილიანი ცული[4]. აღსანიშნავია ერთი შედარებით არქაული ფორმის ცული, რომელიც აღმოჩნდა ოთხწახნაგა ნოკლე სადგისთან და ფოთლისებრი, გრძელღეროიან დანის პირთან ერთად[5]. ამდაგვარი სხვა სამარხებიც იქნა ნაპოვნი. სამარხებში იდო აგრეთვე ბრტყელი და თხელი სატევრის პირები ცივად ჭედვის შედეგად მიღებული[6]. განსაკუთრებით საყურადღებოა აქ ნაპოვნი ერთი სატევრის პირი, რომელსაც სპილენძისავე სახელური აქვს რელიეფური ორნამენტით შემკული[7].

---

[1] იქვე, გვ. 70.
[2] იქვე, გვ 70.
[3] იქვე, გვ 70.
[4] იქვე, გვ. 71. ტაბ. LVII.
[5] იქვე, გვ. 71, ტაბ. LVII.
[6] იქვე, გვ. 72.
[7] იქვე, გვ. 72, ტაბ. LX,1.

უთუოდ საინტერესოა აქ აღმოჩენილი არქაული ფორმის ორი იარაღი: ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემთხვევით ნაპოვნი ღეროიანი შუბის პირი[1] (ტაბ. XI, 5) და მეორე კი ოთხწახნაგა ხიშტისმაგვარი იარაღი[2] (ტაბ. XII, 3). ორივე ეს ნივთი ახლო ანალოგიას პოულობს წინააზიურ მასალებში. გარდა ამისა აქ ნაპოვნი იყო სპირალური სამაჯურები, ქინძისთავი, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მრგვალი, 1,5 ხვიის სასაფეთქლე საკიდები. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნი იყო სავსებით ამგვარივე ოქროს საკიდი[3]. საყურადღებოა აგრეთვე ქვის ნივთები: ქვის რბილი ჯიშის სამაჯურის ფრაგმენტები[4] და ერთი ნატეხი გახვრეტილი ქვის ცულისა. ეს უკანასკნელი იმითაცაა საინტერესო, რომ ამიერკავკასიაში, წინა აზიის მსგავსად, გახვრეტილი ქვის ცულები შედარებით იშვიათია, ვიდრე, ვთქვათ, ჩრდ. კავკასიაში[5]. მეტად საყურადღებოა ცარცის გორაზე აღმოჩენილი კერამიკა. ახლა უკვე შეიძლება გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ პერიოდის საჩხერულ კერამიკაზე. იგი ძირითადად შავი ფერისაა, ვარდისფერი სარჩულით, უახლოვდება თრიალეთის ადრეულ ბრინჯაოს ხანის ჭურჭელს და აშკარად ენათესავება ენეოლითურ კერამიკას[6]. იგი მართლაც დიდ მსგავსებას იჩენს წინა ხანის კერამიკასთან და ამდენად ამ ძეგლების თარიღის დადგენის საქმეში იგი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორთაგანია.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, შიგ საჩხერეში სადღეისოდ მიკვლეულია ადრეული ხანის სამი ძეგლი: ერთი ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილის მიერ შესწავლილი ყორღანი, ,,ნაჩერქეზევი'' და ცარცის გორა. საჩხერის მახლობლად უკანასკნელ ხანებში კიდევ აღმოჩნდა ამ პერიოდის მეტად საყურადღებო ძეგლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ქორეთში ნაპოვნი მასალები. ბ. კუფტინმა აქ ერთი ყორღანი გათხარა. ყორღანის ცენტრალურ ნაწილს გარს უვლიდა ნაგლეჯი ქვებისაგან ნაგები კედელი. ამ კედლის ხნოვანება კარგად ირკვევა მის საფუძველთან ყრილის ქვეშ ნაპოვნი ნივთებით. აქ აღმოჩენილი იყო ადრეული ბრინჯაოს ხანის ინვენტარი — ყუამილიანი ცული, საკიდი, გრძელყულფიანი ქინძისთავი და სხვ.[7] როგორც ჩანს, 1945 წლის სა-

---

[1] იქვე. გვ. 67, ტაბ. LIX,1
[2] იქვე. გვ. 74, ტაბ. LX.2.
[3] იქვე, გვ. 79, ტაბ. LXV.
[4] იქვე, გვ. 78.
[5] იქვე, გვ. 71, ტაბ. LV.
[6] იქვე, გვ. 76.
[7] იქვე, გვ. 79.

მარშრუტო ექსპედიციის დროს ბ. კუფტინს ამ ძეგლის გათხრა არ დაუსრულებია. შესაძლოა ეს სამუშაო შემდეგი წლების ექსპედიციების დროს დაასრულა. სამწუხაროდ, ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ახლახან მეტად საინტერესო კოლექცია შემოვიდა სოფ. ქორეთიდან[1]. აქ მიწის სამუშაოების დროს სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა სხვადასხვა ნივთები. ეს ადგილი ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ყორღანიდან დაახლოებით ნახევარი კილომეტრითაა დაცილებული. ეს ყორღანიც დაახლ. 1,70 მ. სიმაღლისა და 20-მდე დიამეტრისაა. როგორც ჩანს, აქ სამარხი აღმოჩნდა. ნივთები განლაგებული იყო დაახლოებით 2 მ-ზე. ნაპოვნი იყო ყუადაქანებული ცული, ბრტყელღეროიანი სატევრის პირი, ორი T-ბრი გრძელი ქინძისთავი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ნაპოვნი სპილენძისტარიანი სატევრის პირი, რომლის ტარიც შემკულია შესანიშნავად შესრულებული წნული ორნამენტით, ვადასთან კი — სპირალურით. აქვე აღმოჩნდა რამდენიმე ფრაგმენტი თიხის ჭურჭლისა, შავი ფერის, ვარდისფერი სარჩულით. ეს ჭურჭელი სავსებით ისეთივეა, როგორც საჩხერული კერამიკა.

როგორც ჩანს, ამავე პერიოდისა უნდა იყოს ბორცვი სოფ. ბეინეეიდან. აქ ჩატარებული მცირე სამუშაოების შედეგად 1945 და 1951 წწ. მნიშვნელოვანი არაფერი აღმოჩენილა[2].

ამრიგად, საჩხერის რაიონში დღესდღეობით უკვე რამდენიმე ადგილასაა დამოწმებული ადრეული ბრონზის ხანის ძეგლები. უთუოდ საყურადღებოა, რომ ეს ძეგლები თავისი ინვენტარით მეტად ახლოს დგას ერთმანეთთან და თითქოს ამკარა უნდა იყოს, რომ ისინი დაახლ. ერთი დროისანი არიან. საფიქრებელია, რომ აქ ერთ საწარმოო რაიონთან უნდა გვქონდეს საქმე. ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ჩანს, რომ მეტალურგია აქ უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარა. ამის ერთ-ერთი მოწმობა უთუოდ ისიცაა, რომ ჩვენში სადღეისოდ ცნობილ ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებში ლითონის ნაწარმი ასე ჭარბად არსად არ არის წარმოდგენილი. გარდა შედარებით სიუხვისა, აქ მოპოვებული ლითონის იარაღ-საჭურველი თუ სამკაული გამოირჩევა აგრეთვე თავისი მრავალფეროვნებით.

---

[1] აღმოჩენის ადგილი ინახულა საქ. მუზ. არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომელმა დ. ქორიძემ. მანვე მოგვაწოდა ცნობები ამ ძეგლის შესახებ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 67. Куфтин Б. А. Результаты, работ маршрутной археол. экспед. в бассейны рек Лиахви, Ирпе, Кварили и Сред. Гиори в 1951 г.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სამაროვნებზე აღმოჩენილი ცულები (ტაბ. XII, 2). აქ გვხვდება ძირითადად არქაული ფორმის ყუამილიანი—ყუადაქანებული ცულები. ამ ცულებში რამდენიმე ვარიანტი გამოირჩევა. გვხვდება ცულები ნამგლისებური მოყვანილობის პირით და შედარებით მოგრძო მილით. როგორც ჩანს, ეს ცულები უფრო სარიტუალო ხასიათისა უნდა ყოფილიყო[1]. ერთი სავსებით ასეთივე ცული ინახება ქუთაისის მუზეუმში (№ 220ა). ცნობილია აგრეთვე მოგრძო და ვიწროტანიანი ყუამილიანი ცულები. აქვე ნაპოვნი იყო სწორშუბლიანი ჩვეულებრივი ზომის ყუამილიანი ცულები. გარდა ამისა, საჩხერულ ცულებში გვხვდება ყუადაქანებული ცულები[2]. უნდა აღინიშნოს, რომ ყუადაქანებული-ყუამილიანი ცულები კავკასიაში და, კერძოდ კი საქართველოში, კარგადაა ცნობილი. ჩვენში ეს ტიპი, ჩანს, გავრცელებული იყო ბრინჯაოს კულტურის ადრეულ და შუა საფეხურზე. ყუამილიანი ცულები საქართველოში აღმოჩენილია სვანეთში, ივანწმინდაში, ერთი ცული ინახება ქუთაისის მუზეუმშიც და ერთიც ცაგერის მუზეუმში. ერთი ცალი ცნობილია, შემთხვევით ნაპოვნი, ჭიათურაში[3]. გ. გობეჯიშვილმა ამ ტიპის ცულები აღმოაჩინა ზემო რაჭაში ბრილის სამაროვანზე, სადაც ისინი ნაპოვნი იყო შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში.[4] საჩხერულ ყუამილიან ცულებთან ძალიან ახლოსა დგას ერთი ცული ყარსის მხარიდან და აგრეთვე სამხრეთში აღმოჩენილი ორი ცული — ერთი ე. ლალაიანცის მიერ ნაპოვნი სევანის ტბასთან და მეორე კი — ლენინაკანიდან[5]. ერთი ამგვარი ცული ცნობილია ყოფილ სურმალინის მხარიდან[6].

ყუამილიანი ცულები კარგადაა ცნობილი აგრეთვე ჩრდ. კავკასიაში. როგორც ჩანს, აქ, ამ ტიპის ცულები ძირითადად გავრცელებული იყო შუა

---

[1] Куфтин Б. А. Археолог. маршрутн. экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, გვ. 71.

[2] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 15.

[3] Джапаридзе О. М. Краткий отчёт об археологических разведках в Грузии в 1948 г., КСИИМК, вып. XXXIX, Москва, 1951, გვ. 92.

[4] გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 58.

[5] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 15, სურ. 14,1.

Пиотровский Б. დასახ. ნაშრ., გვ. 182. Лалаян Е. Раскопки курганов Советской Армении, Ереван, 1935, рис. 135.

Байбуртян Е. Орудия труда в древн. Армении, Вестн. Инст. истор. и литер., Ар. ССР, Ереван, 1938, кн. I, стр. 22, рис. III, II2.

[6] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинск. культ. на Кавказе по данным археологии, табл. II,5.

ბრინჯაოს ხანაში. უფრო ადრეულ ხანაში აქ ცნობილია არქაული ფორმა, და ყუამილიანი ცული თითქოს ჯერ კიდევ არ ჩანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩრდილო ოსეთში „ფასკაუს" სამაროვანზე მოპოვებული რამდენიმე ვარიანტის ყუამილიანი-ყუადაქანებული ცულები. ზოგი მათგანი ძალიან ახლო დგას საჩხერულ ცულთან[1].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის ცულმა საერთოდ ფართო გავრცელება მიიღო[2]. ადრეული ფორმები ამ ცულებისა ცნობილია წინა აზიაში, მესოპოტამიაში, ელმში უკვე IV—III ათასწლეულის მიჯნაზე[3]. მესოპოტამიაში, კერძოდ ურში ვულეიმ რამდენიმე ყუამილიანი ცული აღმოაჩინა ადრეული ხანის სამარხებში[4]. ამ ტიპის ცულები აქ ხშირად გვხვდება ხოლმე აგრეთვე ადრეული ხანის გამოსახულებებზე. მაგ., ცნობილი „ძერათა სტელაზე" და სხვ[5]. ცულის სუმერული ფორმები ცნობილია ლურისტანშიც[6].

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ცულის სხვადასხვა ვარიანტები დამახასიათებელია აღმოსავლეთ ევროპისათვის[7]. აქ იგი ცნობილია ფატიანოვის, სეიმინო-ტურბინის და სხვ. კულტურებში[8]. გავრცელებული იყო ამ ტიპის ცულები დუნაის ქვეყნებში[9]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცულების ეს ვარიანტი სადღეისოდ სრულიად უცნობი ჩანს მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე[10]. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ძი-

---

[1] Крупнов Е. И. Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА, № 23, М—Л., 1951, стр. 38. МАК, VIII, табл. СХУ.

[2] Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, стр. 288, т. I.

[3] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе..., стр. 237.

Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция 1945 г....., стр. 71,

Городцов В. А. Культура бронзовой эпохи в Средней России. Отчет Историч. музея 1914 г. Москва, 1916, стр. 149,

Пиотровский Б. Б. დასახ. ნაშრ., გვ. 182.

[4] Woollev C. Ur Excavations.

[5] Godard A. Les Bronzes du Luristan, Paris, 1931, გვ. 46.

[6] Godard A. დასახ. ნაშრ., გვ. 46.

[7] Tallgren A. Die Kupfer—und Bronzezeit in Nord—und Ostrussland; გვ. 56.

[8] Городцов В. А. დასახ, ნაშრ., გვ. 145, 197.

[9] იქვე, გვ. 148.

Куфтин Б. А. К вопросу о древн. корнях груз. культуры на Кавказе..., стр. 299.

[10] Городцов В. А. დასახ. ნაშრ., გვ. 148.

Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 299.

რითადი გზა ამ ცულების გავრცელებისა კავკასიაზე მიდიოდა[1]. როგორც ჩანს, ეს მოსაზრება მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს და, ალბათ, ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ კავკასიაში და, კერძოდ, კი საქართველოში ცულების ეს ტიპი უკვე საკმაოდ ადრეული ხანიდან ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენში იგი ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე უკვე რამდენიმე ვარიანტითაა წარმოდგენილი. უთუოდ საყურადღებოა, რომ აქ ეს ცულები, რომლებიც უდავოდ გენეტიკურად ძველ შუმერულ ფორმებს უკავშირდებიან, უკვე ერთგვარად თავისებურ ელფერს იღებენ, რაც, ალბათ, მათი შემდგომი განვითარების შედეგი უნდა იყოს[2] და თითქოს უკვე წარმოგვიდგება, როგორც კავკასიური ვარიანტი ამ ტიპის ცულებისა. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალებით თითქოს უნდა ჩანდეს, რომ ცულის ეს ვარიანტი ჩრდილო კავკასიაში რამდენადმე უფრო გვიან გვხვდება[3]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ—ახლა თითქოს შეინიშნება, რომ ზოგიერთი წინააზიური ფორმები, ჩრდილო კავკასიაში რამდენადმე უფრო მოგვიანო ხანაში ჩანს, ვიდრე ამიერკავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოში. ზემოაღნიშნულ ცულებს გარდა, მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შუმერული ტიპის სასაფეთქლე რგოლები, რომლებიც საქართველოში შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში გვხვდებიან[4]. ჩრდილო კავკასიაში კი ისინი ცნობილია გვიანი ბრინჯაოს ხანაში კაიაკენტ-ხარაჩოევის კულტურაში[5]. ეს თითქოს გასაგებიც უნდა იყოს იმის გამო, რომ ეს ფორმები აქ ამიერკავკასიის გზით უნდა შესულიყო და ჩანს, რომ ზოგი მათგანი ჩრდილოეთით მაინც შედარებით უფრო გვიან გვხვდება.

რაც შეეხება საჩხერის სამაროვნებში მოპოვებულ ვიწრო ყუადაქანებულ ცულებს, ისინიც წინაზიური წარმოშობის უნდა იყოს. ეს ტიპი ფართო გავრცელებას პოულობს კავკასიაში[6]. მათ ვხვდებით აფხაზეთის დოლმენებში[7],

---

[1] Городцов В. А. დასახ. ნაშრ., გვ. 148.

[2] Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция 1945 г....., стр. 71.

[3] Городцов В. А. დასახ. ნაშრ., გვ. 149.

[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 34,

Джапаридзе О. М. Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, печатается КСИИМК, вып. 60,

გობეჯიშვილი გ. სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი, II, თბილისი, 1951, გვ. 267.

[5] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 33,

Круглов А. П. Предскифские памятники северо—восточного Кавказа, Учёные записки ЛГУ, секция исторических наук, вып. 13, Ленинград, 1943 стр. 120.

[6] Нессен А. А. დასახ. ნაშრ., გვ. 95.

[7] Куфтин Б. А. Материалы к археологии колхиды, т. I, стр. 269, табл. V,

Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе...; табл. II.

ჩრდილო ოსეთში „ფასკაუს[1]“ სამაროვანზე, პრიეოლნოეს განძიდან[2]. ერთი ამგვარი ცული ცნობილია ყობანიდან, რომელიც დღეს ვენის მუზეუმშია დაცული[3]. ფ. ჰანჩარი, რომელმაც ვენის მუზეუმში დაცული ყობანის ცულები გამოაქვეყნა, ამ ტიპს რატომღაც ყობანურ ცულად მიიჩნევს და თავისი ტიპოლოგიის მესამე ტიპში აერთიანებს[4].

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი ბრტყელი ცული, აღმოჩენილი საჩხერეში 1929 წ.[5] (ტაბ XIII, 1). ცულის ზედა ნაწილი შედარებით ვიწროა და პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება. ამიერკავკასიაში ამგვარი ცული, საჩხერულის გარდა, სადღეისოდ სრულიად უცნობია[6]. საერთოდ კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ტიპის ცულმა ფართო გავრცელება მიიღო[7]. ჩრდილო კავკასიაში ეს ბრტყელი ცული კარგადაა ცნობილი იესენისეული მეორე ეტაპის დროს, თუმცა მათ უფრო ადრეცა ვხვდებით აქ[8].

უთუოდ საყურადღებოა ცარცის გორაზე მოპოვებული ერთი შუბის მაგვარი იარაღი[9] (ტაბ. XI,5). მას ტარის დასაგებად, ნაცვლად მასრისა, მოგრძო ყუნწი აქვს. ამ ტიპის იარაღი ჩვენში სადღეისოდ სულ რამდენიმე ცალია ცნობილი. ერთი ამგვარი იარაღი, რომელიც დღეს ხანლარის მუზეუმშია დაცული, 1928 წ. აღმოჩნდა ზაჰესში მეტად არქაული ფორმის ცულთან ერთად (ტაბ. XIV,8)[10]. ამ ტიპის იარაღი ნაპოვნია ბაგინეთში ანტიკური ხანის ფენის ქვეშ[11]. გარდა ამისა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ერთი შუბისმაგვარი იარაღი, რომლის აღმოჩენის ადგილი, სამწუხაროდ, უც-

---

[1] Крупнов Е. И. დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[2] Иессен А. А. დასახ. ნაშრ., გვ. 96, ნახ. 5, I.

[3] Hancar F. Die Beile aus Koban in Wiener Sammlung kaukasischer Altertümer, Wiener Prahistorische Zeitschrift. XXI, Wien. 1934, გვ. 34.

Крупнов Е. И. დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[4] Hancar F. დასახ. ნაშრ., გვ. 12 და 38.

ჯაფარიძე ო. კოლხური ცული, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XVI—B, 1950, გვ. 40.

[5] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, გვ. 15, სურ. 10.

[6] Джапаридзе О. М. Бронзовые топоры Западной Грузии, Советская археология, XVIII, Москва, 1953, стр. 292, рис. 4.

[7] Tallgren A. M. La Pontide prescythigue. ESA, II, Helsinki, 1926. გვ. 174.

[8] Иессен А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, М.—Л., 1935. стр. 95 и 83.

[9] Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция 1945 г..., стр. 72, табл. LIX.

[10] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 10, рис. 7, а.

[11] აფაქიძე ა. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინეთის რაზმის ანგარიში 1946 წ.

ნობია[1] (ტაბ. XIV,6). მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება ამ ტიპის იარაღი, რომელიც, როგორც კატალოგიდან ირკვევა, თბილისში ყოფილა შეძენილი[2] (ტაბ. X, 7). საფიქრებელია, რომ ეს იარაღი, ეგებ, მართლაც საქართველოს ტერიტორიაზეა (ან ამიერკავკასიის) ნაპოვნი, მითუმეტეს, რომ ტიპობრივად ისინი ახლო დგანან ჩვენში ნაპოვნ ამგვარსავე იარაღთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში გავრცელებულია ამ იარაღის ორი ვარიანტი — ერთს ღერო მოკაული აქვს, მეორეს კი სწორი. ზაჰესის, თბილისის, ბაგინეთისა და მოსკოვის მუზეუმების ცალები ბოლომოკაუმებულია, ცარცის გორასი კი სწორი.

შუბისმაგვარი იარაღი სადღეისოდ ცნობილია აგრეთვე ჩრდილო კავკასიიდანაც. აქ მათ ვხვდებით იესენისეულ 1 ეტაპზე. კერძოდ, ამ ტიპის იარაღი ცნობილია ნოვოსვობოდნაიას ყორღანიდან, ვოზდვიჟენსკოედან და სხვ.[3] ეს იარაღი აქ, ალბათ, ისევ ამიერკავკასიის გზით მოხვდა.

ამ ტიპის შუბისმაგვარი იარაღი საერთოდ კარგადაა ცნობილი წინა აზიაში. არქაული ფორმები ამ იარაღისა ნაპოვნია ურში[4]. ამგვარი იარაღი აღმოჩენილია ტეპე-ჰისარში[5]; რამდენიმე ცალი ცნობილია ტიურანგ-ტეპეს სამარხებიდან[6]. ამ ფორმის, ოღონდ რამდენადმე მაინც განსხვავებული, იარაღი ცნობილია კუნძულ კიპრიდან[7], თუმც ერთი აქ მოპოვებული ამგვარი იარაღი თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორც ჩვენი ზაჰესური ეგზემპლარი[8]. აღმოჩენილია აგრეთვე ამ ტიპის შუბისმაგვარი იარაღი დუნაის მხრიდან[9]. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენში აღმოჩენილი ეს შუბისმაგვარი იარაღი განსაკუთრებით უახლოვდება ადრეულ შუმერულ ფორმებს[10]. აქ ეს იარაღი,

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 11. Иессен А. А. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[3] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 12.

[4] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе...; стр. 299.

[5] Schmidt E. E. Tepe Hissar excavations 1931, XXIII, № 4, Philadelphia, 1933, გვ. 399, ტაბ. CXVI.

[6] Wulsin R. F. Excavations at Turang Tepe, near Asterabad, Supplement to the Bulletin of te American Institute for Persian art archaeology, vol 2, № 1, 1932, გვ, 12, ტაბ, XX.

Pope A. A survey of Persian Art, v. I, London—New—York, 1938, გვ. 166, ტაბ. 24.

[7] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 229.

[8] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 11.

[9] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе..., стр. 299.

[10] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 299.

Куфтин Б. А. Археологич. маршр. экспедиция 1945 года..., стр. 74.

ჩანს, უკვე IV ათასწლეულის მიწურულიდან მოკიდებული.[1] საფიქრებელია, იარაღის ეს ტიპი წინააზიურ სხვა ფორმებთან ერთად, საკმაოდ ადრეულ პერიოდიდან შემოდის ჩვენში, ყოველ შემთხვევაში, III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იგი უკვე ჩანს აქ.

უთუოდ მეტად საყურადღებოა ცარცის გორაზე მოპოვებული ოთხწახნაგა ხიშტი[2] (ტაბ. XII, 3). ამ ტიპის იარაღი საერთოდ იშვიათია. ეს ფორმაც წინააზიურია და ცნობილია საკმაოდ ადრეული პერიოდიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წინა აზიაში ცნობილ ამ ტიპის იარაღთაგან ორზე აღმოჩნდა აკადური ეპოქის მეფეთა სახელები: ერთი ხიშტი აღმოჩნდა ასურში, რომელზედაც მოცემულია სარგონ აკადელის შვილის სახელი—მანიშტუსუ, რომელიც ცხოვრობდა XXVსაუკ. ძვ. წ. მეორე ხიშტზე ეკითხულობთ ელამის მმართველის პუზურ შუშინაკის სახელს, რომელიც ცხოვრობდა XXII საუკ. ძვ. წ. ამრიგად ჩანს, რომ წინა აზიაში იარაღის ეს ფორმა, ყოველ შემთხვევაში, მესამე ათასწლეულის შუა ხანებიდან უკვე გავრცელებული იყო. ჩვენში ამ ტიპის იარაღი სადღეისოდ მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი[3]. როგორც ჩანს, იგი აქ შემოდის წინა აზიიდან, ალბათ, III ათასწლეულის მეორე ნახევარში[4]. რა თქმა უნდა, ამ იარაღის აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ იგი დახმარებას გვიწევს საჩხერის სამაროვანის დათარიღების საქმეში, ეს კი თავის მხრივ უთუოდ გარკვეულ როლს ასრულებს ჩვენში ადრეული ბრინჯაოს კულტურის ხნოვანების დადგენაში.

საჩხერის სამაროვნებზე ნაპოვნი სატევრის პირები ჯერ კიდევ მეტად პრიმიტიულია (ტაბ. XII, 1). ისინი ბრტყელია, სამკუთხა მოყვანილობის, ტარის დასაგები ღეროთი. შუა ქედი მათ ჯერ თითქმის სრულიად არ ეტყობა.[5] ეს სატევრის პირები ცივად ჭედვის წესითაა მიღებული[6]. ამგვარი სატევრის პირები საერთოდ დამახასიათებელია კავკასიის ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ აღმოჩენილი ორი ლითონისტარიანი სატევრის პირი. ერთი ნაპოვნი იყო ცარცის გორაზე ერთ-ერთ სამარხში,[7]

---

[1] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 12.

[2] Куфтин Б. А. Археологич. маршрутная экспедиц. 1945 г..., стр. 74.

[3] Куфтин Б. А. Древнейшие корни грузинской культуры на Кавказе, Заря Востока, 1946 г. 28 сентября.

[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[5] იქვე, გვ. 75. საყვარელიძე თ. დასახ. ნაშრ. გვ. 11.

[6] იქვე. გვ. 13. Пессен А. А. დასახ. ნაშრ., გვ. 90. Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 71.

[7] იქვე, გვ. 72.

მეორე კი ახლახან აღმოჩნდა ქორეთში. პირი ამ სატევრებისა აგრეთვე გამოქედილია. ქორეთის ცალს პირზე სიგრძივ ოთხი არამკვეთრი ღარი გაუყვება. პირი ჩასმულია ლითონის სახელურში. ორივე სატევრის სახელური შემკულია წნული რელიეფური ორნამენტით. ქორეთის სატევარს ვადასთან სპირალური ორნამენტი ამკობს. ეს სახელურები უთუოდ მოდელის დაკარგვის წესითაა ჩამოსხმული. ამრიგად, ამ სატევრებს, ჩანს, პირი ნაქედი აქვს, სახელური კი ჩამოსხმული[1]. ჩამოსხმის ეს წესი, როგორც ჩანს, ჩვენში უკვე ადრეული ბრინჯაოს ხანიდან შეინიშნება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამავე წესითაა ნაკეთები მასრაშემკული კავი და ერთი ცული აფხაზეთის დოლმენებიდან. მსგავსი სატევარი, შემკული ტარით, ცნობილია ჩრდ. კავკასიიდან, სტანიცა კონსტანტინოვსკაიადან.[2] ქორეთის სატევრის პირი ტარის მოყვანილობით უახლოვდება ერთ სატევრის პირს ნოვოსვობოდნაიას მეორე დოლმენიდან.[3] უსათუოდ საყურადღებოა, რომ ეს ტრადიცია ჩვენში შემდეგაც ჩანს. აქ აღმოჩენილია გვიანი ბრინჯაოს ხანის რამდენიმე ბრინჯაოსტარიანი სატევარი, რომლებსაც ტარი აგრეთვე შემკული აქვს წნული ორნამენტით[4].

გარდა იარაღისა, საჩხერის სამაროვნებზე აღმოჩნდა აგრეთვე ლითონის სამკაულიც. ამათგან უთუოდ პირველ რიგში აღსანიშნავია ქინძისთავები. საჩხერის ადრეული ხანის ქინძისთავებიდან ძირითადად ორი ტიპი გამოირჩევა: დიდი ზომის ქინძისთავები, ე. წ. T—მაგვარი თავით (ტაბ. XIV, 4) და აგრეთვე მოზრდილი ქინძისთავები მარყუჟისებრი თავით[5] (ტაბ. XIV, 1,2). ქინძისთავები T-მაგვარი თავით ჩვენში სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ საჩხერის რაიონიდან. რამდენიმე ცალი ნაპოვნი იყო საჩხერის სამაროვნებზე და ერთი აღმოჩნდა ქორეთში ახლახან ნაპოვნ მასალაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საჩხერეში ადრეული ბრინჯაოს ხანის სამარხში ნაპოვნი ერთი მოზრდილი T-მაგვარი ქინძისთავი, რომელსაც თავის შუა ნაწილზე ხარის რქისებრი შვერილი აქვს

---

[1] იქვე, გვ. 72. საყვარელიძე თ. დასახ. ნაშრ., გვ. 13.

[2] Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 72.

Tallgren A M. Zu der nordkaukasische frühen Bronzezeit, ESA, VI, Helsinki 1931, სურ. 50.

[3] Tallgren A. M. Sur les monuments megalithigues du Caucase Occidental, ESA, IX, Helsinki, 1934. გვ. 20, სურ. 23.

Tallgren A. M. La Pontide prescythigue, ESA, II, Helsinki, 1926, სურ. 24. 55.

[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 72.

ქორიძე დ. გვიან ბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი თბილისიდან, საქ. მუზ. მოამბე, XVII-B, თბილისი, 1953, გვ. 44.

[5] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 14.

(ტაბ. XI, 1, ტაბ. XIV, 3). ბ. კუფტინი სავსებით მართებულად ფიქრობს, რომ აქ პირობითაა გამოსახული ორთვალა ეტლი, შიგ შებმული ხარით.[1]

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის ქინძისთავი ჩვენში შემდეგ ხანებში უკვე სრულიად არ ჩანს. სამაგიეროდ, ჩრდილო კავკასიაში, სადაც იგი საფიქრებელია ამიერკავკასიიდან შედის, ეს ვარიანტი გავრცელებას პოულობს ივსენისეულ II ეტაპის დროს[2]. აქ ზოგჯერ ამ ტიპის შესანიშნავად ორნამენტირებული ცალები გვხვდება[3]. იმის გამო, რომ T-მაგვარი ქინძისთავები უპირატესად დიდი ზომისაა, მათი დანიშნულების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება იყო გამოთქმული. ყველაზე მართებული, ვფიქრობთ, ის უნდა იყოს, რომ ამ ქინძისთავებს უხეში შალის ტანსაცმლის შესაბნევად იყენებდნენ[4]. ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ შესაძლოა მათ ტანსაცმლის შესაბნევად ბეჭების გასწვრივ ხმარობდნენ[5]. ეთნოგრაფიული მონაცემებით ეს მოსაზრება უსაფუძვლო არ უნდა იყოს[6].

კავკასიის გარეთ საჩხერული ტიპის T-მაგვარი ქინძისთავები განსაკუთრებით უახლოვდება იტალიაში რემედელოს ენეოლითური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილ ერთ ვერცხლის ქინძისთავს[7].

მეორე ტიპის საჩხერული ქინძისთავები მარყუჟისებრი თავით ზოგჯერ მეტად დიდი ზომისაა. საფიქრებელია, რომ ესეც იგივე დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, რაც T-მაგვარი. საჩხერის სამაროვნების გარდა, ეს ქინძისთავები ნაპოვნი იყო აგრეთვე ქორეთის ყორღანში.[8] ჩვენში საჩხერის გარდა ამ ტიპის ქინძისთავი სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ ერთადერთი ცალი, შედარებით პატარა ზომის, აღმოჩენილი ნაღინის სამაროვნის ერთ-ერთ სამარხ-

---

[1] Куфтин Б. А. Результаты работ маршрутной археологич. экспед. в бассейны рек Лиахви, Проне, Кирилы и Сред. Риони в 1951 году.

[2] Деген Б. Е. დასახ. ნაშრ., გვ. 249.

Крупнов Е. И. Древнейший период истории Кабарды, стр. 60.

[3] Деген. Б. Е. დასახ. ნაშრ., გვ. 253.

[4] Крупнов Е. И. Материалы по археологии Сев. Осетии докобанского периода, стр. 56.

[5] Куфтин Б. А. Древнейшие корни груз. культуры на Кавказе, „Заря Востока" 23 сентября, 1946 г.

[6] Крупнов Е. И. დასახ. ნაშრ., გვ. 56.

[7] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 14. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 290. Куфтин Б. А. Археологическая Маршрутная экспедиция 1945 года..., стр. 65.

[8] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 80.

ში მეტად არქაულ კერამიკასთან ერთად[1] (ტაბ. XI. 1). კავკასიის სხვა ადგილებში ქინძისთავი მარყუჟისებრი თავით ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. არ გვხვდება იგი აგრეთვე მესოპოტამიაში.[2] სადღეისოდ ამ ტიპის ქინძისთავების ერთეული ეგზემპლარები ცნობილია ეგვიპტიდან,—ტროა II, კუნძულ კიპრზე. გავრცელებულია იგი აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში, დუნაის ქვეყნებში და სხვ.[3] უთუოდ საყურადღებოა ის გარემოება, როგორც ამას ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ სადღეისოდ ყველაზე მეტი ამ ტიპის ქინძისთავი ცნობილია საქართველოდან.[4] ერთ-ერთ თავის საგაზეთო წერილში ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ შესაძლოა ტროაში და ეგვიპტეში ეს ქინძისთავები შედიან ჩრდილოეთიდან, სამხრეთ კავკასიის რაიონებიდან.[5] რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ძნელია გარკვევით რაიმეს თქმა მათი წარმომავლობის შესახებ, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ კიდევ ზედმეტად ჩანს მჭიდრო ურთიერთობა ძველ დაწინაურებულ ქვეყნებთან.

საჩხერის სამაროვნებზე მრავლად აღმოჩნდა ე. წ. სასაფეთქლე რგოლები 1,5 ხვიისა. აღსანიშნავია, რომ ეს სამკაული ჩვენში საკმაოდ დიდხანს იყო გავრცელებული. ადრეულ პერიოდში ეს საკიდები, ძირითადად, მრგვალია[6], შემდეგში კი ისინი უფრო ოვალურ მოხაზულობას იღებენ. ამ ტიპის სამკაულს უკვე ვხვდებით ტყვიავის ერთ-ერთ ყორღანში[7]. უთუოდ საყურადღებოა, რომ ბრინჯაოს კულტურის უკვე ადრინდელ საფეხურზე გარდა სპილენძისა, ამგვარი ნივთები გვხვდება უკვე ძვირფასი ლითონისაც. ერთი ვერცხლის ხვია, როგორც აღვნიშნეთ, ნაპოვნი იყო თრიალეთის ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყორღანში[8]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცარცის გორას ერთ-ერთ სამარხში ცულთან, სატევრის პირთან და ერთ სერდოლიკის მძივთან ერთად ნაპოვნი ოქროს ხვია[9]. ეს ოქროს ხვია, თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანებში აღმოჩენილი ოქროს გადასაკრავებთან ერთად, როგორც

---

[1] Куфтин Б. А. Результаты работ маршрутн. археолог. экспедиц. в бассейны рек Лиахви, Проне, Квирилы, и Ср. Риони в 1951 году.

[2] Куфтин Б. А. Маршрутн. археолог. экспедиция 1945 года..., стр. 80.

[3] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 14, Куфтин Б. А., Маршрутн. археол. экспедиц., 1945 года..., стр. 80.

[4] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 80.

[5] Куфтин Б. А. Заря Востока, 1946, 28 сентября.

[6] Куфтин Б. А. Маршрутная археологическая экспедиция 1945 года..., გვ. 79.

[7] მაკალათია ს. დასახ. ნაშრ., გვ. 46.

[8] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 102.

[9] Куфтин Б. А. Маршрутн. археолог. экспедиц. 1945...., стр. 79.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენში ოქროს ნივთებიდან ყველაზე მსგავსი ოქროს ხვია, ოღონდ, როგორც ბ. კუფტინი ფიქრობს, უფრო გვიანი, ნაპოვნი იყო სტეპანოკერტის ყორღანში 1940 წ. მიერ[1]. ამგვარი მრგვალი საკიდები 1,5 ხვიისა კარგად იყო ცნობილი აგრეთვე ჩრდ. კავკასიაშიც[2].

ალსანიშნავია საჩხერის სამარხებში ნაპოვნი სპილენძის მავთულის სპირალური სამაჯურები[3]. სავსებით ამგვარივე სამაჯური ნაპოვნი იყო ძაღინის სამაროვანის ერთ-ერთ სამარხში[4] (ტაბ. XV, 7). ამგვარი სპირალური სამაჯურები ცნობილია ჩრდ. კავკასიაში, უფრო მოგვიანო ხანაში. აქ ისინი უფრო მასიურია, თანაც სამკუთხა განივკვეთისა[5]. დამახასიათებელი ამ ტიპის სამაჯური ყობანის სამაროვნისათვის[6]. როგორც ჩანს, ჩრდ. კავკასიაში ამ ტიპმა კარგახანს შემოინახა თავი, ჩვენში კი ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის შემდეგ ჯერჯერობით არ ჩანს.

გარდა ამისა, საჩხერის სამარხებში ნაპოვნი იყო ქვის რბილი ჯიშისაგან ნაკეთები სამაჯურები[7]. ქვის სამაჯურები ჩვენში საკმაოდ ადრეული ხანიდანაა ცნობილი, კერძოდ, თეთრამიწის ნეოლითურ ფენებში ნაპოვნი იყო ამგვარი ქვის სამაჯურები, თუმცა უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ საეჭვოა ეს სამაჯურები ნამდვილად ნეოლითურ ხანას მივაკუთვნოთ[8]. ანალოგიური ქვის სამაჯურები ცნობილია ნალჩიკის ყორღანიდან[9].

უთოდ მეტად საინტერესოა საჩხერის სამაროვნებზე ნაპოვნი ქვის იარაღები. ამათგან პირველ რიგში ალსანიშნავია კაჟის ქვისაგან ნაკეთები სხვადასხვა ზომის ისრის პირები (ტაბ. XIII, 5,6). ცნობილია აგრეთვე კაჟის ქვის დანისმაგვარი იარაღი, ერთი გახვრეტილი ქვის ცული (ტაბ. XIII, 4) და სხვ.

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 75.

[2] Деген Б. Е. დასახ. ნაშრ., გვ. 258.

[3] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 78.

[4] Куфтин Б. А. Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейны рек Ливахви, Пронс, Квирилы и Среднего Риони в 1951 г.

[5] Деген Б. Е. დასახ. ნაშრ., გვ. 263.

[6] МАК, VIII, გვ. 58, Такайшвили Е. С., დასახ. ნაშრ., გვ. 170.

[7] Куфтин Б. А. Маршрутная археолог. экспедиц. 1945 г..., стр. 78.

[8] კილაძე ნ. ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწადან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბილისი, 1951, გვ. 260.

[9] Круглов А. П. Пиотровский Б. Б. и Подгаетский Г. В. Могильник в Нальчике, МИА, № 3, М.—Л., 1941, стр. 114, 127.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სამარხებში ნაპოვნი კერამიკა (ტაბ. XVI.—XVII). იგი უპირატესად შავი ფერისაა, ვარდისფერი სარჩულით, ხელით ნაძერწი. ამათგან საყურადღებოა ორი ორნამენტირებული მოზრდილი ჭურჭელი (ტაბ. XVIII, 4; ტაბ. XIX). რიგი ნიშნებით ეს კერამიკა ჯერ კიდევ ახლო დგას ენეოლითურ კერამიკასთან[1] და საგრძნობლად განსხვავდება ჩვენში ბუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ თიხის ჭურჭლისაგან[2]. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნავდით, საჩხერული კერამიკა განსაკუთრებით ენათესავება თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანულ კერამიკას. ორივე ეს ჯგუფი როგორც საერთო მოყვანილობით, ისე რიგი სხვა ნიშნებით ჯერ კიდევ შორს არ არის წასული წინა საფეხურზე გავრცელებულ კერამიკისაგან. აქაც გვხვდება დაახლოებით ისეთივე „ნახევარსფეროსებრი" მოყვანილობის ყურები, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია ე. წ. მტკვარ-არაქსის ენეოლითისათვის[3]. ჭურჭლის ფორმა თითქოს მაინც რამდენადმე განვითარებულია, მაგრამ ჯერ კიდევ აშკარაა, რომ იგი გენეტიკურად დაკავშირებულია ენეოლითურ კერამიკასთან. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ აქაც, ისევე როგორც თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანულ კერამიკაშიც, მსგავსება შეინიშნება ენეოლითურ ჭურჭელთან, შემკულობის წესშიაც[4]. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამასთანავე საჩხერული კერამიკა გვიანდელი ხანის ნიშანსაც ატარებს[5]. კერძოდ, ჭურჭელი აქ უკვე შედარებით ძირფართოა. ამრიგად, საჩხერის კერამიკა ჯერ კიდევ ძლიერ ენათესავება ენეოლითურ კერამიკას. იგი მეტად ახლო დგას ჩვენში ადრეულ ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ ჭურჭელთან: თრიალეთის[6], სამგორის, ძალინის და სხვ. ეს კერამიკაც, როგორც ჩანს, ენეოლითურის მსგავსად, ჯერ კიდევ ინარჩუნებს გავრცელების საკმაოდ დიდ ტერიტორიას და მიუხედავად ამ პერიოდში მომხდარი მთელი რიგი ძვრებისა მან მაინც შეძლო შემოენახა ძირითადად ძველი ტრადიციები.

ამრიგად, საჩხერის რაიონში მიკვლეული ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლები უთუოდ მეტად საყურადღებო მასალას გვაწვდიან. გარკვეულ შუქს ფენს ეს ძეგლები იმდროინდელი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას. საფიქრებელია, რომ საჩხერის სამივე სამაროვანი წარმოადგენ-

---

[1] Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 115.
[2] Куфтин Б. А., Маршрутн. археологич. экспед. 1945 г..., стр. 75.
[3] Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 77.
[4] Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 77.
[5] Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, стр. 105.
[6] Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 109.

და საგვარეულო სასაფლაოს, სადაც გვარის წევრები გარკვეული დროის მანძილზე ასაფლავებდნენ მიცვალებულებს. სამარხეული ინვენტარიდან თითქოს ჩანს, რომ აქ ჯერ კიდევ არ შეინიშნება გვარის წევრებს შორის ეკონომიური სხვაობა. ამ მხრივ უთუოდ საყურადღებოა ქორეთის ყორღანები. ამ ორივე ყორღანში, ჩანს, თითო მიცვალებული იყო დასაფლავებული. ძნელი საფიქრებელია, რა თქმა უნდა, რომ ეს სამარხები გვარის რიგითი წევრებისათვის ყოფილიყო აგებული და, ეგებ, უფრო მართებული იყოს, თრიალეთის მსგავსად, ამ ყორღანებში დავინახოთ გვარის დაწინაურებული წევრის ბელადის თუ გვარის წინამძღოლის სამარხი. აღსანიშნავია, რომ ყორღანული ინვენტარი თითქმის სრულიად არ განსხვავდება საჩხერის სამაროვნების სამარხეული ინვენტარისაგან. ეს გარემოება უთუოდ იმას გვაფიქრებინებს, რომ გვარის დაწინაურებული პირი რიგით წევრთაგან ეკონომიურად ჯერ კიდევ შორს წასული არ არის. განსხვავება მხოლოდ დასაფლავების წესშია. მისთვის გაცილებით უფრო რთული სამარხია აგებული, რომლისთვისაც, ალბათ, მთელი გვარი შრომობდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით თითქოს შეიძლება უკვე ითქვას, რომ ბრინჯაოს კულტურის ადრეულ საფეხურზე ჩვენში გვაროვნული საზოგადოების შიგნით ქონებრივი უთანასწორობა ჯერ კიდევ არ შეინიშნება.

სამწუხაროდ, მასალის სიმცირის გამო ბევრის არაფრის თქმა შეგვიძლია ეკონომიური ცხოვრების შესახებ. აქ მიწათმოქმედებაზე უნდა მიუთითებდეს ცარცისგორაზე ნაპოვნი ხელსაფქვავის ქვები[1] და აგრეთვე ბჟინევში შემთხვევით აღმოჩენილი ერთი არქაული კაკის ნამგლის პირი[2]. საფიქრებელია, რომ ამ სამაროვანზე აღმოჩენილი დიდი ზომის თიხის ჭურჭელი, ეგებ, მარცვლეულის შესანახად იყო განკუთვნილი.

არც მესაქონლეობის შესახებ მოგვეპოვება რაიმე პირდაპირი ცნობა. საჩხერის ერთ-ერთ სამარხში, როგორც აღნიშნული გვქონდა, აღმოჩნდა ერთი მოზრდილი ქინძისთავი, რომელზედაც მოცემულია ეტლში შებმული ხარის სტილიზებული გამოსახულება[3]. ეს გარემოება უთუოდ იმას უნდა მოწმობდეს, რომ მესაქონლეობა აქ უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა და ხარი გამოყენებული ყოფილა გამწევ ძალად. საფიქრებელია, როგორც ამას ბ.

---

[1] Куфтин Б. А. Археолог, маршрутн. экспедиция 1945 г..., გვ. 70. ტაბ. LV.

[2] იქვე, გვ. 67.

[3] Куфтин Б. А. Результаты работ маршрутной археол. экспед. в бассейны рек Лиахви, Ирпе, Кирилы и Ср. Риони в 1951 г.

კუფტინი აღნიშნავს, ხარი აქ უკვე მიწათმოქმედებაშიცაა გამოყენებული, როგორც გამწევი ძალა[1].

ასევე, არაპირდაპირ ცნობას მესაქონლეობის განვითარების შესახებ, უპირატესად, მეცხვარეობის შესახებ, საფიქრებელია, უნდა გვაწვდიდეს ის დიდი ზომის ქინძისთავები, რომლებიც ასე ჭარბადაა წარმოდგენილი საჩხერის სანაროვნებზე. ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ დიდი ზომის ქინძისთავებს, უპირატესად, უხეში შალის ტანსაცმლის შესაბნევად ხმარობდნენ[2].

ამრიგად, როგორც ვნახეთ, საჩხერის რაიონში აღმოჩენილი მასალები მეტად მცირე ცნობას გვაწვდის იმდროინდელი მეურნეობის დახასიათებისათვის. მაგრამ, ვფიქრობთ, ის, რაც გვაქვს, იმას უნდა მოწმობდეს, რომ მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, უთუოდ დაწინაურებული უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ მიწათმოქმედებაში ამ პერიოდში უკვე გამოყენებულია სახვნელი იარაღი, რომელშიც ხარია შებმული. მესაქონლეობიდან, ჩანს, მეცხვარეობა ვითარდება. საერთოდ ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან მოკიდებული ჩვენში მესაქონლეობის ეს დარგი წინაურდება.

განსაკუთრებით საყურადღებო მასალას საჩხერული ძეგლები გვაწვდიან ადრეული ბრინჯაოს ხანის მეტალურგიის შესახებ. აშკარად ჩანს, რომ აქ მეტალურგიას უკვე განვითარების საკმაოდ მაღალ დონემდე მიუღწევია. როგორც აღნიშნული გვქონდა, გვხვდება უკვე საკმაოდ რთული ფორმის ლითონის იარაღ-სამკაული. ლითონის დამუშავების ტექნიკა, ჩანს, მაღალ საფეხურზეა ასული. ვფიქრობთ, ჩვენს ხელთ მყოფი მასალიდან თითქოს ჩანს, რომ ბრინჯაოს კულტურის ამ საფეხურზე ყვირილას ზემო წელზე უნდა არსებულიყო იმ დროისათვის მეტალურგიული წარმოების საკმაოდ მძლავრი კერა. ამგვარ ვარაუდს ერთგვარად ისიც აძლიერებს, რომ ჩვენში დღემდე ცნობილ ადრეულ ბრინჯაოს ხანის მასალაში არსად არ შეინიშნება მეტალურგიის ასეთი აღმავლობა. თრიალეთი რომ ავიღოთ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, აქ ამ საფეხურზე მეტალურგია, ჩანს, მაინცა და მაინც ბევრად წინ არ წასულა. თრიალეთისა და ყვირილას ზემო წელის რაიონს შორის ბრინჯაოს კულტურის ამ ადრეულ ეტაპზე უთუოდ ახლო ურთიერთობა შეინიშნება. განსაკუთრებით ეს კარგად ჩანს კერამიკაში. ორივე ად-

[1] იქვე.

[2] Крупнов Е. И. Материалы по археологии Сев. Осетии докобанского периода, გვ. 56.

გილას მეტად მსგავსი თიხის ნაწარმი გვხვდება, რომელიც გენეტიკურად უკავშირდება უთუოდ ე. წ. მტკვარ-არაქსის ენეოლითურ კერამიკას[1].

როგორც ცნობილია, კერამიკა ჩვეულებრივ ასახავს ხოლმე ადგილობრივი კულტურის ტრადიციებს. იმდენად დიდი მსგავსება ჩანს თრიალეთურსა და საჩხერულ კერამიკას შორის, დეტალებშიაც კი, რომ ბ. კუფტინს დასაშვებად მიაჩნია აქ მოსახლეობის ეთნიკური ერთიანობა დავინახოთ[2]. ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადი უნდა იყოს, რომ უთუოდ მეტად მჭიდრო ურთიერთობა ჩანს ამ ორ რაიონს შორის. უკანასკნელ ხანებში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად კარგად გამოვლინდა აგრეთვე კავშირი შიდა ქართლისა და ყვირილას აუზს ზემო წელს შორის ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე[3]. თითქოს ისე ჩანს, რომ საჩხერის რაიონში დამოწმებული ეს კულტურაც იმავე ტრადიციებზეა აღმოცენებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ზემოთ უკვე ნათქვამი გვქონდა, ყვირილას აუზის ზემო წელის კულტურაში მეტალურგია უკვე საკმაოდ დაწინაურებული ჩანს. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სათანადო მასალის უქონლობის გამო ძნელია გარკვევით თქმა თუ რამ შეუწყო ხელი აქ მეტალურგიის დაწინაურებას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადგილობრივი მეტალურგიის განვითარებას აქ ბიძგი მისცა აღლო ურთიერთობამ საბჭრეთის დაწინაურებულ ქვეყნებთან. როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნავდით, კავშირი ძველ წინააზიურ სამყაროსთან ამ პერიოდში უკვე მძლავრად ჩანს. ამგვარი ურთიერთობა, იმის გამო რომ ჩვენში საამისოდ კარგი პირობა იყო, უთუოდ ხელს უწყობდა ადგილობრივი მეტალურგიის სწრაფ აღმავლობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დაახლოებით ამგვარსავე სურათს ვხვდებით ჩრდ. კავკასიაშიც. როგორც ცნობილია, „ყუბანის დიდი ყორღანების“ კულტურაში ძირითადად ორ ქვეჯგუფს გამოყოფენ — მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას. თუ მაიკოპის ქვეჯგუფში, რომელიც რამდენადმე წინ უსწრებს, ჯერ კიდევ მეტად ჭირს ლაპარაკი ადგილობრივ მეტალურგიაზე, ნოვოსვობოდნაიას ქვეჯგუფში უკვე აშკარად შეინიშნება ადგილობრივი მეტალურგიის განვითარება[4]. აქაც, რო-

---

[1] Куфтин Б. А. Археол. маршрутн. экспедиц. 1945 г..... стр. 77.

[2] იქვე, გვ. 75.

[3] Куфтин Б. А. Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейны рек Лиахви. Проне, Квирилы и Средн. Риони в 1951 году (рукопись).

[4] Иессен А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. стр. 87.

გორც ჩანს, წინააზიის გავლენით სწრაფად ხდება უკვე ადგილობრივი მეტალურგიის დაწინაურება. აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი რამ აქ მარტო მეტალურგიაში კი არ შეინიშნება. ძველ ცივილიზებულ ქვეყნებთან ურთიერთობამ ბიძგი მისცა აგრეთვე თვით ადგილობრივი საზოგადოების განვითარებასაც.[1] შემდეგში, როდესაც რაღაც მიზეზების გამო, რომლის ახსნაც შესაძლებელი იქნება, ა. იესენის სიტყვით, ამიერკავკასიის III და II ათასწლეულის ძველი კულტურების შესწავლის შედეგად ეს კავშირი წინაა აზიასთან სუსტდება, თვით საზოგადოების განვითარებაში თითქოს უკვე ერთგვარი რეგრესი ჩანს.[2]

ჩვენს ხელთ მყოფი მასალებიდან თითქოს უნდა ჩანდეს, რომ ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე კავშირი წინა აზიასთან შეინიშნება უპირატესად საქართველოს დასავლეთ ნაწილში. ამიტომაცაა, ვფიქრობთ, რომ ამ დროს აქ ჩანს სწორედ მეტალურგიის ერთგვარი დაწინაურება (საჩხერე, დოლმენები). აღმოსავლეთით ეს კავშირი თითქოს უფრო სუსტი უნდა ყოფილიყო. აქ არსებული ამ პერიოდის კულტურა აღმოცენებულია ადგილობრივი მძლავრი და თავისებური ენეოლითური კულტურის ტრადიციებზე და, როგორც უკვე აღნიშნული გექონდა, იგი მაინცდამაინც შორს წასული არ უნდა იყოს წინა საფეხურთან შედარებით. მეტალურგია ამ პერიოდში, აქ ჯერ კიდევ ჩანს, თავის პირველ ნაბიჯებს დგამს. მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანიდან ჩანს აქ ახლო ურთიერთობა წინა აზიურ სამყაროსთან (თრიალეთი, ქვასათალი, ნული და სხვ.).

ამრიგად საფიქრებელია, რომ ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე ყვირილას ზემო წელში უნდა ყოფილიყო მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონი.

ძ ა ღ ი ნ ა. უკანასკნელ ხანებში ადრეული, ბრინჯაოს ხანის მასალა მოპოვებული იყო შიდა ქართლში, თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. აქ სადღეისოდ ორგანაა აღმოჩენილი ამ პერიოდის ძეგლი: ერთი სოფელ ძაღინასთან, მეორე კი სოფ. ნულში. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი. აქ მიკვლეული იყო ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი პერიოდის სამაროვანი. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ, როგორც ჩანს, ამ სამაროვანზე მოპოვებული ადრეული ბრინჯაოს ხანის სამარხების ერთი ნაწილი ამ პერიოდის უფრო ადრინდელი საფეხურისა უნდა იყოს, მეორე ნაწილი

---

[1] Нессен А. А. К хронологии „больших кубанских курганов", стр. 196.

[2] Нессен А. А. იქვე, გვ. 196.

Нессен А. А. Греческая колонизация Северного Причерноморя, Ленинград, 1947, стр. 21.

კი — რამდენადმე უფრო მოგვიანო[1]. მიცვალებული პირდაპირ მიწაში იდო; სამარხებს ზემოდან უპირატესად პატარა ქვაყრილი ჰქონდა. სამარხში თითო მიცვალებული იდო. უფრო ადრინდელ სამარხებში მიცვალებული შედარებით უფრო ღრმად იდო, ძლიერ მოკუნტული. ჩვეულებრივად მიცვალებულს თან ახლდა თითო თიხის ჭურჭელი. ლითონის ნივთი აღმოჩნდა მხოლოდ ერთ სამარხში, დაზიანებული ყულფიანი, ქინძისთავი (ტაბ. XV,1). აქ მოპოვებული კერამიკა ახლო დგას საჩხერულ კერამიკასთან და გენეტიკურად უკავშირდება ე. წ. მტკვარ-არაქსის ენეოლითურ კერამიკას (ტაბ. XV,3,4,6,8). განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ მოპოვებული ქინძისთავი. იგი სავსებით ისეთივეა, როგორც საჩხერისა და ქორეთის სამარხებში მოპოვებული ყულფიანი ქინძისთავები. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობდა ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე შიდა ქართლისა და ყვირილას აუზის ზემო წელს შორის[2].

მოგვიანო ხანის სამარხებიც იმგვარივე იყო. აქაც სამარხს ზემოდან ქვაყრილი ჰქონდა. სამარხში თითო მიცვალებული იდო. უპირატესად მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით. მიცვალებულს თან ახლდა რამდენიმე თიხის ჭურჭელი, 1,5 ხვიის მრგვალი სასაფეთქლე რგოლები (ტაბ. XV,1.2), სპირალური სამაჯურები (ტაბ. XV,7), ქინძისთავი (ტაბ. XI,5) და სხვ. ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ძლიერ არქაული ტიპის სატევრის პირი[3] (ტაბ. XV,2).

აქ მოპოვებული თიხის ჭურჭელი აგრეთვე უახლოვდება საჩხერულ კერამიკას. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ეს ჭურჭელი მსგავსებას პოულობს თრიალეთის ენეოლითური ხანის სამარხებში მოპოვებულ კერამიკასთან.

ლითონის ინვენტარი აგრეთვე ენათესაებება ყვირილას ზემო წელზე მოპოვებულ მასალას[4]. სპირალური სამაჯურები ახლოსა დგას საჩხერის ამგვარსავე სამაჯურებთან. 1,5 ხვიანი სამკაული, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, საერთოდ დამახასიათებელი ჩანს ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურისათვის. აქ აღმოჩენილი ქინძისთავი თითქოს რამდენადმე ახალგაზრდა ჩანს. თავი მას ბრტყელი აქვს, ბოლოები დახვეული. ამ ტიპის ქინძისთავი ჩვენში სადღეისოდ, რამდენადაც ვიცით, არ არის ცნობილი. იგი რამდენადმე თითქოს უახლოვდება თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყორღანში მოპოვებულ ოქროს საკინძს. ახლოსა დგას ეს ქინძისთავი ნალჩიკის მუ-

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ.
[2] იქვე.
[3] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ.
[4] იქვე.

ზეუმში დაცულ ერთ ქინძისთავთან[1]. ბ. კუფტინი ძაღინის სამაროვნის განხილვისას აღნიშნავს, რომ ეს სამარხები შეიძლება მივაკუთვნოთ ადრეული ბრინჯაოს ხანის მიწურულს. იგი ამ სამაროვნის ერთი ჯგუფის სამარხებს საჩხერულის თანადროულად თვლის, მეორეს კი — უშუალოდ მომდევნო ეტაპს მიაკუთვნებს[2].

ადრეული ბრინჯაოს ხანის მასალა აღმოჩენილი იყო სოფ. ნულში. ეს ადგილი, როგორც ვიცით, კარგადაა ცნობილი არქეოლოგიურ ლიტერატურაში. აქ ნაპოვნია შუა ბრინჯაოს ხანის მეტად საყურადღებო სამაროვანი. ამ სამაროვანის ტერიტორიაზე 1954 წ. სამუშაოების დროს აღმოჩნდა ერთი სამარხი, რომელიც უთუოდ უფრო ადრინდელი უნდა იყოს. იგი უახლოვდება ძაღინის სამაროვნის სამარხებს. აქაც სამარხს ზემოთ ქვაყრილი ჰქონდა, მიცვალებული პირდაპირ მიწაში იდო, მარჯვენა გვერდზე მწოლარე, ფეხებმოკეცილი. მას თან ახლდა მხოლოდ სამი თიხის ჭურჭელი (ტაბ. XI, 2,3,4), ერთი შედარებით მოზრდილი ორყურა ქილისებრი ჭურჭელი. მას გვერდზე მიყრდნობილი ჰქონდა მოზრდილი ხუფი, შუაში ყურით. აქვე იდო მოზრდილი ბადიისებრი ფორმის ჭურჭელი. მიცვალებულის სახის წინ კიდევ ერთი პატარა ჭურჭელი აღმოჩნდა. აქ მოპოვებული კერამიკა შავი ფერისაა ვარდისფერი სარჩულით. იგი სავსებით ისეთივეა, როგორც ძაღინას სამაროვანზე მოპოვებული კერამიკა. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ ნულის სამაროვნის ეს სამარხი უფრო ადრინდელი უნდა იყოს, ვიდრე ნულის სხვა სამარხები და იგი იმავე დროისა ჩანს, რომელსაც ძაღანის სამაროვანი მიეკუთვნება.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ შიდა ქართლში, თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემთხვევით ნაპოვნი ქვის სამი ცულის შესახებ. ერთი მათგანი ნაპოვნი იყო სოფ. თერეგვანში (ტაბ. VII, 2)[3], მეორე ცული აღმოჩნდა სოფ. ოჟორას მახლობლად ღართის კარზე (ტაბ. VII, 1), მესამე გახვრეტილი ქვის ცული ნაპოვნი იყო შიგ სოფ. ოჟორაში (ტაბ. XV, 9). იგი რამდენადმე უახლოვდება საჩხერის ქვის ცულს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენში შემთხვევით ნაპოვნია ცალკეული ლითონის ნივთები, რომლებიც ჩანს, უნდა მიეკუთვნებოდეს ლითონის ინდუსტრიის ადრეულ საფეხურს. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა კომბინირებული იარაღი, რომელსაც პირობით შეიძლება ვუწოდოთ ცულ-წერაქვა. ამ ტიპის იარაღი ჩვენში სადღეისოდ სულ რამდენიმე ცალია ცნობილი: ერთი ცალი

[1] Деген Б. Е. Курганы в Кабардинском парке гор. Нальчика, ტაბ. X_2, გვ. 249.
[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ.
[3] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ.

ჯერ კიდევ 1912 წ. ნაპოვნი იყო თიანეთის რაიონში სოფ. სიმონიანთ ხევში[1]. ერთი ცულ-წერაქვა 1949 წ. აღმოჩნდა დმანისის რაიონში, მდ. ფინეზაურის მარჯვენა შენაკადის შესართავთან[2] (ტაბ. XIV, 10). საქართველოს სახელმწიფო შუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში ინახება კიდევ ერთი ამგვარი იარაღი, რომლის აღმოჩენის ადგილი, სამწუხაროდ, უცნობია. უცნობია აგრეთვე აქვე დაცული ერთი პატარა, დაახლოებით ამგვარივე ტიპის იარაღის აღმოჩენის ვითარებაც[3]. უთუოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ იარაღის ქიმიურმა შესწავლამ დაახლოებით ისეთივე სურათი მოგვცა, როგორიც ჩვენში აღმოჩენილი ადრეული ბრინჯაოს ხანის სხვა ლითონის ნივთებმა. აქაც გვხვდება სპილენძი, რომელიც 2%-მდე დარიშხანს შეიცავს[4].

ამიერკავკასიიდან ცნობილია კიდევ ერთი ამგვარი იარაღი, აღმოჩენილი სომხეთში, სოფ. ალაევერდში.[5] ამ ტიპის იარაღს უახლოვდება, მაგრამ მაინც რამდენადმე განსხვავებულია, ჩრდილო კავკასიაში, სტანიცა ეოზდვიჟენსკოეში ნაპოვნი ცული.[6] მას ყუაზე გამოყვანილი შეერილი ჩაქუჩისებრი აქვს[7]. ამ ტიპის იარაღი ნაპოვნი ყოფილა დიგორიაში; ეს იარაღი სადღეისოდ ცნობილი ცალებისაგან იმით განხვავდება, რომ მას სატარე ხვრელი მილისებრ გამოშეერილი აქვს. უთუოდ საყურადღებოა მისი ქიმიური შემადგენლობა. ისიც 2% დარიშხანს შეიცავს[8].

ამგვარი იარაღი გავრცელებული იყო წინა აზიაში უკვე მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ. წ.[9] ერთი მსგავსი ცული ნაპოვნი იყო ასურეთ-

---

[1] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 300.

[2] ქორიძე დ. დმანისის რაიონში ახლად აღმოჩენილი იარაღი—ცულწერაქვა (ხელნაწერი).

[3] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 300.

[4] ქორიძე დ. დასახ. ნაშრ.

[5] ბაიბურთიანი. შრომის იარაღი ძველ სომხეთში, Вестник Инст-та истории и литературы Арм. ССР. I, Ереван, 1938, გვ. 27.

[6] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 301.

[7] Ayräpää A. A. Uber die Streitaxtkulturen in Russland, ESA, VIII, Helsinki, 1933, გვ. 56. სურ. 49.

Чайлд Г. У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, გვ. 214, სურ. 76, 1

[8] Данилевский В. В. Историко-технологическое исследование древних бронзовых и золотых изделий с Кавказа и Северного Урала, ПГАИМК, вып. 110, М.—Л., 1935, სურ, 129,2.

[9] Пассек Т. С. Периодизация Трапольских поселений, МИА, № 10, М.-Л., 1949, გვ. 130, Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 301.

ში[1]. თეფე-გავრას მეექვსე ფენაში შპეიზერმა იპოვა ამ ტიპის პატარა ცული (6,2 სმ. ალბათ მოდელი)[2]. საყურადღებოა, რომ ამგვარ ცულებს ვხვდებით აგრეთვე გამოსახულებაზე. მსგავსი იარაღი გამოსახულია ნარამსინის სტელაზე[3]. ამ სტელაზე გამოსახული ცული განსაკუთრებით უახლოვდება თეფე-გავრას პატარა ცულს. ამგვარი ტიპის საომარი ცულები, ჩანს, დამახასიათებელი იყო ამ პერიოდში აქ[4].

ამ ტიპის რამდენიმე ცული ცნობილია ევროპაშიც. ერთი ამგვარი ცული ნაპოვნი იყო სოფ. ვერემიეში (კიევის სამხრეთით)[5]. სამწუხაროდ, ამ ცულის აღმოჩენის ვითარება მთლად ნათელი არ არის. ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ ეს ცული შეიძლება მიეკუთვნოს გვიან ტრიპოლიეს საფეხურს[6]. პასეკის აზრით ვერემიეს ცული შეიძლება II ათასწლეულის ძვ. წ. დასაწყისი ხანისა იყოს[7]. მსგავსი იარაღი აღმოჩენილია უნგრეთში, სოფ. ერიოზდში, სადაც ნაპოვნი იყო ადრეული ხანის ნამოსახლარი. აქ მეორე ფენაში ლითონის სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ტიპის ცული[8]; თუმცა იგი მაინც რამდენადმე განსხვავებულია. ერიოზდში ნაპოვნ ცულს სატარე ხვრელი დაახლოებით ცულის შუა ნაწილში აქვს, მაშინ, როდესაც სადღეისოდ ცნობილ ამ ტიპის ყველა ეგზემპლარს სატარე ხვრელი ცულის ზედა ნაწილში აქვს მოწყობილი.

ბ. კუფტინი, ჩანს, სავსებით სამართლიანად ფიქრობს, რომ ამ ტიპის ცული კავკასიაში წინა აზიიდან უნდა შემოსულიყო, საიდანაც შემდეგში უნდა გავრცელებულიყო ევროპაში[9]. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ,

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 301.

[2] Christian V. Altertumskunde des Zweistromlende, Leipzig, 1940. Bd, I, გვ. 285 და 309, ტაბ. 324,3. Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie Comparee et chronologie del'-Asie Occidentalie, London, 1948, ტაბ. 90,7. Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 300, სურ. 4,1.

[3] Christian V. დასახ. ნაშრ., გვ. 285 და 309, ტაბ. 354,11. Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 301.

[4] Bonnet H. Die Waffen der Völker des Alten Orients, Leipzig, 1926, გვ. 20 სურ. 8, ბ.

Морган Ж. Доисторическое человечество, М.-Л., 1926, გვ. 121, სურ. 54.8.

[5] Tallgren A. La Pontide prescythigue.. ESA, II, Helsinki 1926, გვ. 172, სურ. 98, 8, პასეკი ტ. დასახ. ნაშრომი, გვ. 130. 155, 156, სურ. 100, 8.

Богаевский Б. П. История Техники, М.—Л., т. I, 1936, გვ. 314, სურ. 218,2, Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 301 და 334.

[6] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 301.

[7] პასეკი ტ. დასახ. ნაშრ., გვ. 130.

[8] იქვე, დასახ. ნაშრ., გვ. 212, სურ. 100,7.

[9] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 300 და 301.

პასეკი ტ. დასახ. ნაშრ., გვ. 130 და 156.

როგორც ჩანს, ეს ცული ჩვენში თავისებურ სახეს იღებს და უკვე რამდენადმე განსხვავდება წინააზიური ცულისაგან, რომლებთანაც ისინი უთუოდ გენეტიკურ კავშირში უნდა ყოფილიყო[1]. ერთგვარი სხვაობა შეინიშნება ცულის პირის მოყვანილობაში, ყუის ზედა შვერილში და სხვ. უთუოდ ნიშანდობლივია, რომ ვერემეიეში აღმოჩენილი ცალი ამ ცულების კავკასიურ სახესხვაობას უახლოვდება. აქაც ჩვენ დაახლოებით ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც ყუამილიან-ყუადაქანებულ ცულებთან გვხვდება. ეს ცულებიც ყუამილიან-ყუადაქანებულ ცულების მსგავსად, კავკასიაში ადგილობრივ, თავისებურ სახეს იღებენ. ამასთან დაკავშირებით აქ კვლავ გვინდა გავიხსენოთ, ზემოთ უკვე აღნიშნული, რომ ქიმიური შედგენილობით ამ ტიპის ცულები მეტად ახლო დგანან ჩვენში აღმოჩენილ ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურის ლითონის ნივთებთან. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ წინააზიური სხვა ფორმის მსგავსად, ცულის ამ ტიპმაც ჩვენში ერთგვარად თავისებური სახე მიიღო და ესეც უკვე ადგილობრივი მეტალურგიის წარმოების პროდუქტი ხდება.

რაც შეეხება ამ ტიპის ცულის დანიშნულების საკითხს, სადღეისოდ ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ბ. კუფტინი გაკვრით აღნიშნავს თავის ერთ-ერთი ნაშრომის ქართულ რეზუმეში, რომ ეგებ იგი სამთო-სამუშაოებისათვის განკუთვნილი იარაღი იყოს[2]. ამგვარსავე მოსაზრებას გამოთქვამს აგრეთვე დ. ქორიძეც, თუმცა მას დასაშვებად მიაჩნია აგრეთვე ამ იარაღის გამოყენება მიწათმოქმედებაში ყამირი მიწის დამუშავების დროს[3]. ვფიქრობთ, რომ ეს იარაღი, წინა აზიის მსგავსად, აქაც ძირითადად საომარი იარაღი უნდა ყოფილიყო, რომელსაც საჭიროებისამებრ ორივე ბოლოდან იყენებდნენ[4]. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენში შემდეგ ხანაშიაც კარგადაა ცნობილი შვერილიანი ცულები[5].

როგორც ჩანს, კავკასიაში სათანადო გავრცელება ვერა ჰპოვა მეორე გვარმა კომბინირებულმა იარაღმა. მას ცალი პირი თოხისმაგვარი აქვს, მეორე კი — ცულის. იგი, ეგებ, მართლაც შექმნილია ძველი შუმერული ცულის ფორმების კომბინაციით[6]. ამ ტიპის იარაღი კარგად იყო ცნობილი ძველ აღ-

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 300.
Пасуэ ტ. დასახ. ნაშრ., გვ. 130.
[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 401.
[3] ქორიძე დ. დასახ. ნაშრომი.
[4] Bonnet H. დასახ. ნაშრ., გვ. 20.
Christian V. დასახ. ნაშრ. გვ. 309.
[5] Bonnet H. დასახ ნაშრ., გვ. 20.
[6] ჩაილდ გ. დასახ. ნაშრ.. გვ. 56 და 213.
Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 302.

მოსავლეთში. იგი, ჩანს, ძირითადად სამარი იარაღი იყო[1]. თუმცა შინაც საკმაოდ ეფექტური იარაღი უნდა ყოფილიყო[2]. იგი გვხვდება ტეპე-ჰისარში, განსაკუთრებით ტეპე-ჰისარ III ფენაში[3]. ტროა II[4], ტეპე-სიალკში[5], ასტერაბადის განძში[6] და სხვ. ერთი ამგვარი ცული ნაპოვნი იყო ინდოეთში, მახენჯოდაროს გათხრებისას[7]. ცნობილია ამ ტიპის იარაღი კუნძულ კრეტაზე შუა მინასურ პერიოდიდან[8]. ამგვარი კომბინირებული იარაღი აღმოჩენილია აგრეთვე ევროპაშიაც. კერძოდ, ვხვდებით ჩეხოსლოვაკიაში[9], რუმინეთში[10], ბულგარეთში[11], გალიციაში[12]. ერთი ამ ტიპის იარაღი ცნობილია კონდერევიჩის კოლექციიდან[13]. კავკასიიდან ამგვარი იარაღი სადღეისოდ მხოლოდ ერთადერთია ცნობილი მაიკოპის ყორღანიდან[14]. მიუხედავად ამისა, ბ. კუფტინს მაინც დასაშვებად მიაჩნია, რომ წინააზიური ეს ფორმაც ევროპაში უნდა გავრცელებულიყო კავკასიის გზით[15]. უთუოდ ნიშანდობლივია, რომ კავკასიაში გვხვდება ორივე ფორმა შუმერული იარაღისა, ცულიცა და თოხისმაგვარი იარაღიც[16], რომლის კომბინაციის შედეგადაც უნდა მიგვეღო კომბინირებული იარაღი. მაშინ რო-

[1] Bonnet H. დასახ. ნაშრ., გვ. 21, სურ 9.

[2] Schmidt E. Tepe Hissar excavations 1931, გვ. 400.

[3] Schmidt E. Excavations at Tepe Hissar Damhan, Philadelphia, 1937, გვ. 205, სურ. 120.

Schmidt E. Tepe Hissar excavations, 1931, Philadelphia, 1933, გვ. 400, ტაბ. CXVIII.

[4] ჩაილდ გ. დასახ. ნაშრ., სურ. 21,4. Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 303.

[5] Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრ., სურ. 254, 7.

[6] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 303.

[7] Маккей Э. Древнейшая культура долины Инда, Москва, 1951, стр. 91, табл. XXII, 4. Child G. Eurasian Schaft—hole axes, ESA, IX, Helsihki, გვ. 163, სურ. 8.

[8] ჩაილდ გ. დასახ. ნაშრ., გვ. 57, სურ. 11,4. Child, G., The Dawn of European civilization, London, 1927, გვ. 34, სურ. 13.

Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 302, სურ. 5.

[9] Богаевский Б. Л. История техники, т. I, М.—Л. 1936, стр. 314, рис. 219,2.

[10] იქვე, გვ. 314, სურ. 218,1.

Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 302.

[11] RLV, II, Berlin, 1925, გვ. 206, ტაბ. 99.

[12] Уваров А. С. Сборник мелких трудов, т. II, Москва, 1910, გვ. 50, ტაბ. XXIII. Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 302.

[13] Tallgren A. La Pontide, prescythigue, ESA, II, Helsinki, 1926, სურ. 99.

[14] Нессен А. А. К хронологии „больших кубанских курганов", Сов. Археология, т. XII, М—Л., 1950 г. стр. 173.

[15] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 301.

[16] ჩაილდ გ. დასახ. ნაშრ., გვ. 212.

Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 302.

Нессен А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе; стр. 83, рис. 3.

დესაც ევროპაში შუმერული თობისმაგვარი იარაღი სადღეისოდ სრულიად უცნობია. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ ბ. კუფტინის ზემოაღნიშნული მოსაზრება არც თუ მთლად უსაფუძვლო უნდა იყოს და ჩანს, წინააზიის სხვა ფორმებთან ერთად ეს კომბინირებული იარაღი საკმაოდ ადრე შემოდის კავკასიაში და აქედან ვრცელდება შემდეგ სხვაგანაც[1]. თუმცა აქვე კვლავაც უნდა აღვნიშნოთ, რომ სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით თითქოს ისე ჩანს, რომ წინააზიური იარაღის სხვა ფორმებთან შედარებით ამ კომბინირებულმა იარაღმა კავკასიაში სათანადო გავრცელება ვერ ჰპოვა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი ცული, შემთხვევით ნაპოვნი, არქაული ფორმის შუბისმაგვარ იარაღთან ერთად, ზაჰესში 1928 წ. (Cu—95,4%; As—2,21%, ტაბ. XIV,9). აღსანიშნავია, რომ ეს ცული თავისი ფორმით უთუოდ მეტად ახლოსა დგას მესოპოტამიის უძველეს ცულებთან[2]. აქ ამ ტიპის ცულები სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ თიხის მოდელების სახით ჯიმდეთ-ნასრიდან, ურიდან და სხვ.,[3] სადაც ისინი უკვე მეოთხე ათასწლეულის დასაწყისში და, ეგებ, უფრო ადრეც ჩანან[4]. სავსებით მართებულად ფიქრობენ, რომ ეს თიხის მოდელები ლითონის ცულების წაბაძვითაა ნაკეთები[5]. როგორც ჩანს, მესოპოტამიაში ეს არქაული ტიპი სულ მალე ადგილს უთმობს ყუადაქანებულ-ყუამილიან ცულებს, რომლებიც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ფართო გავრცელებას პოულობს აქ[6]. საფიქრებელია, რომ მესოპოტამიის უძველესი ტიპის ცული ჩვენში საკმაოდ ადრე ვრცელდება და, ეგებ, მთლად უმართებულო არ იყოს თუ ვიტყვით, რომ ზაჰესის ტიპის ცული კავკასიაში აღმოჩენილი წინაზიური ფორმებიდან ერთ-ერთი უადრესთაგანია. როგორც ჩანს, ჩვენშიაც ამ ტიპმა სათანადო გავრცელება ვერ ჰპოვა და მესოპოტამიის მსგავსად აქ უფრო მკვიდრდება წინააზიური ცულების სხვა ფორმა, ყუადაქანებული-ყუამილიანი ცულები.

---

[1] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 303.

[2] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 10.

Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, стр. 298.

[3] Christian V. დასახ. ნაშრ., გვ. 158, ტაბ. 134,

Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 10.

Chilb G. Eurasian schaft—hole axes, გვ. 159.

[4] Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, стр. 297.

Чаилд Г. დასახ. ნაშრ., გვ. 159.

[5] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 297. Christian V. დასახ. ნაშრ., გვ. 158.

Чаилд Г. დასახ. ნაშრ., გვ. 159, სურ. 3.

[6] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 297.

ზაჰესის ცული გარკვეულ ნათესაობას იჩენს კრეტაზე აღმოჩენილ არ-ქაულ ცულებთან, სადაც ისინი ვრცელდებიან მესოპოტამიიდან[1]. უთუოდ საყურადღებოა, რომ ზაჰესის ცული რამდენადმე უახლოვდება აგრეთვე ყუბანის დიდ ყორღანებში მოპოვებულ ცულებს[2]. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ცულმა აქ, ჩანს, გარკვეული თავისებურება განიცადა[3]. განსხვავება ძირითადად იმაშია, რომ ზაჰესური და აგრეთვე მესოპოტამიური ცულები ყუისაკენ ორივე მხრივ ვიწროვდებიან, ყუბანურ ცულებს კი შუბლი და კაჩა დაახლოებით სწორი აქვს. ა. ტალეგრენმა, რომელმაც რუსეთში გავრცელებული ხვრელიანი ცულების ტიპოლოგია შეიმუშავა, ეს ცულები C ტიპში გააერთიანა და აღნიშნა, რომ იგი ყუბანის დიდი ყორღანებისათვისაა დამახასიათებელი[4]. აქედან ჩანს, ამ ტიპის ცული შემდეგში რუსეთშიაც ვრცელდება[5].

დაბოლოს, აღსანიშნავია კიდევ ერთი ცული, ახლახან აღმოჩენილი მარნეულის რაიონში სოფ. ბრდაძორში (სადახლოდან დაახლოებით 8 კმ.). იგი შედარებით ზაჰესურ ცულთან უფრო განვითარებული ჩანს, ოღონდ თავისთავად საკმაოდ არქაული ფორმისა უნდა იყოს. ეს ცული გარკვეულ მსგავსებას პოულობს ყუბანის დიდი ყორღანებისათვის დამახასიათებელ ცულებთან. მარნეულის ცული საკმაოდ მასიურია; შუბლი მას რკალისებრი აქვს. ყუა შუბლის მხრიდან, საკმაოდ სწრაფად ვიწროვდება.

ბრინჯაოს კულტურის ამ ადრეულ საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს აგრეთვე ერთი სატეხი, შემთხვევით აღმოჩენილი სოფ. ზეკარში[6]. პირი მას ღარიანი აქვს, ყუა ოთხწახნაგა[7]. ჩვენში ამ ტიპის სატეხი ცნობილია მხოლოდ საჩხერიდან, შედარებით უფრო პატარა ზომის[8] (ტაბ. XIII, 2). კავკასიაში ამგვარ სატეხს ვხვდებით ყუბანის დიდ ყორღანებში[9]. ნოვოსვობოდნაიას ყორ-

---

[1] Чайлд Г. У истоков европейской цивилизации, გვ. 56, სურ. 11. Child G. The Dawn of European civilization; გვ. 34, სურ. 13.

[2] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 10.

[3] Артамонов М. И. Третий разменный курган, Советская археология, т. X, М—Л., 1948, стр. 180.

[4] Tallgren A. Die Kupfer—und Bronzezeit in Nord—und Ostrussland, SMYA, XXV, Helsingissa. 1911, გვ. 56, სურ. 47.

[5] Tallgren A. დასახ. ნაშრ., სურ. 47,

Tallgren A. Sur les monuments megalithiques du Caucase occidental, ESA, IX, Helsinki, 1934, სურ. 25, в.

Ayräpää A. Uber die Streitaxtkultur in Russland, სურ. 44.

[6] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 12,

Иессен А. А. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[7] Иващенко М. М. Материалы к изучению культуры колхов, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1941, ნაკვეთი II თბილისი, 1941, გვ. 17, სურ. 9,9.

[8] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 15.

[9] Иессен А. А. К хронологии „больших кубанских курганов", стр. 172.

ღანში რამდენიმე სატეხი აღმოჩნდა[1]. ამ ტიპის სატეხი ნაპოვნი იყო ლეტ-ნიცკოეს, ეოზდვიჟენსკოეს და სხვ. ყორღანებში[2].

მსგავსი იარაღი გავრცელებული იყო აგრეთვე წინა აზიაში. ტეპე-ჰისარში ამგვარი სატეხი საკმაოდ კარგად იყო ცნობილი. განსაკუთრებით ფართოდ იგი გვხვდება ჰისარ III[3].

ბ) ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურის დახასიათება

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი საფეხურის შესახებ, სადღეისოდ, ჯერ კიდევ მეტად მცირე მასალა მოგვეპოვება და ამიტომაცაა, რომ სამწუხაროდ, ამ პერიოდის შესახებ ბევრის არაფრის თქმა შეგვიძლია. მაგრამ მიუხედავად მასალების ამგვარი სიღარიბისა, ვფიქრობთ, რომ მაინც შეიძლება ითქვას, რომ გვაროვნული საზოგადოება ამ დროს თავისი განვითარების გარკვეულ ნაბიჯებსა დგამს. ამ პერიოდში საეარაუდებელია უკვე პატრიარქალური გვარის საბოლოო განმტკიცება. მამაკაცის როლი. ჩანს, ახლა უკვე საგრძნობლად იზრდება. სადღეისოდ არსებული, მართალია მეტად არასრული მასალა, მაინც იძლევა უთუოდ ამის ფიქრის საშუალებას.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, იმდროინდელი სამეურნეო ყოფის აღდგენისათვის ჯერჯერობით მეტად ღარიბული მასალა გვაქვს. სამწუხაროდ. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შესახებ ჯერ მხოლოდ არაპირდაპირი ცნობების საფუძველზე ხერხდება რაიმეს თქმა. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ის. რაცა გვაქვს, უთუოდ იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ მეურნეობის ეს დარგები ამ პერიოდში ჩვენში განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის. საფიქრებელია, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული მიწის დასამუშავებლად უკვე პრიმიტიულ სახვნელ იარაღს იყენებდნენ. ამგვარ ვარაუდს უთუოდ ის აძლიერებს, რომ თითქოს უნდა ჩანდეს, რომ ამ პერიოდში ჩვენში გამოყენებულია ხარი უკვე როგორც გამწევი ძალა. ამ მოსაზრებას ის უნდა მოწმობდეს, რომ საჩხერის ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნია ქინძისთავი ეტლისა და შიგ შებმული ხარის სქემატური გამოსახულებით და აგრეთვე თრიალეთის ერთ-ერთ ადრეული ჯგუფის ყორღანში აღმოჩნდა ხის ეტლის კვალი.

---

[1] Tallgren A. დასახ. ნაშრ., გვ. 20. სურ. 20,8 და 21,7.
Tallgren A. La Pontide prescytligue, გვ. 80. სურ. 55,22.
Чайлд Г. У истоков европейской цивилизации. გვ. 214, სურ. 75.

[2] Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 12.

[3] Schmidt E. F. Excavations at Gepe Hissar Damhan. გვ. 205, ტაბ. LII.
Schmidt E. F. Tepe Hissar excavations, გვ. 400, ტაბ. CXIX.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხარი როგორც გამწევი ძალა, უკვე მიწათმოქმედებაშიაცაა გამოყენებული და შესაძლოა ამ პერიოდში უკვე იცნობდნენ პრიმიტიულ სახვნელ იარაღს. ამის ანარეკლი უნდა იყოს ჩვენში ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული სახვნელი იარაღი, რომელიც, როგორც პროფ. გ. ჩიტაიამ არაერთგზის დაგვანახა, უკავშირდება წინააზიურ უძველეს სახვნელ იარაღს. სახვნელი იარაღის შემოღებამ მიწათმოქმედებაში, როგორც ცნობილია, დიდი გარდატეხა მოახდინა. მიწის დამუშავება ახლა უკვე თანდათანობით მამაკაცის ხელში გადადის. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა გვარში მამაკაცის წამყვანი მდგომარეობის განმტკიცებას.

სამწუხაროდ, არც მესაქონლეობის შესახებ შეგვიძლია რაიმეს გარკვევით თქმა. თითქმის სრულიად არ მოგვეპოვება ამ დროის ოსტეოლოგიური მასალა. ამ დარგის შესახებ ძირითადად ისევ არაპირდაპირი ცნობების საშუალებით თუ ითქმის რაიმე. უკვე ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში, ჩანს, ხარი როგორც გამწევი ძალა გამოყენებული თავისთავად უთუოდ მესაქონლეობის გარკვეულ დაწინაურებაზე უნდა მიუთითებდეს. როგორც უკვე საჩხერული მასალების განხილვისას აღვნიშნავდით, შესაძლოა მესაქონლეობის, უპირატესად მეცხვარეობის განვითარებაზე გვაწვდიდეს გარკვეულ ცნობას ის მოზრდილი ქინძისთავები, რომლებიც მართლაც, ეგებ, უხეში შალის ტანსაცმლის შესაბნევად გამოიყენებოდა. საფიქრებელია, რომ მესაქონლეობა ბრინჯაოს კულტურის ადრეულ საფეხურზე თანდათანობით უფრო და უფრო წინაურდება. უკვე ენეოლითში, განსაკუთრებით მის მიწურულ ხანაში, როგორც დავინახეთ, მესაქონლეობა განვითარების გარკვეულ ნაბიჯებს დგამს. მომდევნო საფეხურზე, იგი, ვფიქრობთ, განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ასულიყო. თრიალეთის მასალებიდან თითქოს ჩანს, რომ ამ პერიოდში უკვე ხდება მაღალმთიანი ალპიური საძოვრების ათვისება. მიწათმოქმედ ტომებს აქ ჩანს უკვე გამოეყოფა ერთი ნაწილი, რომელიც, ალბათ, უკვე უპირატესად მესაქონლეობას მისდევს. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ძირითადად თავის სამიწათმოქმედო ბაზასთან არიან დაკავშირებულნი. საფიქრებელია, რომ ამგვარი ურთიერთობის ანარეკლი უნდა იყოს თრიალეთის მაღალმთიან რაიონში აღმოჩენილი ყორღანთა ერთი ჯგუფი, რომლებიც სრულიად არ შეიცავენ თიხის ჭურჭელს. ბ. კუფტინმა თავის დროზე აღნიშნა, რომ შესაძლებელია ეს ყორღანები მიეკუთვნება მომთაბარე ხალხს, ანდა, ეგებ, ამ მიდამოებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელიც დროებით ამოსულა აქ მაღალ—მთიან საძოვრებზე. ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო მართებული ჩანს. რა

თქმა უნდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ყველგან ამგვარი ურთიერთობა არ უნდა ყოფილიყო. თრიალეთში, როგორც უკვე აღვნიშნავდით, თითქმის თანაბრად ვითარდებოდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ამიტომაც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეურნეობის ამ ორი ფორმის თანაარსებობა აქ საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. სხვაგან, საფიქრებელია, მესაქონლეობების გამოყოფა და დაწინაურება უფრო სწრაფად უნდა მომხდარიყო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თრიალეთში პატრიარქალური ურთიერთობის განმტკიცება უფრო ნელა მიმდინარეობდა. მიწათმოქმედებისა და იმ სახის მესაქონლეობას, რომელიც, ჩანს ამ პერიოდში აქ უნდა ყოფილიყო, არ შეეძლო საბოლოო გარდატეხა მოეხდინა საზოგადოების განვითარებაზე. მითუმეტეს, რომ, როგორც აღვნიშნავდით, აქ ჯერ კიდევ არც მეტალურგია ჩანს მაინცადამაინც წინა საფეხურთან შედარებით დაწინაურებული. ამიტომაც საფიქრებელია, რომ აქ მამაკაცის როლის დაწინაურებასთან ერთად ჯერ კიდევ უნდა ცოცხლობდეს წინა საფეხურის ტრადიციები.

ჩვენს ხელთ მყოფი მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მეტალურგიას ბრინჯაოს კულტურის ადრეულ საფეხურზე ჩვენში განვითარების საკმაოდ მაღალი საფეხურისათვის მიუღწევია. ლითონის დამუშავების ტექნიკა უკვე საკმაოდ დაწინაურებული ჩანს. იმდროინდელი ლითონის ნივთების ქიმიურმა და მეტალოგრაფიულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ამ პერიოდში ლითონის ნაწარმი დამზადებულია ისეთი სპილენძისაგან, რომელიც 2 და ზოგჯერ მეტ პროცენტ დარიშხანს შეიცავს. ჩამოსხმის უკვე საკმაოდ რთული ტექნიკისათვის მიუღწევიათ. სადღეისოდ უკვე თითქოს შესაძლებელი ხდება ყვირილას აუზის ზემო წელზე ამ პერიოდის საკმაოდ მძლავრი მეტალურგიული კერის გამორჩევა. არსებული მასალებით თითქოს ირკვევა, რომ მეტალურგიის დაწინაურება ამ პერიოდში, ზემოთ უკვე აღნიშნული მიზეზების გამო, შეინიშნება უპირატესად საქართველოს დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთით მეტალურგიის ამგვარი აღმავლობა ამ დროს ჯერ კიდევ არ ჩანს.

მეტალურგიის დაწინაურება, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა მამაკაცის მდგომარეობის განმტკიცებას გვარში. საჩხერის მასალებიდან თითქოს უკვე უნდა ჩანდეს, რომ ამ პერიოდში აქ უკვე საბოლოოდ მტკიცდება გვაროვნული საზოგადოების უფრო განვითარებული ორგანიზაცია-პატრიარქატი. მეტალურგიის გარდა ამას აპირობებდა აგრეთვე ისიც, რომ, როგორც აღნიშნული გვქონდა, აქ მოპოვებული მასალით თითქოს ჩანს, რომ მესაქონლეობა უკვე საკმაოდ მაღალ დონეზეა ასული. მამაკაცის უპირატეს როლს გვარში უთუოდ ისიც უნდა მოწმობდეს, რომ მამაკაცთა სამარხებში საკმაო

რაოდენობით ვხვდებით ჩატანებულ იარაღ-საჭურველს. ერთი მხრივ მეტალურგია, და მეორე მხრივ მესაქონლეობის დაწინაურება ხელს უწყობდა საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ბრინჯაოს კულტურის ადრეულ საფეხურზე ჩვენში უკვე საბოლოოდ იმარჯვებს პატრიარქალური ურთიერთობა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, ეს პროცესი ყველგან თანაბრად არ მიმდინარეობდა.

რაც შეეხება საკითხს ადრეული ბრინჯაოს ხანის თარიღის შესახებ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. ბ. კუფტინი ამ პერიოდის კულტურას ათარიღებს მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრით და III და II ათასწლეულის მიჯნით[1]. ვფიქრობთ, რომ ძირითადად ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს. როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, ადრეული ბრინჯაოს ხანის მასალა ახლო ანალოგიას პოულობს III ათასწლეულის წინააზიურ მასალებთან. ამ პერიოდის თარიღის დადგენაში უფაულ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკანასკნელ ხანებში საჩხერეში აღმოჩენილ სიშტს, რომელიც სავსებით ისეთივეა, როგორც წინააზიაში ნაპოვნი ამგვარივე იარაღი. აქ ეს იარაღი კარგად თარიღდება მესამე ათასწლეულის შუა ხნებით.[2] ვფიქრობთ, რომ სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით შესაძლებელია ჩვენში გავრცელებული ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა ძირითადად მივაკუთვნოთ III ათასწლეულის შუას, მის მეორე ნახევარსა და II ათასწლეულის დასაწყისამდე მივიტანოთ.

ბრინჯაოს ხანის შემდგომ საფეხურებზე კულტურა განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე ადის; თანდათანობით იქმნება ის პირობები, რამაც შემდეგში გამოიწვია გვაროვნული საზოგადოების რღვევა.

---

[1] Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, стр. 12, Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 305—Куфтин Б. А. Маршрутная археологическая экспедиция 1945 года..., стр. 74—75.

[2] Куфтин Б. А. Маршрутная археологическая экспедиция 1945 года.., გვ. 74.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. 1, 2 და 4. თიხის ჭურჭელი თრიალეთიდან. 3, 5 და 6. თიხის ჭურჭელი კიკეთიდან.

ტაბ. II. თრიალეთი. თიხის ჭურჭელი.

ტაბ. II-ა. თრიალეთი. თიხის ჭურჭელი.

ტაბ. III. თბილისი. 1. თიხის კერის მოდელი. 2. თიხის ტანდახვრეტილი ჭურჭელი 3. ქვის საწაფი. 4. თიხის ჭურჭლის ნატეხი, ქსოვილის ანაბეჭდით. 5. ძვლის კვირისტავი. 7. კაჟისა და ობსიდიანის იარაღი. 6, 8 და 9. ძვლის იარაღი.

ტაბ. IV. 1. სპილენძის იარაღი თრიალეთიდან. 2. კაჟის ხერხი თრიალეთიდან. 3. კაჟის ისრის პირი სტალინირის ნაცარგორადან. 4. ქვის კვერი სტალინირის ნაცარგორადან.

ტაბ. V. ქულბაქები. 1, 2, 3, 5, 6, 7 და 8 თიხის ჭურჭელი. 4. თიხის ხუფი. 9. კაჟის იარაღი. 10. ღორის გახვრეტილი კბილი. 11. თიხის რქისებრი სადგარი.

ტაბ. VI. ქულბაქები. თიხის ჭურჭელი.

ტაბ. VII. 1. ქვის ცული ღართის კარიდან. 2. ქვის ცული თერეგვანიდან. 3. ხელსაფქვავი. 4. თიხის კერა ქულბაქებიდან.

ტაბ. VIII. 1. ქულბაქები. გათხრის პროცესი. 2. საჩხერე. სამარხი.

ტაბ. IX. თრიალეთი. ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანების ინვენტარი. 1, 4 და 6. თიხის ჭურჭელი. 2 და 3. სპილენძის შუშისა და სატევრის პირი. 5. ჰემატიტის ლახტის თავი.

ტაბ. X. აფხაზეთის დოლმენები. 1. ეშერის IV დოლმენის ინვენტარი. 2. ეშერის II დოლმენის ინვენტარი. 3. კაჟის ისრისპირის (1937 წ. გათხრები). 4. ცული (1937 წ. გათხრები). 5. კავი (1937 წ. გათხრები).

ტაბ. XI. 1. ქინძისთავი საჩხერის, ერთ-ერთი სამარხიდან. 2, 3 და 4. თიხის ჭურჭელი ნულის ერთ-ერთი სამარხიდან. 5. შუბისმაგვარი იარაღი საჩხერის ერთ-ერთი სამარხიდან.

ტაბ. XII. საჩხერე. 1. სატევრის პირები. 2. ცულები 3. ხიშტისმაგვარი იარაღი.

ტაბ. XIII. საჩხერე. 1. ბრტყელი ცული. 2. სატეხი. 3. სატევარი. 4. ქვის ცული. 5. კაჟის ისრის პირები. 6. კაჟის ხელშუბის პირი.

ტაბ. XIV. 1, 2, 3, 4 და 5. ქინძისთავები საჩხერიდან. 6. შუბისმაგვარი იარაღი. 7. შუბისმაგვარი იარაღი. 8. შუბისმაგვარი იარაღი ზაჰესიდან. 9. ცული ზაჰესიდან. 10. ცულ-წერაქვა დმანისის რაიონიდან.

ტაბ. XV. ძაღინა. 1, 2. სამარხეული ინვენტარი. 3, 4, 6 და 8. თიხის ჭურჭელი. 5. ქინძისთავი. 7. სპირალური სამაჯური. 9. ქვის ცული ოჟორადან.

ტაბ. XVI. საჩხერე. თიხის ჭურჭელი.

ტაბ. XVII. საჩხერე. თიხის ჭურჭელი.

ტაბ. XVIII. საჩხერე. ორნამენტირებული ჭურჭელი.

ტაბ. XIX. საჩხერე. ორნამენტირებული ჭურჭელი.

ტაბულები


1
2
3
4
5
6

ტაბ. II



1

2



3

4



5



6

ტაბ. II ა





1

2

3

4

5

6



7

8

9



1

2



3



4


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11

1



2

3



4

5



6


1
2
3
4



1

2



3

4

5

6

1

2

3



5

4



1



2

3



4



5

ტაბ. XII



1



2

3

1

2

3

4

5

6


1
2
3
4
5


6
7
8
9
10


1
2
3
4
5
6
7
8
9



3

2

4

1

1

2



3

4

5

6

ᲝᲡᲒ. XVIII





შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
წინასიტყვაობა	5
I. ენეოლითური კულტურა	7
ა) ენეოლითური ხანის ძეგლები	10
ბ) ენეოლითური კულტურის დახასიათება	31
II. ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა	55
ა) ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლები	56
ბ) ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურის დახასიათება	105